

2004



თეატრი

სამართლება

ვათვენები

თეატრი

ებ

ცხოვრება

ჩერაძე

ბათიაშვილი

საჩერაძეო კოლეგია

გოგი აღვესიძე,
ეთერ გუგუშვილი,
ცოდნა გურუბენიძე,
ვასილ პიპრაძე,
რობერტ სცენუს,
პიორაძე სავთარაძე,
ნითელა ურუშაძე,
თავარ ჩხეიძე,
თამაზ ქილაძე.

პახუხისმგებელი მფიცანი
ნინო ქაფავარიანი

2

2004

მარტი
აპრილი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“
1950-1990 „თეატრალური მოამბე“

საქართველოს თავათრის მოღვაწეთა უმოქმედებითი კავშირი

შინაარსი

სთმშე გამგეობის სხდომა	3
საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის წესდება (პროექტი)	4

საშეთაპლები

ნინო მაჭავარიანი — და ეს პირმშვენიერი ხანუმაც	19
მაია გაბუნია — ბალზამინოვის ქორწინება	28
ლელა წიფურია — ვინ ცხოვრობს ფსკერზე?	32

დიალოგი

თავისუფალი თეატრი: ახალი პრინციპები, ახალი ურთიერთობები (საუბარი თეატრის ხელმძღვანელთან აუთანდილ ვარსიმაშვილთან)	37
---	----

თეორია

მიხეილ ჩეხოვი — მსახიობის ტექნიკის შესახებ (გაგრძელება)	45
ლევან ხეთაგური — XX საუკუნის თეატრალური რეფორმატორის — გროტოსკაის — ერთ-ერთი ანდერბი	51.
ზურაბ ოიკაძეილი — ოთარ თაქთაქიშვილის პარმონიის ეროვნული ნიშან-თვაისებების ზოგიერთი საკითხი	56

ისტორია

მანანა ტურიაშვილი — „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“	60
დოლო აბაშიძე — ფურცელ-ფურცელ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ	68

თეატრალური ლიტერატურა

ნოდარ გურაბანიძე — „ჩრდილოეთის პალმირას“ მშენიერი სახლი	76
კალიმ გაეგსყი — კორიფეუნი	81
ბეჟარი და ბალანჩინი მარინეს თეატრში (ჯორჯ ბალანჩინის 100 წლისთვის)	85
ვ. კიკნაძე — გამოთხოვება მოგორნებებთან (გაგრძელება). თეატრალური ინფორმაცია	87
	110

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის სხდომა

19 აპრილს გაიმართა თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის სხდომა.

სომშ კავშირის თავმჯდომარებ ბ-ნმა გიგა ლორთქიფანიძემ დამსწრეთ დღის წესრიგი გააცნო:

1. მორიგი ყრილობის თარიღის დადგენა. 2. სომ კავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანა. 3. ყრილობის დელეგატების არჩევის წესის შემუშავება.

დადგინდა, რომ სომშ კავშირის მორიგი ყრილობა 31 მაისს გაიმართება.

წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დაწვრილებით ისაუბრა პროფ. ვასილ კიკნაძემ. მან დამსწრეთ გაცნო ორგანიზაციის სახელწოდების თაობაზე კომისიის აზრი: აღდგენილია ილა ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა მოღვაწეთა მიერ დაარსებული „თეატრალური საზოგადოება“, გამგეობის წევრები დაეთანხმნენ ამ აზრს. აღინიშნა, რომ იურიდიულად დარჩება „შემოქმედებითი კავშირი“ და შეიძლება ერქვას საზოგადოებაც. ე.ი. ერქმევა „შემოქმედებითი კავშირი – საქართველოს თეატრალური საზოგადოება“.

მესამე საკითხის ირგვლივ ისაუბრა გიორგი მარგველაშვილმა. მან წამოაყენა წინადადება, რომ გამგეობაში დარგობრივად იყენენ წარმოდგენილნი მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნები, რეკირნის თეატრები, არაქართული თეატრები და ა.შ.

ავთო ვარსიმაშვილმა აღნიშნა, რომ ქართულ თეატრალურ სამყაროში შეიქმნა ახალი რეალობა: არსებობენ შემოქმედებითი ჯგუფები, როგორებიცაა: გიორგი შალუტაშვილის, ანდრო ენუქიძის, გოჩა კაბანაძის, დათო ლიაშვილის, დათო საყვარელიძის ლაბორატორიები, სარდაფები, ჯიბის თეატრი და ა.შ. არ უნდა დაგვაუიწყდეს, რადგან ისინიც წარმოადგენენ დღეს ქართულ თეატრს. არ უნდა აუჟაროთ გევრდი ასევე რეგიონალურ თეატრებს. ჩვენ ისინი უნდა გავაწერიანოთ თეატრალურ საზოგადოებაში.

გ. ბათიაშვილმა გამგეობას შესთავაზა, შეიქმნას ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც გადაწყვეტს მიმდინარე საკითხებს.

გიორგი მარგველაშვილმა დააყენა საკითხი, რომ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტში არჩეულ იქნენ გამგეობის ის წევრები, რომლებიც აქტიურად იმუშავებენ.

ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის წევრებად აირჩიეს: ნათელა არველაძე, გურამ ბათიაშვილი, ავთო ვარსიმაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, სანდრო მრევლიშვილი, ლევან როხვაძე, ლევან ხეთაგური, გოგი ქაუთარაძე და სამდივნო.



პროექტი

„შემოქმედებითი კავშირი – საქართველოს თეატრალური საზოგადოება“

წ ე ს დ ე ბ ა

1.

ზოგადი დაბულებანი:

- 1.1 კავშირის სახე - საქართველოს შემოქმედებითი კავშირი.
1.2 კავშირის სახელწოდება - „შემოქმედებითი კავშირი – საქართველოს თეატრალური საზოგადოება“ / „შემდგომში „კავშირი“/.
1.3 შემოქლებული სახელწოდება - შესთხ.
1.4 კავშირის საქმიანობის სამართლებრივი ბაზა - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“, საქართველოს კანონი „გულტურის შესახებ“, საქართველოს კანონი „თეატრების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და წინამდებარე წესდება.
1.5 „კავშირის“ სტატუსი - საჯარო სამართლის არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი.
1.6 „კავშირის“ საქმიანობის ვადა - განუსაზღვრელი.
1.7 „კავშირის“ საქმიანობის ფარგლები - საქართველოს მთელი ტერიტორია და მის ფარგლებს გარეთ.
1.8 „კავშირის“ გააჩნია საკუთარი ბალანსი, ბეჭედი თავისი სახელწოდებით, ანგარიშებისა და სხვა ანგარიშები /მათ შორის სავალუტო/ საქართველოს საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე სავალუტო ანგარიში უცხო ქვეყნის ბანკში.
1.9 „კავშირის“ იურიდიული მისამართი - ქ.თბილისი, გიორგი ლეონიძის 11-ა.
1.10 „კავშირი“ დამოუკიდებელია და გამორიცხავს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან ყოველგვარ ჩარევას მის საქმიანობაში.
2. „კავშირის“ საქმიანობა, მისი მიზნები და ამოცანები:
2.1 „კავშირის“ საქმიანობის ძირითადი პრინციპებია - ნებაყოფლობითობა, თვითმმართველობა, კანონიერება და საჯაროობა.
2.2 „კავშირი“ კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით,

წინამდებარე წესდების შესაბამისად, უფლებამოსილია განახობის სამიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2.3

„კავშირის“ ძირითადი მიზანი და ამოცანაა:

- გააერთიანოს თეატრალური საზოგადოებრიობა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებისათვის;
- მხარი დაუჭიროს შემოქმედებით ძიებებს, შემოქმედებითი და ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნასა და განახლებას, ტრადიციებისადმი პატივისცემის პრინციპს;
- გააუმჯობესოს თავის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები;
- ხელი შეუწყოს კვალიფიციურ წარმომადგენელთა გაწევრიანებას და შემოქმედებით ზრდას, მათი პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას და სოციალურ-სამართლებრივ დაცვას;
- ხელი შეუწყოს საქართველოს თეატრების, თეატრალური კრიტიკის, თეატრის ისტორიის შესწავლის განვითარებას, ქართული თეატრის მხატვრულ-ესთუტიკური ღონისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, თეატრის შექმაცემისადმი პატივისცემისა და ზრუნვის ატმოსფეროს დამკვიდრებას მხატვრულ მომთხოვნელობასთან ერთად;

2.4

თავისი მიზნებისა და დასახული ამოცანების მისაღწევად „კავშირი“:

- ატარებს ფესტივალებს, კონკურსებს, ლაბორატორიულ სამუშაოებსა და სემინარებს სათეატრო ხელოვნების პრაქტიკისა და თეორიულ საკითხებზე;
- მართავს შემოქმედებით პლენურებს, კონფერენციებს, ლექტორუებს, სამუცნიერო სესიებს, დისკუსიებს, თათბირებს, შეხვედრებს, ემარება დრამატურგებს პიესების შესაქმნელად, კონსულტაციებს უწევს თეატრალურ კოლექტივებს;
- თეატრების შუშაობის შესწავლისა და გამოცდილების შეძენის მიზნით აგზავნის საეციალისტებს დათვალიერებებსა და სპექტაკლების განხილვებში მონაწილეობის მისაღებად, უწევს მათ შეთოდურ რეკორდაციებს;
- ეხმარება თეატრის მუზეუმებს;
- საზღვარგარეთის ქვეყნების სასცენო ხელოვნების გასაცნობად შემოქმედებით მივლინებაში გზავნის თეატრის მოღვაწეებს;
- ზრუნავს ახალი შემოქმედებითი ძალების გამოვლენაზე, ახალგაზრდებთან მუშაობაზე, მათ პროფესიულ სრულყოფასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე;

- სრუნავს ქართული ენის სტატუსის დაცვაზე თეატრში; დახმარებას უწევს სახალხო თეატრებს, თვითმოქმედ თეატრალურ კოლეგიუმებს, ზრუნავს თეატრალური ხელოფნების მასობრივი ფორმების განვითარებისათვის;
- თეატრალურ მოღვაწეებს წარადგენს პრემიებისა და საპატიო წოდებების მისანიჭებლად;
- სრუნავს სპექტაკლის საავტორო და საშემსრულებლო უფლებათა დაცვაზე;
- „კავშირისა“ და მათი ოჯახის წევრებზე გასცემს კავშირის დასასვენებელი სახლების საგზურებს, განსაზღვრავს საგზურის ღირებულების შედავათებს;
- მატერიალურ დახმარებას უწევს „კავშირის“ წევრებს, გასცემს სესხებ, ქმნის მოქმედ ფონდებს კანონმდებლობის შესაბამისად;
- იღწვის სამუშაო ადგილის ლიკვიდაციის წინააღმდეგ, შრომის უსაფრთხოებისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის;
- შზრუნველობას იჩენს თეატრალური ხელოვნების ვეტერანების მიმართ /უფლება აქვს გახსნას სცენის ვეტერანთა სახლები/;
- ახორციელებს ღონისძიებებს გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

2.5

„კავშირი“ უფლებამოსილია:

- 2.5.1 თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს თეატრალური ხელოვნების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების განხილვაში, წინადადებით მიმართოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შემოქმედი მუშაკის სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საკითხებზე.
- 2.5.2 თეატრალური ხელოვნების სფეროში უსაფუძვლო, ან არაკომპეტენტური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განიხილოს და აღმრას შუამდგომლობა შესაბამის ინსტანციებში მისი მოქმედების შეჩერების შესახებ.
- 2.5.3 კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს თეატრალური ხელოვნების სფეროში სახელმწიფო ხელმძღვანელობისათვის მდებარებული კანდიდატურების შერჩევასა და განხილვაში.
- 2.5.4 გაავრცელოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ.
- 2.5.5 შექმნას საკუთარი ბეჭდვითი გამოცემა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები.
- 2.5.6 წარმოადგინოს ქართული თეატრისა და თავისი წევრების

ინტერესუნგის საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებში გარეთ.

- 2.5.7 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირი და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაცია.
- 2.5.8 განახორციელოს სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამსახურებული ხასიათს და რომელიც შექმნის ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს „კავშირის“ წევრთა შემოქმედებითი პირობების გასაუმჯობესებლად.
- 2.5.9 შექმნას თეატრის „უმუშევარ მოდვაწეთა სოციალური დაცვის მექანიზმი და ჩამოაყალიბოს საეკიალური ფონდი /ამ მიზნით მიმართავს საქველმოქმედო მუშაობის სხვა ფორმებს /.
- 2.5.10 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და მისი წესდებით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობა.

„კავშირის“-ს ორგანიზაციული სტრუქტურა:

- 3.1 „კავშირის“ ორგანიზაციული სტრუქტურა შექმნილია და ფუნქციონირებს მართვის დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე. „კავშირის“ უმაღლესი ორგანო კავშირის წევრთა ყრილობა /საერთო კრება/, რომლის პერიოდულობა განსაზღვრულია 3 /სამი/ წლის ვადით.
- 3.2 ყრილობის მოწვევის ზუსტ თარიღს განსაზღვრავს „კავშირის“ გამგეობა, მის ჩატარებამდე არა უგიანეს 2 /ორი/ თვით ადრეს ყრილობა უფლებამოსილია, თუ მასზე დედლეგატების სახით წარმოდგენელია „კავშირის“ წევრთა ხმების ნახევარზე / 50 % + 1 / მეტი.
- 3.3 დედლებატების შერჩევის წესს განსაზღვრავს კავშირის გამგეობა. რიგგარეშე ყრილობა ტარდება მისი მოთხოვნიდან 2 /ორი/ თვის ვადაში და მის მოწვევაზე უფლებამოსილია:
- ა) „კავშირის“ თავმჯდომარე;
- ბ) „კავშირის“ წევრთა ერთ მესამედზე მეტი;
- გ) სარევოზიო კომისია.
- 3.4 მოთხოვნა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, გამომდინარეობდეს „კავშირის“ საქმიანობაში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი დარღვევის ან სხვა საფუძვლიანი მოტივაციიდან და მითითებული უნდა იყოს დღის წესრიგი.
- 3.5 რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას

- იღებს გამგეობა, ხოლო 3.6 – ა და 4.6.8 პუნქტების შემთხვევაში
 – „კავშირის“ თავმჯდომარე.
- 3.9 „პავშირის“ ქონებასთან, „კავშირის“ რეორგანიზაციასთან და
 ლიკვიდაციასთან, აგრეთვე წესდებაში ცვლილებების შეტა-
 ნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება წარმოდ-
 გენილი ხმების ორი მესამედით.
- 3.10 ყველა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ხმების
 უბრალო უმრავლესობით.
- 3.11 ყრილობის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:
 – „კავშირის“ წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და
 დამატებების შეტანა (წესდების ყოველი პროექტი უფლება-
 მოსილმა პირმა განსახილველად უნდა წარმოადგინოს
 ყრილობის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 /ათი/ დღისა);
 – „კავშირის“ ხელმძღვანელი ორგანოს – გამგეობის და
 პრეზიდიუმის არჩევა;
 – „კავშირის“ მაკონტროლებელი ორგანოს – სარევიზიო კომისიის
 არჩევა;
 – „კავშირის“ თავმჯდომარის წარდგინებით მოადგილისა და
 მდივნების კანდიდატურების დამტკიცება;
 – „კავშირის“ თავმჯდომარის არჩევა;
 – „კავშირის“ რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავ-
 შირებული საკითხები;
 – თეატრალურ ხელოვნებაში მიმდინარე ძირითადი შემოქმე-
 დებითი პროცესებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების
 განხილვა;
 – ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის გაანალიზება;
 – „კავშირის“ ბიუჯეტის დამტკიცება;
 – „კავშირის“ გამგეობის, პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის
 ანგარიშის დამტკიცება.
- 3.12 „კავშირის“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს
 „კავშირის“ გამგეობა, პრეზიდიუმი, რომელიც არის ხელ-
 მძღვანელი ორგანო ყრილობათაშორის პერიოდში.
- 3.13 გამგეობის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება „კავშირის“
 არა უმეტეს 61 /სამოცდაერთი/ წევრისა და პრეზიდიუმის არა
 უმეტეს 11 /თერთმეტი/ წევრით.
- 3.14 გამგეობის სხდომები ტარდება სამ თვეში ერთხელ, რომლის
 ზუსტ თარიღს განსაზღვრავს „კავშირის“ თავმჯდომარე.
- 3.15 რიგგარეშე გამგეობის სხდომის მოწვევაზე უფლებამოსილია:
 а) „კავშირის“ თავმჯდომარე.
 б) „კავშირის“ გამგეობის 1/3 /ერთი მესამედი/.

- 3.16 გ) სარევიზიო კომისიის 1/3 /ერთი მეხამედი/.
 გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა უმრავლესობა. იმ წევრს, რომელიც ვერ ესწრება გამგეობის სხდომას, შეუძლია წერილობით მიიღოს მონაწილეობა კენჭისერაში.
- 3.17 გამგეობის სხდომებზე გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის სხდომებზე მონაწილე ხმების უბრალო უმრავლესობით.
- 3.18 **გამგეობის კომპეტენციას განვითარება:**
- 3.18.1 თავისი რიგებიდან იწჩევს პრეზიდიუმს 11 /თერთმეტი/ კაცის ოდენობით, რომელიც წარმართავს კავშირის საქმიანობას გამგეობათა შორის პერიოდში და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
- 3.18.2 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების და „კავშირის“ წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების უზრუნველყოფა.
- 3.18.3 „კავშირის“ წლიური ანგარიშის დამტკიცება, სამუშო გეგმების დადგენა და ხარჯთაღრიცხვის წარმოება.
- 3.18.4 ყრილობისათვის მასალების მომზადება, ყრილობის მოწვევა და მისი ხატარებისათვის ორგანიზაციული საკითხების მომზადება.
- 3.18.5 საშტატო განრიგისა და შინაგანაწესის დადგენა.
- 3.18.6 „კავშირის“ წევრად მიღების ან წევრობიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
- 3.18.7 საწევროების გადახდის წესისა და ოდენობის დადგენა.
- 3.18.8 „კავშირის“ მიერ ახალი იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
- 3.18.9 თავისი შემადგენლობიდან კომისიების შექმნა, მათ შორის შედმივმოქმედ შემოქმედებით საკითხთა, საკონფლიქტო და მიმღები კომისიები.
- 3.18.10 გადაწყვეტილებების მიღება ყველა სხვა მიმდინარე საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა ყრილობებს შორის პერიოდში, ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვს და ამასთან არ განვითარება ყრილობის განსაკუთრებულ კომპეტენციას.
- 3.18.11 საზღვარგარეთის ქვეყნების თეატრალურ გაერთიანებებთან „კავშირის“ დამყარება და თანამშრომლობის განმტკიცება.
- 3.18.12 ყოველი წლის ბოლოს „კავშირის“ მიერ მიღებული მირითადი დოკუმენტების, ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობის, საფინანსო წევრობის და ხარჯების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ადგილისა და ფორმის განსაზღვრა.

- 3.19.1 ხელმძღვანელობს „კავშირის“ შემოქმედებით, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, საორგანიზაციო, სამეცნიერო-საწარმოო, საფინანსო მოღვაწეობას.
- 3.19.2 კოორდინაციის უწევს ადგილობრივი განყოფილებების მუშაობას.
- 3.19.3 ნიშანვს და ამტკიცებს „კავშირის“ აპარატის მუშაკებს.
- 3.19.4 ხელმძღვანელობს საშტატო პერსონალის ყოველდღიურ საქმიანობას, ამზადებს „კავშირის“ გამგეობის სხდომებს.

სარევიზიო კომისია:

- 3.20 სარევიზიო კომისიის რაოდენობა განისაზღვრება გამგეობის არანაკლებ 3 /სამი/ წევრით, და იგი უფლებამოსილი და ვალდებულია:
- 3.20.1 გაუწიოს კონტროლი „კავშირის“ წესდებისა და ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.
- 3.20.2 ჩაატაროს კავშირის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია.
- 3.20.3 გაუწიოს კონტროლი „კავშირის“ აპარატისა და განყოფილებების მუშაობას.
- 3.20.4 შეამოწმოს „კავშირის“ წევრების წერილებისა და საჩივრების განხილვის სისტორე და მათზე დროული გადაწყვეტილებების მიღება.
- 3.21 ყრილობაზე შეიძლება განისაზღვრის სარევიზიო კომისიის დამატებითი კომპეტენციის საკითხი.
- 3.22 „კავშირის“ შემოქმედებითი საკითხების საკონფლიქტო კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია გამგეობის 3 /სამი/ წევრით, მის მუშაობას ხელმძღვანელობს „კავშირის“ თავმჯდომარის მიერ დანიშნული ერთ-ერთი მდივანი და იგი უფლებამოსილი და ვალდებულია:
- 3.22.1 განიხილოს შემოქმედებით საფუძვლებზე აღმოცენებული კონფლიქტები და გადაჭრას იგი შემოქმედისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით;
- 3.23 განცხადება შემოქმედებითი დავის გადაჭრის თაობაზე კომისიაზე განსახილველად შეიძლება შეტანილ იქნეს „კავშირის“ ადგილობრივი განყოფილების სახელზე, რომელიც სარგებლობს საკონფლიქტო კომისიის ზემოაღნიშნული ფუნქციით.
- 3.24 საჭიროების შემთხვევაში, საკონფლიქტო კომისია საკითხის გადასაჭრელად განცხადებებს უგზავნის ადგილობრივი

- ორგანიზაციის გამგეობას და ოქატრალურ კოლექტივს. 3.25 საქონფლიქტო კომისია დასაბუთებელ გადაწყვეტილებას ღებულობს 3 /სამი/ კვირის ვადაში.
- 3.26 გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ხმათა უბრალო უმრავლესობით და სავალდებულოა „კავშირის“ ყველა წევრი-სათვის.
- „კავშირის“ ადგილობრივი ორგანიზაციები:
- 3.28 ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ქალაქებში, „კავშირის“ ადგილობრივი განყოფილებები იქმნება „კავშირის“ გამგეობის გადაწყვეტილებით.
- 3.29 „კავშირის“ ადგილობრივი განყოფილებების ხელმძღვანელორგანოს წარმოადგენს კონფერენციები, რომელთა მოწვევა ხდება ყრილობათა შორის პერიოდში არანაკლებ ორჯერ.
- 3.30 კონფერენციის დელეგატების არჩევა მიმდინარეობს დია კენჭისყრით. წარმომადგენლობის ნორმას განსაზღვრავს „კავშირის“ ადგილობრივი განყოფილების გამგეობა.
- 3.31 „კავშირის“ ადგილობრივი განყოფილებების კონფერენცია:
- განიხილავს თეატრალური საქმის განვითარების შემოქმედებით და ორგანიზაციულ პრობლემებს რეგიონებში;
 - თეატრების ორგანიზაციულ-შემოქმედებითი მოვაწეობის გასაუმჯობესებლად განსაზღვრავს „კავშირის“ ადგილობრივი განყოფილებების მუშაობის ძირითად მიმართულებებსა და კონკრეტულ ფორმებს;
 - ისმენს გამგეობისა და სარევიზო კომისიის საანგარიშო მოხსენებას, აფასებს მათ მუშაობას;
 - „კავშირის“ გამგეობის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად ირჩევს „კავშირის“ ყრილობის დელეგატებს;
 - განსაზღვრავს ადგილობრივი განყოფილების გამგეობისა და სარევიზო კომისიის რაოდენობრივ შემადგენლობას, ირჩევს მათ ფარული კენჭისყრით. არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომელთაც ხმების უმრავლესობით მიიღეს 50 % + 1 პრინციპით.
- 3.32 ადგილობრივი განყოფილების გამგეობა:
- ეხმარება ადგილზე თეატრალური ცხოვრების საქმიანობას, პროფესიულ-შემოქმედებით სექციებსა და საზოგადოებრივ საბჭოებს, რომლის წევრებიც შეიძლება იყვნენ, როგორც შემოქმედებითი მუშაკები, ასევე კულტურის სხვადასხვა დარგში მომუშავე აქტივი;

- თავის საქმიანობას წარმართავს კულტურის ორგანოებთან თეატრალურ კოლექტივებთან, მათ სამხატვრო საბჭოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეიძლო კონტაქტი;
 - ეხმარება თეატრალურ დაწესებულებებში პროცესის სრულყოფას, ზრუნავს ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიული დაოსტატებისათვის, ზრუნავს მათ შემოქმედებით ბედზე;
 - განაგებს განყოფილების ფულად, მატერიალურ სახსრებს და ქონებას;
 - ხმის უმრავლესობით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს, ამტკიცებს პასუხისმგებელ მდივანს;
 - განყოფილებაში, რომლებიც 200 /ორასი/ წევრზე მეტს ითვლიან, შეიძლება არჩეულ იქნეს გამგეობის მუშა ჯგუფი;
- 3.33 „კავშირის“ ადგილობრივი განყოფილების სარევიზიო კომისია:
- ყოველწლიურად ატარებს განყოფილების საფინანსო-სამეცნიერო საქმიანობის რევიზიას, კონტროლს უწევს მატერიალურ ფასეულობათა და სახსრების ხარჯთაღრიცხვას და დაცვას. ადგილობრივ განყოფილებასა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას წარუდგენს დასკვნას ჩატარებული რევიზიისა და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ;
 - ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარესა და მოადგილეს. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე ადგილობრივი გამგეობის სხდომაზე მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით;
 - „კავშირის“ ადგილობრივ განყოფილებებში იქმნება პროფესიული შემოქმედებითი სექციები.
- 3.34 ადგილობრივი განყოფილების გამგეობის სექციების საქმიანობას წარმართავს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა „კავშირის“ სამდივნო.

„კავშირის“ თავმჯდომარე

- 4.1 მესამე პირებითან ურთიერთობაში „კავშირს“ წარმოადგენს „კავშირის“ თავმჯდომარე, რომელიც წარმართავს „კავშირის“, პრეზიდიუმისა და გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს და პასუხისმგებელია გამგეობის შეირ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე. „კავშირის“ თავმჯდომარე ხელმძღვანელობს პრეზიდიუმისა და პრეზიდიუმის სხდომებს და იმავდროულად არის მისი წევრი.
- 4.2 „კავშირის“ თავმჯდომარეს ირჩევს კავშირის ყრილობა „კავშირის“ წევრთა რიგებიდან 3 /სამი/ წლის ვადით, პირდაპირი,
- 4.3 „კავშირის“ თავმჯდომარეს ირჩევს კავშირის ყრილობა „კავშირის“ წევრთა რიგებიდან 3 /სამი/ წლის ვადით, პირდაპირი,

ფარული ან დია კენჭისყრით, ალტერნატიულ საფუძველზე წარმოდგენილი ხელახალი არჩევის უფლებით /არანაკლებ ზედიზედ ორი ვადით.

- 4.4 „კავშირის“ თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა შეუძლიათ შემოქმედებით „აგვშირში“ გაერთიანებულ შემოქმედებით ჯგუფებს, აგრეთვე „კავშირის“ ცალკეულ წევრებს. აკრძალულია წარმოდგენილი კანდიდატურის შეზღუდვა ასაკობრივი ან სხვა მოტივით.
- 4.5 რამდენიმე წარმოდგენელი კანდიდატურის შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოახერხა წარმოდგენილი ხელის 50 % + 1 დაძლევა, მაშინ იმავე ყრილობაზე ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 21 % + 1 - ის გადამლახავი კანდიდატი /თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ მინიმუმ თრი გამარჯვებული, და გამარჯვებული გამოვლინდება წარმოდგენილი ხელის უბრალო უმრავლესობით.
- 4.6 „კავშირის“ თავმჯდომარე:
- 4.6.1 სხინის ანგარიშებს;
- 4.6.2 გასცემს მინდობილობებს;
- 4.6.3 დებს ხელშეკრულებებს სხვა იურიდიულ და კერძო პირებთან; სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს კავშირის თანამშრომლებს;
- 4.6.5 დებს შრომით და სხვა სახის ხელშეკრულებებს;
- 4.6.6 ხელშემდგვანელობას უწევს „კავშირის“ საქმიანობას;
- 4.6.7 ასრულებს უკეთა მოქმედებას, რომელიც არ არის მიკუთვნებული „კავშირის“ მართვის ორგანოთა სპეციალურ კომიტენტიას;
- 4.6.8 განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რიგგარეშე ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით.
- 4.6.9 უფლებამოსილია გამგეობასთან შეთანხმებით, საკუთარ უფლებამოსილებათა გარეგნული ნაწილი დელეგირების საფუძვლზე გადასცეს სხვა ხელმძღვანელ პირს.

შემოქმედებით კავშირში შემოქმედი მუშაკის გაწევრიანების წესი:

- 5.1 შემოქმედებით კავშირში შეიძლება გაწევრიანდეს პირი საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არქონები პირი, რომლის ინტერესებზეა ურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები ან მათი ინტერპრეტაცია და რომლებიც უპასუხებენ „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე წესდების მოთხოვნებს.

- 5.2 „კაგშირის“ წევრობის კანდიდატები უნდა პასუხობდნენ ფეხიულ, მოქალაქეობრივ და ეთიკურ მოთხოვნებს, აღიარებდნენ კაგშირის წესდებას და შეიძლება იყვნენ:
- დრამისა და მუსიკალური თეატრის მსახიობები და მომღერლები;
 - რეჟისორები;
 - დირიჟორები;
 - ბალეტმაისტერები;
 - ქორმაისტერები;
 - მხატვრები;
 - დრამატურგები;
 - თეატრმცოდნები;
 - თეატრის კრიტიკოსები;
 - თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული ყველა სპეციალობის პედაგოგები;
 - თეატრის დირექტორები;
 - დირექტორის მრადვილები, ადმინისტრატორები;
 - თეატრის შემოქმედებით-საწარმოო ქვეგანყოფილებების მუშაკები;
 - თეატრის ისტორიის და თეატრალური საქმის ორგანიზაციის სფეროში მოღვაწე მეცნიერ-მუშაკები.
- 5.3 გამონაკლის შემთხვევებში „კაგშირის“ საპატიო წევრები შეიძლება გახდნენ სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომლებმაც თავისი საქველმოქმედო ან ინტელექტუალური საქმიანობით წვლილი შეიტანეს თეატრალური ხელოვნების განვითარებაში და მოიპოვეს თეატრალური საზოგადოების აღიარება /საპატიო წევრად მიღების საკითხს გამარტივებული წესით წყვეტს კაგშირის გამგეობა და ამტკიცებს „კაგშირის“ თავმჯდომარევ.
- 5.4 წევრად მიღების საკითხს განიხილავს მიმღები კომისია, რომელსაც ქმნის გამგეობა.
- 5.5 „კაგშირის“ წევრობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება მიმღები კომისიის სახელზე;
 - ბ) თეატრის ან თეატრალური ორგანიზაციის ხელმძღვანელის რეკომენდაცია.
- 5.6 „კაგშირში“ მიღებულ პირებს გადაეცემათ საწევრო ბილეთი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.
- 5.7 პირველადი შენატანისა და ყოველწლიური საწევრო შენატანის ოდენობას განსაზღვრავს „კაგშირი“-ს გამგეობა /რომელიც ადგენს აგრეთვე შედავათებს/.

6.

შემოქმედებითი კავშირის წევრის
უფლებები და მოვალეობები:

6.1 „კავშირის“ წევრს უფლება აქვს:

- ა) „კავშირის“ ხელმძღვანელ პირს ან მუდმივმომქმედ ხელმძღვანელ ორგანოს წერილობით აცნობოს და შემდეგ, ნებისმიერ დროს, გავიდეს „კავშირის“ წევრთა რიგებიდან;
- ბ) სრული შემოქმედებითი თავისუფლებისა;
- გ) აირჩიოს ან არჩეულ იქნას „კავშირის“ არჩევით ორგანოებში;
- დ) შესაბამისი მინდობილობით იმოქმედოს „კავშირის“ სახელით და გააკეთოს განცხადება მისთვის წესდებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში;
- ე) მონაწილეობა მიიღოს „კავშირის“ შემოქმედებით და ეკონომიკურ საქმიანობაში;
- ვ) წარადგინოს წინადადებები „კავშირის“ მუშაობის შესახებ, გააკრიტიკოს „კავშირის“ მუშაობა, თავისუფლად გამოთქვას აზრი ყველა წამოჭრილ და განსახილველ საკითხზე;
- ზ) წერილობით მიიღოს მონაწილეობა „კავშირის“ ყრილობის მუშაობაში;
- თ) მიიღოს „კავშირის“ პროფესიული, მატერიალური და სამართლებრივი დახმარება;
- ი) ისარგებლოს „კავშირის“ წევრებისათვის დაწესებული სოციალური და სხვა შეღავათით;
- კ) შექმნას ან გაერთიანდეს შემოქმედებით ჯგუფში;
- ლ) მიმართოს „კავშირის“ საკონფლიქტო კომისიას, და სხვა ორგანოებს და პირებს დაცვის მიზნით, შემოქმედებითი თავისუფლების სრულყოფის, დირსების შეურაცხყოფის, იურიდიულ და საავტორო უფლებათა შეღავის თაობაზე.

6.2 „კავშირის“ წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესდებით დადგენილი მოთხოვნები;
- ბ) შეასრულოს „კავშირის“ ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილებები;
- გ) მიიღოს მონაწილეობა „კავშირის“ შემოქმედებით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- დ) დაიცვას საზოგადოებრივი ქცევისა და პროფესიული უთიკის ნორმები;
- ე) ხელი შეუწყოს თეატრალური ხელოვნების ახალი თაობის დაოსტატებასა და აღზრდას;

- ვ) ერთგულად ემსახუროს ქართულ ეროვნულ კულტურას;
- ზ) ყოველწლიურად გადაიხადოს საწევრო შენატანები;
- 6.3 „კავშირის“ წესდების დარღვევისათვის „კავშირის“ გამგეობას უფლება ძეგის გააფრთხილოს, საყველური გამოუცხადოს „კავშირის“ წევრს, ხოლო მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას „კავშირის“ გამგეობას შეუძლია გარიცხოს იგი „კავშირის“-დან.
- 6.4 „კავშირში“ შესვლა ხელმეორედ შეიძლება გარიცხვიდან 3 /სამი/ წლის შემდეგ საერთო წესების საფუძველზე.
- 6.5 „კავშირის“ საპატიო წევრს გააჩნია „კავშირის“ სხვა წევრთა თანასწორი უფლებანი. იგი არ იხდის საწევრო შესატანს.

შემოქმედებითი „კავშირის“ საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ:

- 7.1 „კავშირის“ ურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სამართლის ნორმებით.
- 7.2 „კავშირი“ უფლებამოსილია:
- 7.2.1 გაერთიანდეს შემოქმედებით საერთაშორისო ორგანიზაციაში.
- 7.2.2 დაამჟაროს პირდაპირი საერთაშორისო ურთიერთობები.
- 7.2.3 გააფორმოს ხელშეკრულება უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.
- 7.2.4 პერიოდებს საკუთარი ფილიალები საქართველოს ფარგლებს გარეთ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

შემოქმედებითი კავშირის ქონება:

- 8.1 შემოქმედებითი „კავშირის“ საკუთრებაში შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ქონება, მათ შორის:
- მიწის ნაკვეთი;
 - შენობა-ნაგებობა;
 - სატრანსპორტო საშუალებები;
 - სანატორიუმი და დასახვენებელი სახლი;
 - სამედიცინო დაწესებულება;
 - გამომცემლობა;
 - კულტურის სახლი;
 - სახელოსნო;

- ატელიე-სტუდია;
 - საწარმო და ორგანიზაცია;
 - ფასიანი ქადალდები;
 - სხვა ქონება, რაც აუცილებელია „პავშირი“-ს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.
- 8.2 „პავშირის“ უფლება აქვთ საკუთარი ქონება გამოიყენოს წეს-დებით გათვალისწინებული მიზნებისათვის და აკრძალებლია მისი განაწილება „პავშირის“ წევრებს შორის.

შემოქმედებითი „პავშირის“ ფინანსები:

9.1 „პავშირის“ ფინანსები შედგება:

- სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებისაგან;
- საწვერო შენაგანებისაგან;
- ქართველ და უცხოუელ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნებაუ-ოფლობითი შემოწირულობებისაგან;
- გრანტებისაგან;
- კანონით დადგენილი წესით სამეწარმეო /კომერციული/ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან;
- კულტურულ-გასართობი და სხვა ფასიანი დონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებისაგან;
- კანონიერი გზით მიღებული სხვა შემოსავლებისაგან;

შემოქმედებითი „პავშირის“

რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი:

- 10.1 „პავშირის“ რეორგანიზაცია /შეერთება, გაყოფა, მიერთება, გამოყოფა, გარდაქმნა/ ხორციელდება კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით.
- 10.2 „პავშირის“ რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „პავშირის“ ყრილობა და ახორციელებს „პავშირის“ გამგეობა.
- 10.3 „პავშირის“ ლიკვიდაცია ხდება:
- ყრილობის გადაწყვეტილებით;
 - მიზნის მიღწევის შემთხვევაში;
 - რეგისტრაციის გაუქმებისას;
 - მომქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების დროს.
- 10.4 ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა ან განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას მისი მოთხოვნით სასამართლოს მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

- 10.5 ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა შეწყდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაქმაყოფილდნენ კრედიტორები, ხოლო დარჩენილ ქონებას სასამართლო გადასცემს ერთ ან რამოდენიმე კავშირს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც ლიკვიდირებული „კავშირი“.
- 10.6 თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, მაშინ შეიძლება მიღებული იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.
- 10.7 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ გამოქვეყნდება პერიოდულ პრესაში.
- 10.8 ქონება შეიძლება განაწილდეს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 1 /ერთი/ წლის შემდეგ.

„კავშირის“ დაფუძნებისა და დამფუძნებლების
შესახებ
/ისტორიული მონახაზი/.

„კავშირის“ /მაშინდელი თეატრალური საზოგადოება/ ოფიციალურად დაფუძნების თარიღად განსაზღვრულია „კავშირის“ წევრთა პირველი ყრილობის თარიღი – 1881 წლის 18 /30/ იანვარი.

„კავშირის“ დამფუძნებლები არიან:

1. ილია ჭავჭავაძე /საზოგადოების პირველი თავმჯდომარე/;
2. აკაკი წერეთელი /თავმჯდომარის ამხანაგი/;
3. კოტე ყიფიანი /მდივანი/;
4. გიორგი თუმანიშვილი /ხაზინადარი/;
5. ალექსანდრე ყაზბეგი;
6. ვასო აბაშიძე;
7. ივანე მაჩაბელი;
8. ალექსანდრე ბერიძე /მხატვარი/;
9. ნიკო ავალიშვილი;
10. რაფიელ ერისთავი;
11. ანტონ ფურცელაძე;
12. დიმიტრი ყიფიანი და სხვები.

სექტამები

ნინო მაჭავალიანი

და ეს პირმშვენიერი ხანუმავ...

მე-19 საუკუნის ქართულ ტრადიციებში შერწყმულ სპარსულ-სომხურ კოლორიტს ძველი თბილისის განუმეორებელ ხიბლად თვლიან. დღევანდელი თაობისათვის ძნელი წარმოსადგენია (თუმც, მომავალი წინაა), რომ რევოლუციამდელი თბილისის ძირითადი ეკონომიკური პოტენციალი სომები დღიდვა ჭრების ხელში იყო და ისინი იყვნენ ქალაქის ფაქტიური მეპატრონენი — ეკავათ დიდი სასახლეები, ეუფლებოდნენ ქართულ მიწებს — ქარაფშუტა, ქარიხვეტია, მართლაც რომ ფანტია-შეიღლი თავადების ქონებას. ამ უაღრესად საჭირობოროტო პრობლემას, რომელიც ერის მამის, ილა ჭავჭავაძის, როგორც საზოგადო მოღვაწის, ძირითად საზრუნვას წარმოადგენდა, შესანიშნავი დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი მხიარული და უზრუნველი კომედიით გამოეხმაურა.

„ხანუმა“ თავისი უბადლო შემსრულებლებითა და ხალასი კომიზ-

მით რევოლუციამდელი ქართული თეატრის ნამდვილ მონაპოვარს წარმოადგენდა. შემდგომ წლებში პიესის საფუძველზე შეიქმნა ვიქტორ დოლიძის შესანიშნავი ოპერა „ქეთო და კოტე“, გახტანგ ტაბლიაშვილის ამავე სახელწოდების კინოფილმი. ორივე ნაწარმოებმა სომები გაჰკარი მიკიჩ ტყეუილკოტრიანცი ქართული იერის მქონე ვაჭრად მაკარ კოტრია-შვილად წარმოგვიდგინა, მისი ქალი სონა კი ქეთოდ მონათლა და ამით შეასუსტა არა მხოლოდ თავადთა და ვაჟართა კლასების, არამედ ეროვნული დაპირისპირების თემაც, რომელიც ისედაც არამთავარი იყო ამ ნაწარმოებისათვის.

გასულ საუკუნეში, რუსთაველის თეატრში — რობერტ სტურუას „ხანუმა“ რამაზ ჩხიკვაძისა და ეროსი მანჯგალაძის იმპროვიზაციული ოსტატობითა და სომხურ-ქალაქური კილოკავის მქონე, ქართულ კაბასამოსში გამოწყობილი ხანუმა-სა-



ლომე ყანჩელით ბრწყინვდა. მოგვიანებით აღდგენილი სპექტაკლი, ახალგაზრდა, ქარაფშუტა წყვილის ისტორიას ერთგვარი სცენური ორნაით წარმოადგენდა. ამ ლამაზ მელოდრამებს მიზნადაც არ დაუსახვოთ იმ სოციალური ფონის გამკეთოება, რომელშიც ეს ნაწარმოები იწერებოდა.

და აი, ოცდამეერთე საუკუნის ქართველი რეჟისორის თვალით დანახული „ხანუმაც“. ლევან წულაძემ პიესას, ერთგვარად, ისტორიზმის პრინციპით გაუსწორა თვალი, შორი რაკურსიდან დაინახა და ამ მიზნით იმავე დროში, თუმც ვეროპაში მცხოვრები პერსონაჟიც კი გამოიგონა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოადგენის პროგრამა მხოლოდ ავქსენტი ცაგარელს მოიხსენიებს პიესის ავტორად, თუმც სპექტაკლი გვარწმუნებს, რომ რეჟისორს ბევრი უშუმავია, როგორც ნაწარმოების ენის გათანამედროვების, ასევე მისი სახეცვლილების მიზნითაც. ეს ითქმის მრავალი ეპიზოდისა და სცენური პერსონაჟის მისამართით, თუმცა აქვე უნდა ითქვას ასევე, რომ ძველი თბილისის კოლორიტი ორიგინალური ხედვითა და მხატვრული სრულყოფილებით იქნა გადმოცემული. ეს ფერადოვანი, შთამბეჭდავი კოსტუმებით, მშვენიერი სცენოგრაფიით და მუსიკალური გაფორმებით გამორჩეული წარმოადგენა დედაქალაქის მოედნების თუ სხვადასხვა ხედების პანორამას არ გვიხატავს თვალწინ. პირველ მოქმედებაში პირობითი აქსესუარებით, მეორეში კი — მიკიჩ ტყუილკოტრიან-

ცის (სპექტაკლისეული მაკარისისა ხლის ინტერიერით, რომლის მთავარი ელემენტები შმობლების სურათები და დიდი ჭაღია, ასრულებს გარემოს მხატვრულ იდილიას. მხატვრის, შოთა გლურჯიძის დამსახურება ისაა, რომ ის არა გარემოს, არამედ ამ გარემოში მცხოვრებ პერსონაჟებს ახასიათებს მათი შესაფერი ყოფითი ინტერიერით, ტანსაცმლით და ამდენად, მხატვრულად ხსნის მათ ჭეშმარიტ ბუნებას.

რეჟისორი სპექტაკლის საკუთარ, ორიგინალურ ექსპოზიციას გვთავაზობს — პილოტის ფორმაში გამოწყობილი უცხოელი ქალი პატარა თვითმფრინავით ეშვება ძირს, წვიმასა და თქეშში გადმოდის მიწაზე და გრძნობას კარგავს. შემდეგ კი, გონს მოსული, იმ გარემოს გაცნობასა და შესწავლას იწყებს, რომელშიც მცირე ხნით მეგობრების, როზა ლუქსებურგისა და კლარა ცეტკინის დაგალებით მოუწვეს ცხოვრება. მისი ამოცანაა „კლასობრივი ბრძოლის სხივი ბენელ კავკასიაში“, კერძოდ კი „ბენელ საქართველოში ჩამოიტანოს“. კომუნისტი გოგონას მუსიკალურ დახასიათებას კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე ითვარება შტრაუსის „ვენის ტყის ზღაპრით“ იწყებს. პელგა პოლაკი (მსახ. ნატო ებანოიძე) გაოცებული გამოდის ავანსცენაზე და გვიყვება ქართველების უცნაური ქცევების შესახებ, როგორ შეხვდნენ თეორჩოხოსანი აზნაურები თორმეტი კალათა ვარდით, როგორ მიიყვანეს სადგურში (თავი მოტაცებულადაც კი ჩათვალა), ბილეთი აუღეს და მატარებელში



ზანუშა — ნანა შონია, სონა — ეკა ანდრონიკ შვილი, ჯამილა — მაია პაულიაშვილი,
ჯამალი — ზურა გაგლოშვილი

ჩასვეს. ან თუნდაც მეორე შემთხვევის შესახებ, როგორ იკითხა, სად იყო ბოტანიკური ბაღი, გამვლელმა კი ხელი სტაცა, სახლში წაიყვანა, ბავშვი მოანათვლინა, შემდეგ თუშეთის ორი კოშკიდან ერთი მის სახელზე გადმოაფორმა და ცხრა მუხლით ნათესაობას შეპირდა. „ასე არ შეიძლება“ — იცხადებს გაოცებული ჰელგა. სვამენ, სვამენ — განაგრძობს ის ქართველ მამაკაცებზე საუბარს, — ცოლები კი, თურმე, კმაყოფილებიც კი არიან, რადგან კერძებივით მათი სადღეგრძელოთი იწყებენ. დღეს და მათი დღეგრძელობით ამთავრებენ... ჰელგა ღროვამოშვებით წერილებს წერს მეგობრებს, კლარას და როზას და სპექტაკლიც ამ წერილების მხატვრულ ხორცშეხმას წარმოადგენს. ჰელგა უყვება მათ თუ როგორ დგამენ ქართველები ირთქმავალზე საარეე ქაბს, მეთევზები კი ან კესით თურმე

ფაზას იპარჯენ — თუ ზე უკეთ იჭირებაო. ქართველ დიასახლისებს მორზეს ანბანი უსწავლიათ და კულინარულ რეცეპტებს ტელევრაფით გადასცემენ ერთმანეთს... ეს შესანიშნავი იუმორისტული ლიტერატურული ჩანართები, რომელიც პირსაში, რა თქმა უნდა, არ არსებობს, რაღაც სხვაგვარ შუქს ფენს იმდროინდელი საქართველოს ყოფას და თითქოს უფრო ახლოს გვახედებს მასში.

სურათი იცვლება. სცენა კველა ჯურის ხალხით იქსება. ვაჭრები, თვადები, კინტოები მიდი-მოდიან, ხმაურობენ, ჰელგა კი შეწუხებული და დაბნეულია — მისია უფრდება. ქალაქში არავითარი დაძაბულობა არ შეიმჩნევა. აქ უცნაური მეგობრობა-მეზობლობა და ურთიერთსიყვარული გამეფეხულა. „როგორ ვიქადაგო კლასიბროვი ბრძოლის აუცილებლობა იქ, სადაც კლასები ერთმანეთს არ ებრ-



ძვიან“ — წერს წერილში მეგობრებს.

1901 წელი, ჩუღურეთი — აცხა-
დებს პელგა პოლაკი და დიდ სცენაზე
მდგარი პატარა კვადრატული სცენა
მაყურებლის მიმართულებით მოძრა-
ობს. მასზე ვანო ფანტიაშვილი შემდ-
გარა თავისი განუყრელი ამალით და
ქიფობს. სცენის სიღრმეში თეთრი
ფარდა ეშვება და თავადის მიკრო-
სამყაროს მყუდრო იდილიას ქმნის.
მოქეიფენი სადღეგრძელოებით საუბ-
რობენ. „სამოთხეში თურმე ქართვე-
ლებისათვის მიწის ნაკვეთი ყოფილა
გამოყოფილი, ხელმარჯვნივ... ხელ-
მარჯვნივ... — ისე დაწვრილებით აღ-
წერს ვანო-ზუგა პაპუაშვილი სამოთ-
ხის მიმდებარე ტერიტორიას, თითქოს
ერთი საათის წინ გამოსულიყოს
იქიდან (რა ირონიაა, არარსებულ
მიწებს შენატრის ვანო და საკუთარ
მამულებს კი მაკარს უპრობლემოდ
დაუთმობს მომავალში). სპექტაკლის
ლიტერატურული ქარგა ამ პიროვ-
ნებას მარტო გვარით კი არა, აზროვ-
ნების ფორმითაც გვაცნობს) „თუ
წმინდა ქართველი ხარ, კატები და
ძაღლები პირს არ გახლებენ — აგრ-
ძელებს ვანო თხრობას, თუ სომქი...
ვანოს თანმხლები კინტო გიგო შეში-
ნებული უკან იხევს, თავადები კი
ხუმრობას განავრძობენ, გაგრიწკ-
ნიანო. ვანო ფანტიაშვილი სადღეგრ-
ძელოს ლექსითაც ავარაყებს და
ექსტაზში შესული მოულოდნელად
თავის მოკვდას გადაწყვეტს. აბა,
რაღაა აქ ცხოვრება. ისევ იქ, სამოთ-
ხეში, დიდებულ წინაპრებთან ყოფნა
სჯობს. გიგო სასწრაფოდ იხსენებს,
რომ ჩაქაფულის დრო მოდის და

თავადების შუაში ჩამდგარი კარგი,
თიკნის ჩაქაფულის „მომზადებას“
იწყებს. გიგო (მსახ. გია გოგიშვილი)
დიდი ქვაბიდან დაწყებული და ტარ-
ხუნა-მწვანილებით დამთავრებული,
მაღისაღმძერელად „ამზადებს“ წუგ-
ბარ კერძს. თავადებიც ამ საქმეში
ჩართულან და „ნელა, ნელას“ შეს-
დახიან. მიზანი მიღწეულია — პირზე
ნერწყვმომდგარი ვანო თავის მოკვ-
ლას სხვა დროისათვის გადადებს,
„ჩაქაფულის დროს ქართველ თავადს
თავის მოკვლა არ ეკადრებაო“ —
ასკვნის, სამჯერ პირჯვარსაც კი
იწერს, რომ ეს ცოდვა არ ჩაიდინა და
მხიარული ამალით ჭრელი აბანო-
ებისაკენ მიემართება.

მხატვარი თავადთა დასახა-
სიათებლად თეთრ და შინდისფერ
ჩოხებს გვთავაზობს, მაგრამ ვანოს
ევროპულ ტანსაცმელში წარმო-
გვიდგენს. ვანო-პაპუაშვილი არც ისე
ასაკუნი მემამულეა. ის ცეცხლოვნი
ტემპერამენტის მქონე, ფიცხი, ჯი-
შიანი ქართველი თავადია, რომლის
დროსტარებისა და უდარდელობის
მიღმა რაღაც პიროვნული კომპლექ-
სები, გაუტედაობა და ცხოვრების შიში
დაბუდებულა. საცოლის სანახავად
გამზადებული ბავშვითი ებლაუჭება
პელგას, ირგვლივ მყოფებს შევლას
თხოვს, თითქოს გრძნობს, რომ
ცხოვრებამ გარიყა. „ვანოს სევდა
მეგობარი გაუხდა“. მაგრამ ამ სევდას
ახლობლების მეტი ვერავინ ხედავს.
ყველაზე უკეთ მას და, ქნეინა თუკლე
უგებს. ქალური ეშხით სავსე. მშვე-
ნიერი ქართველი მანდილოსანი (მსახ.
მანანა კაზაკოვა) დროსტარებაზე ჩა-

დენილი უმსგავსი საქციელისათვის (რომელიც ალბათ არც პირველია და არც უკანასკნელი) დასასჯელად წაყვანილი ძმის სანახავად თავად ვარ-ლამ გურიელთან მიღის. ის განაწყენ-ბული ითხოვს ძმის გვერდით საკანში ყოფნას. თეკლეს სილამაზითა და თავდადებით მოხიბლული ქალაქის თავი (მსახ. ზაზა გოგუაძე) ჯერ სუს-ტად უარობს, მაგრამ კენიას პატია ქალური გაწიმატების შემდეგ, რაც თავადს საბოლოოდ აჯადოებს, ის დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, რომ თეკლე ასე ანერვიულა, პურმა-რილსაც კი კისრულობს.

და-ძმის სცენური პორტრეტის მოხაზვის შემდეგ ჰელგა კიდევ ერთ წერილს წერს მეგობრებს: „მსოფლიოში აბანო არის ადგილი, სადაც ხალხი მიდის, ბანაობს და სახლში ბრუნდება. ქართველები აბანოში მიდიან, ბანაობენ და სახლში აღარ ბრუნდებიან“. ისინი აბანოში იყრიან თავს, ქეიფობენ, მხიარულობენ და ატარებენ დროს. „რა ფილტვები უნდა გქონდეს, რომ მოელი დღე გოგირდის ოშმიერში იჯდე“, ჰელგა — ნატო ებანოიძე გაკვირვებული სახით, უცხოელის მორიდებული ქცევებით და ემოციური თხრობით არა ერთხელ იწვევს მაყურებლის მხიარულ ემოციებს. ჰელგა აბანოში შეცდომით მამაკაცების განყოფილებაში ხვდება და მას ზარ-ზეიმით მიიპატიუებენ კიდევ. სამაგიეროდ, ასე არ ექცევიან მაკარ ტუშილგოტრიანცს.

მექისე ბიჭები ვაჭარს აბანოში არ უშვებენ — ვანო ფანტიაშვილის ხუშ-ტურების ეშინიათ და მართლებიც

არიან. ორშაბათია, ტარაქენებული ვჰყლეტთ — რას არ იგონებენ ბიჭები და ვანო ფანტიაშვილიც მოღის. გაღიზიანებულია თავადი — ქალაქის უმდიღესი კაცი საერთო განყო-ფილებაში აპირებს ბანაობას. მარ-ტოობა მტანჯამს — თავს იმართლებს ვაჭარი (მსახ. ბესო ბარათაშვილი). მარტოობა კი არა, კრიუანგობა გტანჯავს — ბრაზობს ვანო. განსხვა-ვება თავადსა და ვაჭარს შორის მართ-ლაც დიდია. ვაჭარმა ფულის ყადრი იცის, თავადმა კი — დროსტარების. ერთი შრომასაა შეჩვეული, მეორე — უზრუნველობას. რათა ხარ სომხი? — ბრაზობს ვანო. მას ჰეონია, რომ მაკარის ხასიათი სომხობამ ჩამოაყა-ლიბა და არა ვაჭართ კლასმა. მაკა-რი-ბარათაშვილი შექსპირის შაილო-კის მოხოლოგით პასუხობს, გაოცე-ბულ თავადს უხსნის, ვისი სიტყვებით მიმართა, „TEMHOTA“ — ასკვნის ვაჭა-რი და მიღის. და რა თქმა უნდა, რეჟისორი მართალია — ეს ფენა განათლებას იღებს, შვილებს, თავა-დთა მსგავსად, უცხოეთში აგზავნის სასწავლებლად, ფულსაც შოულობს და წილებასაც ეპოტინება. მართალია, ახალგაზრდა კოტე ფანტიაშვილიც უცხოეთში სწავლობს, მაგრამ ჯერ ხეირიანად უქმნება კი ვერ დამდგარა, ყოველ გამოჩენაზე ძირს ეცემა (მსახ. ტატო ჩახნაშვილი). კოტე-ირაკლი ჩოლოუაშვილი კი არც ბავშვია და არც ის პოეტურობა და კეთილშობილება გააჩნია, რაც მის ბიძას. კოტეს შეუძლია საყვარელი ქალის მამა და ბებია ისე გააბატრინოს გურულ ფირალებს, რომ სინდისმაც არ შეაწუხოს, თუმც

მუშტი-კრიზი ჰქვია“ — ეს ჰელგა
პოლაკის მორიგი წერილის პირველი
სტრიქონია.

ქაბატოს მაჭანკლობას კარგი
პირი არ უჩნას, მაგრამ ეს ბუნებრივი-
ცა, რადგან ქალაქს ორი მაჭანკალი
არ სჭირდება. თბილის უკვე ჰყავს
პირმშვენიერი ხანუმა — აღმოსავ-
ლეთული ლამაზმანი, რომლის ხელშია
მოქცეული არა მხოლოდ არისტო-
კრატიის, არამედ ამ ქალაქის ფელა
ფენის წარმომადგენლის ბედი —
გერაგინ დაქორწინდება მისი ნებარ-
თვის გარეშე.

ქორწინების ეს ქალღმერთი პირ-
ველად თავად ვარლამ გურიელის
ქეიფზე გამოჩნდება. ის არა სუფ-
რასთან, არამედ ზედ სუფრაზე მოკა-
ლათუბულა ნუგბარი კრძოით წითელი
ოქროსირმული ტუნიკით, რომელიც
მთლიანად არ უფარავს მოშიშვლებულ
შევენიერ მკერდს, შავი დალალებით,
რომელსაც ხან ჩაღმა უშვენებს და
ხანაც კეკლუცად იყრის მხრებზე, ლა-
მაზი გარდისფერი კაბითა და აღმოსავ-
ლერი მაშიებით, საიდანაც კოპწიად
მოულილი შევენიერი წვევები მოუჩანს,
ის ხიბლავს კველას. ხანუმა მომაჯა-
დოებლად ცეკვას, როკავს აღმოსავ-
ლერ ყაიდაზე, ლადო ასათიანის დვინის
ქალივით ბროლის კბილებს აჩენს,
გადაბმულ შავ წარბებსა და თვალებს
ეშხიანად ანათებს კველას და ამიტო-
მაც აბარუბენ მას საკუთარ ბედს — ის
შესაფერის წყვილებსაც ქმნის და კარგ
მოგებასაც ნახულობს. ნანა შონიას-
ხანუმას ფული ძალიან უყვარს და არც
მალავს ამ გატაცებას. ერთი საიდეა-
რულო სტრიფის ან წერილის და-

თეკი გაშჩრდელ ბიძას ცოლს აცლის,
ალბათ ამის გაკეთებაც შეუძლია —
ასკვნის რეჟისორი. შეიძლება ითქვას,
რომ ქლასთა ბრძოლა კი არა, საქა-
რთველოში ხდება ერთი კლასის მიერ
მომავლის სადაცების ხელში ჩაგდება
შევიდობიანი გზით — ტკბილი სიტყ-
ვითა და ნათესაური კავშირების
დამყარებით — ახალგაზრდა თავა-
დები თავისებურად იბრძვიან მომავ-
ლისათვის, ასაკოვანები კი (ვანო)
სევდიანად შეცექრიან მომავალს და
ბედს ეგუებიან.

თავადთა ამქარს, უცხოელ
აგენტს, მაკარ ტყუილკოტრიანცს კი-
დვე ერთი პერსონაჟი ემატება ქაბა-
ტოს სახით. ქაბატო (მსახ. ბარბარე
დვალიშვილი) ჭრული აბანოს მამა-
კაცთა განეოფილებაში ცხადდება
ვანოს სამაჭანკლოდ. ის ნაცრისფერ
ქართულ კაბაში გამოწყობილი კახე-
ლი დედაკაცია. მსახიობი თავისი გმი-
რის მდაბით წარმოშობას ხშირი
თავის ქექვით, გაგვირვებისგან დაელ-
მებული თვალებითა და მოულოდნელი
შეკვლებებით გამოხატავს. ქაბატოს
სოფლური ემბაკრბა და რაღაც ხრი-
კები აქვს მომარაგებული თავის ქა-
ლურ არსენალში. „გიგო, მოდი ხელი
მომხვიერ, მეორეცა“ — ეუბნება ის
ბიჭს და განო ფანტიაზილის დანახ-
ვაზე მიწაზე წვება კივილით „ეს რა
გამიბედა, „პრედლაჟენი“ გამიკეთო.
ვანო ქაბატოს ქცევას იკვირვებს, მაგ-
რამ საპატარძლოს ვინაობის გაგების
შემდეგ კინწისკვრით აგდებს აბა-
ნოდან, სადაც გვარიანი აყალ-მაყალი
იმართება.

„ქართულ ნაციონალურ სპორტს

წერაში ათოუმნიანებს იღებს.
თავადი ვანო ფანტიაშვილი იყიდ მასაც თავისი ამაღა
დაპყვება, რომელსაც აღმო-
სავლურ ენაზე ესაუბრება.

ეს ახალგაზრდა ხანუმა
ჰარამხანიდან გამოპარულ
შეითუნახავს პეტა, რომე-
ლიც თბილისში დასახლე-
ბულა და თავისი ჭკეუითა და
მოხერხებით ქართველებს
თვის ნებაზე ატრიალებს. და
არა მხოლოდ ქართველებს...

საქოს (მსახ. კახა აბუაშვილი) და
სიქოს (მსახ. დუტა სხირტლაძე) ხანუმა საოცნებო ქალად დაუსახავთ,
ანუ, როგორც ხანუმა განუმარტავს
სონას, მის დანახებაზე თვალებიდან
სულ „კრასნი პეტუხები“ სცვივათ.
მსახური ბიჭების ეს დუეტი, კინო-
ფილმის ამავე პერსონაჟთა მსგავსად,
პიესისეული ერთი აკოფას გაორუბულ
გარიანტს წარმოადგენს. სპექტაკლის
ამ წევილს არა ფილმისეული ყარა-
ჩოლული მანერები და უზადო კომიზმი,
არამედ სომხური ანგარიშიანობით
დამძიმებული გონება და ვაჭრული
ინტერესები ახასიათებთ. საქო და
სიქო ცეკვავენ, (ქორეოგრაფი გია
მარღანია თვითეულ მსახიობთან
დიდი ოსტატობით მუშაობს და ეს ემჩ-
ნევა მოელ სპექტაკლს), მსჯელობენ,
ურთიერთობენ პერსონაჟებთან,
მაგრამ ისინი არც ისე სასაცილონი
არიან. სიქო მიამიტია, საქო — უფრო
ხერხიანი და ცდიერი. შესაძლოა,
რეაქციონის მას შემდეგ, რაც მათ არა
მსახურების, არამედ მიკიჩა-მაკარის
ნათესავების სტატუსი მიანიჭა, ეს



ხანუმა — ნანა შონია, საქო — კახა აბუაშვილი,
სიქო — დატა სხირტლაძე

მხიარულება კი არა, მიკიჩას სახლის
უფრო დაწვრილებითი დახასიათების
სურვილი ამოძრავებდა, რაც უდავოდ
იქნა მიღწეული. ხანუმა სონას მა-
ლავს და ბიჭების მოხიბვლას აპირებს,
რომ მაკარი სახლიდან გაატყუები-
ნოს. ხანუმა-შონია ტახტზე ვნებია-
ნად წამოწვება და მაშიებწამოცმელი
ლამაზ ფქს უტრიალებს თვალწინ
ბიჭებს, რომელთაც ელეთ-მელეთი
ემართებათ, ენა ებმებათ. აღმო-
სავლური მუსიკის ჰანგზე ხანუმა
თეძოებს მომხიბლავად ათამაშებს.
არც ერთი მოძრაობა არ რჩებათ
საქოს და სიქოს შეუმჩნეველი. მოხერ-
ხებული საქო და მიამიტი სიქო
ერთნაირად ლენჩდებიან. ხანუმა
მომხიბლავ ენასაც არ აჩერებს და
ქალაქურად აქებს და აჯადოებს
ბიჭებს — „ეს რა წითელკოპლებიანი
კალმახებივით აფართხალდით, ბიჭე-
ბო“, „ერთი აქეთ ჩამოსხედით, ასტრა-
ხანის ზუთხებო“. და ბიჭებიც თავებს
დებენ, რომ ხანუმს „ბლაგასკლონნი“
გამოხედვა და სალაში დაიმსახურონ
მომაგალში.

შესატვარ შოთა გლურჯიძის მიერ შესანიშნავი ფერადოვანი გამით არის ამტესებული სურათი ქსოვილების დუქანში. კინტოს შავ შარვალში ჩაცმული ტანკენარი ხანუმა კოტეს და სონას ელოდება. ის ორივეს ფულებს ცანცლავს და ქორწინების საქმის მოკვარახჭინებას პირდება. ამასობაში მაკარის სახლში ქაბატო მოდის. ხანუმას არც მისი სახლში ყოფნა სურს, მაგრამ კინტო გიგო, რომელსაც თავისი ანგარიშები აქვს ქაბატოსთან, მის მოშორებას პირდება ხანუმას და გულის წვეთების ნაცვლად თავის გულის რჩეულს ლენცოფას ასმევს. ბეღნიერი ქაბატობარბარე დვალიშვილი ოცნებებში ქვევა. ის ბოდვას იწყებს, ჰეპლებს დასდევს მინდორში, ყვავილებს კრეფს, დაფრინავს, გიგოს ეძახის და მალე ჩაეძინება კიდევც. გიგო, საქო და სიქო ქაბატოს ჭალზე შემოღებენ და მიდიან. ასე რომ პატარძლის სანახავად მოსული თავადები ტყეუილკოტრიანცის სახლში ჭალზე შემოღებული ქალის დანახვაზე უკვე უხერხულობას გრძნობენ ერთმანეთს შეცემერიან, მაგრამ ვანოს ხათრით ხმას არ იღებენ. რეჟისორმა ამ ერთი დეტალით შეძლო თავადთა უხერხულობის სცენური ახსნა.

პატარძლის კაბაში გამოწყობილი ხანუმა ენაბრგვილობს, იჭყანება, ვანოს საპაერო კოცნებს უგზავნის და არანორმალურის შთაბეჭდილებას ტოვებს. კინოფილმ „ქეთო და კოტეში“ საქო და სიქო შიმობენ, ერთიც ვნახოთ და მართლა მოეწონა ხანუმა ბატონსო. ამის მხოლოდ წარმო-

დგენაც კი ამხიარულებდა მათ საკუთრი ტაკლში კი ვანო და თეკლე განცვიფრებულები შეცემერიან პატარძალს, მაგრამ უფრთხილდებიან რა როგორც მაკარის ოჯახის, ისე საკუთარი ოჯახის ღირსებას, დედის ნაქონი ბეჭდით მაინც ნიშნავენ. გაოცებული ხანუმა იძულებულია აღიაროს სიმართლე. ვანო ხმალს იშიშვლებს და თეკლე აღარ უშლის, სამართლიანი რისხვა დაატეხოს ამ ოჯახს თავზე. ეს ვერსია ორიგინალურია და საინტერესო. სახლში დაბრუნებული მოტყუებული მაკარი, რომელმაც ღამე კოტეს მეგობრების გამო ტყეში გირჩივით მიბმულმა გაატარა, გამწარებული მკერდს უშვერს თავადს. თავადთა თხოვნით ვანო და მაკარი რიგდებიან მანამ, სანამ ვანო სონას ნახავს, თუმცა ახალდაქორწინებულთა დანახვის შემდეგ ის პისტოლეტს იხლის შუბლში და მაკარის ხელზე გადაესვენება. ეს რა მაკარი ბიჭო, როგორ არ მენდე — წუხს კეთილშობილი თავადი. კოტე კი არ წუხს. მაკარი გულიანად დასტირის თვეის „ხანჯალა ვანოს“ (როგორც საქო და სიქო ეძახიან). მხოლოდ თეკლე იღიმება, რადგან თვეის გიჟმაჟ მმას ტყვიები ამოუღო იარაღიდან. ასე ცელქობენ რეჟისორი და მსახიობები „ხანუმას“ თემაზე და ეს ნიჭიერი ცელქობაა.

სპექტაკლმა პიესის მრავალი სცენის ორიგინალური ვერსია და ეპიზოდი შემოგვთავაზა, რომელთა შესახებ არა მხოლოდ მსჯელობა, არამედ მათი მხოლოდ დაფიქსირებაც კი საინტერესოდ მიმაჩნია. და აი,

ფინალური — კოტე ბიძის მემკვიდრეა და მისი მაშულები ბოლოს ვაჭრის ხელში მოექცევა მომავალში. უფლი არაფერია — ამბობს მაკარი — ბესო ბარათაშვილი. ბიჭების შეახილზე კი ასწორებს ნათქვამს — „მარტო უფლი არაფერია“. მთავარი მიწაა. ის არის რეალური სიმდიდრე. მაკარის აღმზრდელი სირანა (მსახ. ქეთი ცხაკაია) შორს იხედება და დიდ მონოლოგს წარმოოქმნას ოჯახის მომავალ გეგმებზე, იმ დიდ ქვეყანაზე იწყებს საუბარს, რომელშიც მისი შთამომავლები იცხოვრებენ. რეჟისორი ნათლად გამოკვეთს სპექტაკლის მთავარ სათქმელს. ქეთი ცხაკაია სომ ქი დედაკაცის დაუვიწყარ მხატვრულ სახეს ქმნის. სირანა ბაბოს გუდისწყრობას ქეთოსადმი მოფერება. ცვლის. „შეგეშინდა ბაბო“. ეს შეფასება გულწრფელიცაა და სასაცილოც.

ეს ფერადოვანი სპექტაკლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესანიშნავი მუსიკალური გაფორმებითაც გამოიჩინება. ლირიკულ სცენებში კომპოზიტორი შტრაუსის მუსიკას გვთავაზობს, მხიარულ ეპიზოდებს კი კახიძის იმპროვიზაციული მხიარული საცეკვაო მელოდიები ენაცვლება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინება ხანუმას ცეკვები და თავადთა ლხინის მელოდიები.

უნდა ითქვას, რომ ლევან წულაძის სპექტაკლმა ახლებური შუქით გაანათა განო ფანტიაშვილის პერსონაჟი. კლდიაშვილის გმირების მსგავსად, განოს დროსტარუბას დიდი სევდა და გულისწუხილი ახლავს თან. აკაკისა არ იყოს „რა იციან, რომ ეს გუ-

ლი მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ ცრუმლზე მწარება“. სპექტაკლში ეს აზრი ვანოს სიტყვებითაც გაიჟღურებს: „ვინ დამწევევლა ვისი წევლა ამიხდა, ვანოს სევდა მეგობარი გამიხდა“. განსხვავებით ეროსი მანჯგალაძის მომხიბლავი და უდარდელი პერსონაჟისან, ზუგა პაპუაშვილის არანაკლებ მომხიბლავი გმირი ამბივალენტურ გრძნობებს ამჟღავნებს და მისი სცენური პორტრეტი თავისი სევდითა და ლექსის ამ სტრიქონების პერსევერაციით მეტ სიღრმეს იძენს.

თუმც სპექტაკლის მთავარი გმირი მაინც პირმშვენიერი ხანუმა, რომელიც ერთი წუთითაც არ ისვენებს — „სანამ თქვენ ამ „პერეგავორებში“ იყავით, მე კიდევ ერთი ქართული ოჯახი შევქმნიო — აცხადებს და ახალდაქორწინებულ გიგოსა და ქაბატოს წარმოგვიდგენს.

საქართველო, როგორც ჩანს, არც ადრე ჯდებოდა ევროპული კოფის სტანდარტებში და არც ახლა ჯდება...

ჰელგა პოლაკი უკანასკნელ წერილს წერს მეგობრებს, მადლობას უხდის, რომ საქართველოში გამოაგზავნეს და საშმობლოში მითვინიავს. მისთვის, ისევე როგორც უკვე საქართველოს დღვენდელი თაობისათვის, ძველი თბილისი ერთი განუმეორებელი აღმოსავლური ხიბლის მქონე ქალაქია, რომლის ისტორიაც ყოველი ჩვენგანისათვის და უკვე მისთვისაც ახლობელია და ძვირფასი.

ამ ისტორიას კი მხიარულ კომედიაზე უკეთესი ფორმით აღბათ ვერავინ გაიხსუნებს.

ზღაპრის გმირები ჩასახლებულან,
უამრავი სასწაულის, სიზმრის თუ
ოცნების სკივრია.

თეატრალურ სარდაფში რეჟი-
სორმა ნინო ლიპარტიანმა „ბალზა-
მინოვის ქორწინება“ დადგა. ეს პიესა
ა. ოსტროვსკის ტრილოგიის „მოსკო-
ვური სურათების“ მოტივებზე
შექმნილი. „Ярморочныят театр“-ის
ელფერში გადაწყვეტილი ეს სპექ-
ტაკლი პოპულარული რუსული ხალ-
ჩური ზღაპრის „ფანუშკა სულელის“
თავისებურ ინტერპრეტაციად იქცა.
უცრო სწორად, მასში ჩადებული
სიბრძნის ამოკითხვის და ხალხი-
სათვის გაზიარების სრულიად გამა-
რთილებულ და წარმატებულად
დაგვირგვინებულ მცდელობად.

ისტროვსკის დრამატურგია ძა-
ლიან ახლოს არის ხალხურ შემოქ-
მედებასთან. ლიტერატურათმცოდ-
ნებმა გამოთვალეს, რომ მას თავის
პიესებში 107 ანდაზა თუ ხალხური
გამოთქმა აქვს ნახმარი. მართალია,
მისი კომედიები სოციალურ პრობ-
ლემებს ქება, ტიპაჟებიც ყოფითაა,
მაგრამ მისი ბალზამინოვი სათავეს
სწორედ „ფანუშკა სულელის“ ზღაპ-
რიდან იღებს.

პიესა ნამდვილად საინტერესოა
და არა ერთხელ დადგმულა ქართულ
სცენაზე, თუმცა განსაკუთრებული
წარმატება, ვგონება, არასოდეს უზე-
მია.

ზღაპარი დროის მიღმა არსე-
ბული მოვლენაა, მასში კოდირებულია
არა მხოლოდ მისი შემქმნელი ერის
ჩვეულებრივ მოკვდავთა ხასიათის

მაია გაბუნია

„ბალზამინოვის ქონინერი“

„Никто души
моей не знает“
ძეველი რუსული რომანი

ჭრელი ნაკუშებისგან შეკერილი
ფარდა, წითელი ფერის სიუხვე, რუ-
სულ ყაიდაზე დალაგებული ბალი-
შები, დიდი სკივრი თუ უხარმაზარი
„სამოვარი“ საკმარისია იმისათვის,
რომ ზღაპრის ატმოსფერო შეიქმნას.
ზღაპარი კი იმ სამყაროზე მოგვითხ-
რობს, სადაც ყოველი კუთილი ადამია-
ნის ნატვრა აუცილებლად ახდება,
სადაც ბოროტება კოველთვის და
უპირობოდ მარცხდება. ამისათვის
ყოველგვარი ძალა — ხორციელიც და
უხორცოც, დასახმარებლად გამო-
გვიწვდის ხელს. პატარა ქოხი, სადაც

მთავარი თვისებანი, არამედ მთელი კაცობრიობისა. ისიც შეგვინიშნება, რომ სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრებს ერთი და იგივე შინაარსი აქვს და განსხვავება ნიუანსობრივია. აქ ადამიანების ღრმა და ნამდვილი ვწეტები ბობოქრობენ.

ზღაპრების იმდენი ინტერპრეტაცია არსებობს, რამდენი ნაკერიც აქვს სპეციალის ფარდას და ყოველი მათგანი ახალი პლასტის ამოწევის, თუ აზრის ამოხსნის სიმბოლიკაა, რაც უფრო მეტია აღმოჩენა, მეტია იდუმალებაც, რადგან ის სიღრმები საიდანაც ზღაპარი იბადება, მისტიკური და სრულიად შეუცნობადია.

თუკი მხატვარმა ეკა ამაშუკელმა სპეციალში ზღაპრის ატმოსფერო შექმნა, რეჟისორმა ნინო ლიპარტიანმა იგი იგავადაც აქცია. ის უნდა ამოიხსნას. ამისათვის, თვალი უნდა მიგადევნოთ „ივანუშკა სულელის“ ამბავს და გავიგოთ, მართლა ასე კეთილია ეს ზღაპარი და მართლა ბედნიერდებიან მასში ჩასახლებული ადამიანები?

სცენის უკანა მხარეს რეჟისორმა საპირფარეშო მოათავსა. იქიდან გამომავალი ხმაური პერსონაჟების ფსიქიკაში ძლიერ ექოს იწვევს და მათ აზროვნებას და სურვილებს შეესაბამება, ამასვე ემსახურება შემდეგ სცენაში ანალოგია ზღაპრიდან თაღვანის შესახებ. ცოლის შერთვის პერსპექტივით გახარებული მიშა ბალზამინოვი საპირფარეშოში ვარდება, დედა, მატრიონა და მაჭანკალი თაღვანით ამოათრევენ და თან დასცი-

ნიან (საერთოდ, მიშას სულ შეცვლილია) თუკი ამ სცენაში ჩადებულ აზრს რუსული ხალხური სიზმრების წიგნის მიხედვით ავხსნით, ტუალეტიში ჩაგარდნა ბევრი ფულის შოვნას ნიშნავს. ამ ადამიანისათვის კი სიზმარს, დაუკერებელ ისტორიებსა და (რასაც თითქმის ყველა პერსონაჟი ხალისით ჰყვება და იჯერებს) რეალურ ცხოვრებას შორის ზღვარი არც არსებობს.

ზღაპრიდან გადმოსულ ივანუშკას ნიდაბი სარდაფის ბალზამინოვში მთელი თვეის მრავალფეროვნებით აირეკლა. ივანუშკას ოცნება კარგა ხანია ეველამ იცის. მას უსაქმურობა და მდიდარი ცოლი უნდა. ტყუილი ადამიანებით ურთიერთობას ყველაზე მოსახერხებელ საშუალებად მიაჩნია. ასე ადვილად აღწევს მიზანს, თითქოს ყველაფერი გასაგებია. „მაგრამ“ არსებობს მაგრამ, თუკი ამაშია ყველა გასაღები, რატომ არ არის მიღიონობით ადამიანი ბედნიერი? — მოატყუებ, ოფლს არ დაღვრი და აუცილებლად გაგიმართლებს. მნელი დასაჯერებელია, რომ ამას ამბობს ზღაპარი, სადაც კაცობრიობის უდიდესი სიბრძნე არის ჩადებული. ამიტომ იწვევს ეს მოვლენა განსჯის, ამოცნობის, ამოხსნის სურვილს. ამ სპეციალის მიზანიც ეს არის.

კოტე თოლლორდავას მიშა ბალზამინოვი შზითვზე მონადირე კაცია, რაც საზოგადოებისათვის უცხო არასოდეს ყოფილა, ისევე, როგორც გათხოვების მომლოდინე და სხვა არაფერზე მაფიქრალი ქალბატონები.

მაგრამ ყველაფერს ართულებს ამ საზოგადოების მიერ გამოტანილი დევიზი — „ფულს ფული უნდა დაემატოს“, მიშას კი, არც ფული აქვს და არც ჭიუა, სამაგიეროდ აქვს ოცნება: — ყოველ დამე სიზმარში თეთრად შემოსილი ბალერინა ეცხადება — მიშას არაცნობიერი ბუნება ნამდვილი სიყვარულის სურვილით არის გაჯერებული, მაგრამ აკვიატებული სიზმარი გააზრების ობიექტად არ იქცევა, რადგან, გამოღვიძება იმ სამყაროში უწევს, სადაც ასეთ გრძნობებს ადგილი არა აქვს. (სხვათა შორის, არც ოსტროვსკის ბალზამინოვს ახასიათებს მსგავსი რამ, ეს მხოლოდ სარდაფის შეირჩევაზე გმირის პრეროგატივა). ეს თეთრი ბალერინა რუსული ხალხური ზღაპრისათვის ასევე დამახასიათებელი სახეა. „თეთრი გედია“, ამ ნიღაბს სახეცვლილების უნარი აქვს და ყველას ისე ეცხადება, როგორც თავად თვლის საჭიროდ. სწორედ ეს ოვისება გადაიქცევა რეჟისორის ხელში მომგებიან ხერხად ფინალურ სცენაში.

მიშა საკუთარ ბუნებას, სურვილებს გაუცხოვებია და ცდილობს დაემორჩილოს იმ შეხედულებებს, რომელსაც დედა და გარშემოყოფნი სთავაზობენ. ვერც ამას ახერხებს, რადგან მისი ნამდვილი სულიერი ვნება ფული არა არის, საბოლოოდ სრულიად თავგზააბნეული ვეღარ იგებს, რატომ არ შეიძლება პყვადეს ორი ცოლი, ერთი მდიდარი და ერთი — ლამაზი. ამით ხომ მისი ოცნება და

რეალობა გამოლიანდება, მით სუმტეს, თუ ეს ქალბატონები მეზობლებიც არიან და ღობის აღებაც საკმარისი იქნება. ეს სევდიანი უტვინო ნიღაბი ვერ იგებს, ატყუებენ, დასცინიან თუ იყენებენ და ორდესაც „ნატურა აუხდება“ არ ებადება კითხვა — მართლაც აუხდა ოცნება, თუ კვლავ დასცინეს?! მაგრამ ამჯერად ძალიან სერიოზულად და თან კეთილმა ძალებმა, რომლებიც მხოლოდ დასახმარებლად არიან მოწოდებულნი.

სპექტაკლი გიქმნის შთაბეჭდილებას, რომ რეჟისორ ნინო ლიპარტიანის მიერ მსახიობებისათვის შეთავაზებული სახელოვანი საშუალებები არ გულისხმობს მრავალფეროვან საშემსრულებლო ხერხებს. ისინი უფრო ნიღბის ფორმას ირჩევენ. თავისთვალი ეს საინტერესო ფორმაა, მაგალითად მაია ლომიძის მატრონა, სტატიკური უმოძრაო ნიღაბია, რომელსაც დეკორაციის გამოცვლის სცენაში შეეძლო საკუთარ ნიღაბთან გაუცხოების უფრო გამომხატველი საშუალებებისათვის მიემართა. მაგრამ ეს ისე, მხოლოდ კეთილი რჩევის სახით. თორემ მის მიერ სიმღერის შესრულება, ვითომ დროის გასაყვანად, ზუსტად გამოხატავს ამ ნიღბის ნამდვილ ტრაგედიას. სიცოცხლისაგან, შემოქმედებისაგან სრულიად დაცლილს ყველაფერი მობეჭრებია. სცენა, სადაც ერთფეროვნებისაგან დაქანცული მატრონა ტირის, მკრთალ იმედს ბადებს, რომ ეს პროცესი სტიმულია მინი-

მალური ცვლილებებისათვის მაინც. მაგრამ ეს წამიერი გამონათება აღმოჩნდება და ნიღაბი ისევ უბრუნდება მისთვის ჩვეულ სიზმრებისა და ხილვების სამყაროს.

ვერიკო მჭედლიძე მაჭანკალის მარტივ ნიღაბს სულ რამოდენიმე შტრიხით ქმნის. სასაცილო ვარცხნილობა, წითლად შეღებილი ლოყები, ეშმაკური გამოხედვა. ეს სახე კი მეტი მოქმედების საშუალებას იძლევა.

მიშას და დედამისს, რუსუდან სავანელის გმირს „ფეხშეწყობილი“ ურთიერთობა აქვთ. ისინი საერთო მიზნით არიან შეკავშირებულნი. ამიტომაც უკვირს შეიღის სიზმარი სიზმრების ახსნის ოსტატს, ვერ იგებს, მაინც საით მიაქრის მიშა თავისი საოცნებო თეთრი ცხენებით. მაგრამ მიშამ თვითონაც არ იცის ეს და არც აინტერესებს. სწორედ ეს უმიზნობა აგდებს საკუთარი დედის კაბალაში, დედისა, რომელიც „თმაგაჩეჩილი ყაჩალის“ ასოციაციებს აღმრავს. ის და მისი შვილი ხომ სხვის ხარჯზე უნდა დასახლდნენ, მის წინაშე ხომ ყველა ვალშია, ყველას ფულზე ხომ მას უჭირავს თვალი. მაგრამ სპექტაკლის განმავლობაში ყაჩალის ბუნე-

ბის სიმკვეთრე იკარგება და სახეც უფერულდება.

ხათუნა იოსელიანის დომნა ბელ-ტელოვა წითელი თმებით, წითელი კაბით, წითელი ლოყებითა და პომა-დით „თეთრი გედის“ ერთ-ერთი სახეცვლილებაა — „Красная девица“-ს გროტესკული ვარიანტი. მასში ბალზამინოვების ყველა საოცნებო თვისებას მოუყრია თვი. ის მდიდარია, ზარმაცი, ამიტომ მიშა მასში თვისი თეთრი ოცნების დანახვას ცდილობს. ის კი მხოლოდ თეთრად შეფუთული კოშმარი და სასჯელია. ითხოვა და მიიღო კიდეც. დასჯილი ბალზამინოვი ბედნიერია. აი, ნამდვილი „Иван дурак“-ის იყავი და მისი ახსნა: ზღაპრის ბრძოლას განსხვავებული სპეციფიკური ხერხები გააჩნია, მისი მთავარი იარაღი სიკეთე და სიყვარული ტოვებს იმ ადამიანებს, ე.ი. იმ საზოგადოებას, რომელმაც ისინი თვისი ოცნებებიდან გააძვა. მათი გაუჩინარებაა სწორედ სასჯელი. სწორედ ამგვარი აზროვნების შედევია ის რეალობა, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ და რომელიც საშიშიც არის და სასტიკიც.

ლელ წითელია 306 ცხოვროშ ოსკვერდი?

შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თუატრისა და კინოს უნივერსიტეტის სპექტაკლი „უნდა იყვიროთ!“ მაქსიმ გორკის ცნობილი პიესის „ფსკერზე“ ვერსია-იმპროფიზაციაა.

მაქსიმ გორკის პროზასა თუ დრამატურგიაში მეოცე საუკუნის დასასწყისის რუსეთის სასტიკი სინამდვილე, მართლაც, საოცრად რეალისტური ფორმით განსხეულდა, ხოლო მწერლის პერსონაჟები შემდგომში არქეტიპებად იქცნენ. პრობლემატიკა, რომელსაც მწერალი თვის თხზულებებში აგვიწერს, მარადიული პრობლემების პრიზმაში გარდატეხილი აღმოჩნდა. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ ოცდამეტთე საუკუნის რეჟისორები კვლავ უდიდეს ინტერესს იჩენ მაქსიმ გორკის ნა-

წარმოებების მიმართ. სპექტაკლის პროგრამაში აღნიშნულია, რომ გორკის „ფსკერზე“ თავისუფალ ვერსიებად გადაიღეს კინოკლასიკონებმა, იაპონელმა აკირა კუროსავამ და ფრანგმა ეკან რენუარმა. მათ მოქმედი პირები შესაბამისად თავისი ქვეყნების მცხოვრებლებად წარმოადგინეს. გორკის პიესებისა თუ რომანების მიხედვით უამრავი სპექტაკლი და ფილმი შეიქმნა. საბჭოთა კავშირის თეატრებში გორკის ნაწარმოებების დადგმა „სავალდებულო პროგრამაშიც“ კი შედიოდა. ცხადია, დღესდღეობით მსგავსი ვალდებულება აღარ არსებობს. მაგრამ რეჟისორები კვლავ უბრუნდებიან გორკის ნაწარმოებებს – მაღალი რანგის ლიტერატურას, რომელიც არც ერთი მიმდინარეობის ფარგლებში არ ეტვა.

გოგი ქავთარაძემ ითხმოციან წლებში ხოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. ქართულ დრამატულ თეატრში დადგა „ფსკერზე“. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს წარმოდგენა საგასტროლო რეპერტუარშიც იყო შეტანილი და თბილისის თეატრალური ელიტა აღტაცებული უკრავდა ტაშს „ფსკერის“ პერსონაჟების შემსრულებელ მსახიობებს. ამჯერად პერსონაჟებს სტუდენტები ასრულებენ – დამწევები მსახიობები, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ. სპექტაკლის ქვესათურად პროგრამაში „ახალგაზრდა ბებრებია“ აღნიშნული და იმთავითვე გაცხადებულია რეჟისორის პოზიცია – მოქმედ პირებს, ახალგაზრდული

ასაკის მიუხედავად, უკვე გავლილი აქვთ გზა, რომელმაც ისინი უკიდურეს დაცემამდე მიიყვანა და ფსკერის ადამიანებად აქცია. ცხადია, არ შევცდები კიდევ ერთხელ ვამტკიცო საყველთაოდ მიღებული მოსაზრება, რომ სპექტაკლი, ისევე როგორც ხელოვნების სხვა ნაწარმოები, ხელოვანის სულის მდგომარეობის გამომხატველია. სტუდენტურ სპექტაკლშიც დამდგმელი რეჟისორი ისევე გამოხატავს თავის პოზიციას, როგორც აკადემიური თეატრის სპექტაკლში. წინააღმდეგ შემთხვევაში სადიპლომო წარმოდგენა სამსახიობო ეტიუდების კრებული იქნება და სხვა არაფერი. თუმცა, ეს ამოცანაც უდავოდ მნიშვნელოვანია — სტუდენტების ოთხი წლის სწავლების შეჯამება და მომავალი მსახიობების წარდგენა ხწორედ სადიპლომო ნამუშევრებში ხდება.

ვინ არიან დღვევანდელობის ფსკრის პერსონაგები? რამ მიიყვნა ისინი ამ მდგომარეობამდე? არის კი გამოსაყალი? ამ საკითხებზე დაგაფიქრებს გოგი ქავთარაძის ჯგუფის სადიპლომო წარმოდგენა „უნდა იყვიროთ!“

სტუდენტური სპექტაკლების მაფურებლები უმეტესად მათვე მეგობარ-ამხანაგები, სტუდენტები არიან.

მაშ, ასე — ფსკერზე ჩვენი სახელოვნო საზოგადოების ნაწილია — მსახიობები, მხატვრები, მწერალი, მოცეკვავე, დიჯეი, ფერმწერი და ა.შ. სპექტაკლის მაფურებლთა უმეტესობაც დაახლოებით ამავე საქმეს ემსახურება. რეჟისორს და მსახი-



შახახობი — გურამ გუჯარაძი,
მოქანდაკის ცოლი — ნანა ლომიძე

ობებს აუდიტორიაში თანამოაზრეთ ძიება არც კი უხდებათ ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანების უმეტესობა საკუთარ ბიოგრაფიას ან თუნდაც თავისი კოლეგის და ახლობლის ბედს ხედავს სცენაზე. დღესდღეობით მართლაც უამრავი ადამიანის მონაცემები აღმოჩნდა გამოუყენებელი. მათ შორის, ახალგაზრდებისაც. განუხორციელებელი იდეების სიმბიმეს ისიც ემატება, რომ განხორციელებული ნამუშევრების უმეტესობა მატერიალურად ავტორის ელემენტარულ ყოფასაც კი ვერ უზრუნველყოფს, არა თუ ადამიანურ ცხოვრებას, ამიტომაც გადაიქცა მოდელიორდიზაინერი მკურავად, მხატვარი საკუთარი სახელოსნოს გაქირავებით ირჩენს თავს, მსახიობი უბრალოდ გა-



დინამინერი — შორენა ბეგაშვილი, სტუდენტი — ლიკა შეკაძე, მოცეკვავი — ლელა შებურიშვილი,
დაჯვა — ჯაბა ძიმისტარიშვილი.

ღოთდა... ამ ხელოვანების ერთად ყოფნა კი ბოჭემური საზოგადოების ნებაყოფლობითი თანაცხოვრება კი არ არის, არამედ უბრალოდ არშემდგარი მარტოსული ადამიანების იძულებითი თანარსებობის მოდელია.

სიმარტოვე, სულიერი სიცარიელე — სპექტაკლის პირველივე მიზანსცენა სწორედ ამგვარ ასოციაციას ბადებს. სცენაზე ყველა როლის შემსრულებელი ცალ-ცალკე დგას და სიმღერას უსმენს, რომელსაც ავტორი, თაკო აბაშიძე ასრულებს. ეს ნაზი მელოდია გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე შექმნილი. „გამიღეთ კარი“ — ტექსტში მრავალგზის მეორდება ეს სიტყვები. სცენაზე კი სრული უკონტაქტობაა — არავინ ცდილობს ერთმანეთის პრობლემის თანაზიარი გახდეს — ყველა პერსონაჟის სული

ერთნაირადაა დახშული.

თვეშესაფარი, რომელშიც მოქმედი პირები სახლობენ, თანამედროვე ნახატებით თუ ფოტოებით მორთული სახელოსნოა. კედელზე გამაფრთხილებელი ნიშანიც კი კიდია — შესვლა აკრძალულია. თუმცა, მცხოვრებლები თითქოს მიჯაჭვულნი არიან ამ წყეულ ადგილს (მხატვარი ქეთევან დამბაშიძე). წარსულს აქ ერთ კუთხში მიმაგრებული ხანჯლები თუ მოგვაგონებს. და კიდევ ზინგერის საკერავი მანქანა... ამ მანქანასთან არშემდგარი დიდი მხატვარი, ამჟამად კი მკერავი (შორენა ბეგაშვილი) თითქმის მოელი სპექტაკლის მანძილზე კერავს — ხან სადღესასწაულო კაბას, ხანაც სამგლოვიარო სუდარას. ვუიქრობ, ეს სახე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია ამ

სპეციალური. ახალგაზრდა მსახიობი პერსონაჟის ემოციური ცვალებადობის სპეციტრს ქმნის სცენაზე.

ჯგუფის რეჟისორ-პედაგოგი გახდავთ თამარ ფალავანდიშვილი. ცხადია, დღესდღეობით როგორია რომელიმე სტუდენტის მომავლის განსაზღვრა. ერთი რამ კი ცხადია – ამ წარმოდგენამდე ხანგრძლივი შემოქმედებითი სწავლების პროცესი წარმატებით არის გავლილი: სტუდენტები სცენაზე თავისუფლად გრძნობენ თავს, აქვთ გამართული სასცენო მეტყველება (პედაგოგი შეია მაღლაკელიძე), პლასტიკურები და ემოციურები არიან.

ახალგაზრდა მსახიობების პლასტიკას დიდი ხიბლი აქვს. მათი ერთობლივი ცეკვა კი უბრალოდ ფეირვერკული უნდა იყოს. მაგრამ ამ სპეციტაკლში პერსონაჟების ცეკვას სხვა დატვირთვა აქვს: ეპიზოდში სიკვდილის სცენა თამაშდება – მოქანდაკის ნარკომანი ცოლის (ნანა ლომიძე) ტანჯული სიცოცხლე მთავრდება. თავშესაფარში ისტერია სუფევს. ისტერია სირტაკის ცეკვაში გადაიზრდება. მაგრამ ეს ცეკვა არ არის სიცოცხლის გამარჯვება სიკვდილზე. იგი უფრო სიკვდილის როკვის ასოციაციას ბადებს. თავად მოცეკვაუბის ერთობა კი უსახელო მასაა, რომელიც ტრაგიკულ გაქხანალიაშია ჩართული. ამ წარმოდგენის პერსონაჟებს სახელები უბრალოდ არა აქვთ. ერთმანეთს ისინი უფრო პროფესიის აღმნიშვნელი ისტყვით მიმართავენ. უფრო ზუსტად კი ყოფილი პროფე-

სის, საერთოდაც აქაურობა უფრო ყოფილი ადამიანების ბუნავს ჰგავს, სადაც ქვენა ინსტინქტები ბატონობენ ზნეობრივ იღეალებზე. ადამიანური ღირსების გრძნობა მსახიობში (გურამ გუჯეჯიანი) ქურდთან (ბაზო მებურიშვილი) დიალოგში იღვიძებს. ქურდი უკიდურესად ამცირებს მას – არყის საფასურად ძაღლივით ყეფას ითხოვს. გაღოთებული კაცი ტირილს იწყებს. ადამიანური ღირსება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მდაბალი ვნება. ქურდსაც კი დაახევინა უკან და ბოდიში მოახდევინა. აქტიორული თვალსაზრისით ეს დიალოგი საუკეთესოა ამ სპეციტაკლში. გურამ გუჯეჯიანი დამაჯერებლად გაღმოგვცემს პერსონაჟის როგორ ცხირ-ემოციურ სამყაროს.

გოგი ქავთარაძის სპეციტაკლში თექსმეტი მოქმედი პირია და ერთ რეცენზიაში შეუძლებელია ყველას აღნიშვნა. ახალგაზრდა მსახიობები ამ სპეციტაკლით აბარებენ პირველ სერიოზულ გამოცდას. მინდა ძალიან გულწრფელად ვუსურვო მათ შემოქმედებითი წარმატებები. ასევე ვურჩევდი უკლებლივ ყველას, რომ სცენაზე აუცილებლად გაღმოსცენ გმირების აზროვნების პროცესი. თანაგანცდაც, ემოციაც სწორედ აზროვნების პროცესის შედეგია. სცენაზე ისტყვა აზროვნების შედეგად უნდა დაიბადოს. მაშინ იქნება ეს პროცესი ჭეშმარიტი შემოქმედება.

გოგი ქავთარაძის ახალ ვერსიაში სოხუმის თეატრის სპეციტაკლიდან გაღმოტანილია რამდენიმე საუკე-

თუსო მიზანსცენა. ეს ეპიზოდები აპლოდისმენტებს იმსახურებდა ოთხმოციან წლებში და წარმატებით გაუძლო დროის გამოცდას. ფსკერის პერსონაჟები ჭაობიდან ამოსვლას ცდილობენ – ზურგჩანთუბით და საძილე ტომრებით დატვირთულები აგან-სცენაზე სხედან – გაურკვეველია თუ კონკრეტულად რას ელოდებიან. მწერალი (ზურა ნიქარაძე) საუბრის დროს ლიმონს თლის, შემდეგ შევქცევა მას და ისე ამბობს მაქსიმ გორგის ცნობილ ტექსტს ადამიანის შესახებ. ლიმონის სიმუავეზე ადამიანის ბუნებრივი რეაქციის ადექვატურად მწერალს სახე ემანჭება. „ადამიანი ეს ამაყად უღრეს“ – ამ სიტყვებს იგი სცენის კუთხეში წარმოოქმნას, სადაც ქანდაკებაზე შავი ნაჭერია გადაფარუბული. მწერალი ქანდაკებას ნაჭერს ჩამოხსნის და თითქოს მას ეტყვის – გორგი „ფსკერზე“ – ეპიზოდში გაუცხოების ეფექტი შემოდის. ყველაზე ზეაწეული სიტყვები მკვეთრი გრიმასის ფონზე ცინიკურ ელფერს იძენს...

„ფსკერზე“ პირველად საუკუნის დასაწყისში მოსკოვის სამხატვრო თეატრში დაიდგა. ეს თეატრი დღესაც გორგის სახელს ატარებს, რაღაცაც დამაარსებლებს მიაჩნდათ, რომ სწორედ გორგის დრამატურგიამ აპოვნინა თეატრს სულიერი თუ პოლიტიკური მრწამსი. სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს

სპექტაკლში პერსონაჟები, რომლებიც სარდაფში განთავსებულ თავშესაფარში სახლობდნენ, მსახიობის თვითმკვლელობის შემდეგ ზემოთ ამოღილდნენ. საუკუნის დასაწყისის კლასიკოსების სპექტაკლის ფინალი ოპტიმისტური იყო. გოგი ქავთარაძის სპექტაკლის მოქმედი პირები, ჩამოხსნიან რა მსახიობის გვამს, თავადვე ებმებიან თოკებში, გამალებით ცდილობენ მისგან თავის დახსნას, შეშფოთებულები გარბიან. მსახიობის გვამთან ორი პერსონაჟი რჩება – მწერალი და უცნობი (ოთარ ტორჩანავა). წარმოდგენის ბოლო ეპიზოდი ტრაგიკულია. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე ამ პიესის პერსონაჟების სცენური ცხოვრება საუკუნეზე მეტს ითვლის. იდეალები, რომლებიც მაქსიმ გორგის შემოქმედებაში ისახებოდა, სრულიად უტოპიური აღმოჩნდა, მეოცე საუკუნე კი – ყველაზე სასტიკი საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში. ამ წარმოდგენით თუ ვიმსჯელებთ, ოცდამეერთე საუკუნის ქართველი რეჟისორის განწყობა ძალზე პესიმისტურია. ოპტიმიზმის საფუძველი მართლაც ცოტაა ამ ვერსიაშიც და დღევანდელ ყოფაშიც. იმედს ის გვისახვს, რომ თეატრის და კინოს უნივერსიტეტის სცენაზე სასწავლო პროცესი შედგა და მართლაც საინტერესო სპექტაკლში განსხვაულდა.


თავისუფალი თეატრი: ახალი ბრინჯიშვილი, ახალი ურთიერთობები

(საზრდო თავადის ხელმძღვანელთან აზთანდილ გარსიმაშვილთან)

— თქვენი თეატრი უკვე სამი წლისა. ეს არც ბეჭრია და არც — ცოტა იმისათვის, რომ თავისუფალი თეატრის სახე გამოკვეთილიყო. თქვენი თეატრალური ესთეტიკა სრულად გამოვლინდა თქვენს სპექტაკლში, თუ გაქვთ რაიმე სხვა გზები დასაძებნი?

— ვერ ვიღაპარა კებთ ერთ გამოკვეთილ თეატრალურ ესთეტიკაზე ისეთი თეატრისა, როგორიც თავისუფალი თეატრია, რომელსაც არ ჰყავს თავისი დასი და სცენას სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფს უთმობს, აქ ეს არასოდეს მიიღწევა. საუბარი შეიძლება იყოს კონკრეტულ ჯგუფებზე, რომლებიც ჩვენთან მუშაობენ. სხვა საკითხია როგორ გამოიკვეთა ეს ესთეტიკური მიმართულებები და სახე მათთან, თორებ მთლიანობაში ამ თეატრს არა აქვს ერთიანი მხატვრული სახე და არც შეიძლება ჰქონდეს. თეატრალური ესთეტიკა იქმნება მაშინ, როდესაც წლების განმავლობაში მუშაობ გარკვეულ ჯგუფთან და გარკვეულ ესთეტიკას ამკიდრებ მასთან. ამიტომ ჩვენს თეატრს არ აქვს ერთიანი ესთეტიკური სახე. მას აქვს მხოლოდ გარკვეული პრინციპები. იგი არის

მრავალპლანიანი, სხვადახევა ესთეტიკის მქონე თეატრი, სადაც არის მცდელობა იმისა, რომ აქ იყოს თავისუფალი თეატრალური ფორმა, ჩატარდეს ექსპერიმენტები თავისუფალი თეატრალური ფორმის ძიებაზე, შეიქმნას სპექტაკლები პიროვნების თავისუფლებაზე. ვფიქრობ, ამ თეატრმა საკმაოდ გაბედული ნაბიჯები გადადგა ამ თვალსაზრისით. რაც შეეხება საერთოდ თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებას, მე ვიტყოდი, რომ რაღაც მომენტში ჩვენი თეატრი გარკვეული დღით პოლიტიკურ თეატრადაც მოგვევლინა: მხედველობაში მაქვს პერიოდი, როცა ერთმანეთის მიყოლებით დაიდგა: „კომედიანტები“, „ჯინსების თაობა“, „პროვოკაცია“ და იგივე „ტელემისტერია“. მათ მივაკუთვნებდი პოლიტიკური სპექტაკლების რიცხვს. სადაც ჩვენ პირდაპირ ვლაპარაკიბდით იმაზე, რაც აწუხებს ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას. ამ სპექტაკლებში ჩვენ არა მარტო პოლიტიკურ თემებს ვეხებოდით, არამედ გვარებსაც კი გასახელებდით „პროვოკაციაში“ უკვე გვარებით და სახელებით მიუუთიერებდით ადამიანებზე,



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი თავისუფალი თეატრის სპექტაკლზე „ქამედიანტები“.

რომლებიც ჩვენი საზოგადოების უარ-ყოფით მოვლენებთან ასოცირდებიან. და ეს გარკვეულწილად ნიშანდობ-ლივა — პრაქტიკულად ყველანი, ვი-საც ჩვენ „პროფესიაში“ ცუდად მოვიხსნიებდით, გარდების რევოლუცი-ის შემდეგ ხელისუფლებაში აღარ მო-სულან. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენც მიგვიძლვის პატარა წვლილი.

— როგორ დაიბადა თავისუფალი თეატრი. სად და ვის გაუჩნდა მისი შექმნის იდეა. მხოლოდ თქვენ იყავით აუტორი თუ გყავდათ თანამოაზრები?

— იდეა უბრალოდ არასოდეს იბა-დება. იდეას ყოველთვის წინაის-ტორია, წინაპირობა აქვს. იგი გაჩნდა მას შემდეგ, რაც თეატრალური სარ-დაფიდნ წამოვედა. ამიტომ, ამას აქვს არა 3 წლიანი ისტორია, არამედ 5 წლიანი და ცოტა მეტიც. თავის დრო-ზე, როცა თეატრალური სარდაფი დავაარსე, ვერ ვიფიქრებდი, რომ ვქმნიდი მონისტრს, რომელიც დაუდ-გებოდა წინ ჩემს ჩანაფიქრს. ვისაც ახსოვს, თეატრალური სარდაფის გახსნის პირველსავე დღეს ვთქვი, რომ ჩვენ ვხსნით თეატრს, რომლის პრინ-ციპი იქნება. — და ცუდი, მაგრამ ბეჭ-რი. ეს პრინციპი იქ დღემდე არსებობს. ყველას ვაძლევდი სპექტაკლის დადგ-მის საშუალებას, ვინაიდან იმ პერი-ოდში ეს აუცილებელი იყო, პრაქტი-კულად ხომ არ არსებობდა არც ერთი თეატრი, სადაც ახალგაზრდები შეს-ლებდნენ ექსპერიმენტების ჩატა-რებას. სწორედ ამ მიზნითაც შეიქმნა თეატრალური სარდაფი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მე მიხდებოდა საკუ-თარი პრინციპების წინააღმდეგ წასვ-

ლა. ვხედავდი, რომ რეპერტუარში აქ გილს იკავებდა დაბალი დონის სპექ-ტაკლები, ეს კი მაწუხებდა და საკ-მაოდ მთრგუნჯედა. არადა, ეს ხომ ჩემს მიერ დეკლარირებული პრინციპი იყო. „თავისუფალი თეატრის“ იდეა გაჩნდა მაშინ, როცა მივხვდი, რომ — და ცუდი, მაგრამ ბევრი — არ არის სწორი პრინციპი თეატრისათვის, ყო-ველ შემთხვევაში იმ თეატრისთვის, რომელსაც მინდა ვუხელმძღვანელო. ეს შეიძლება თავისთვად გამართლე-ბულია, ვინაიდან სარდაფის თეატრი დღემდე განაგრძობს ამ პრინციპით არსებობას, მაგრამ მე უკვე „თავისუ-ფალი თეატრის“ გახსნის პირველივე დღეს, მოვახსენე მაყურებელს, რომ რადიკალურად ვცელიდი ჩემს ჩვეულ ჩანაფიქრს — და ცუდი, მაგრამ ბევრი — პრინციპით — და ცოტა, ოღონდ კარგი. და დღესაც ვაცხადებ, რომ ამ თეატრში უნდა იყოს მხოლოდ კარგი სპექტაკლები. ეს შეიძლება მხოლოდ დეკლარაციის დონეზე დარჩენილიყო და რაღაც მომენტში აღბათ, დარჩა კიდვაც, ვინაიდან ჩვენც გაქვს საშუ-ალო და დაბალი დონის სპექტაკლები, მაგრამ არ გაჩერებთ მათ და მაშინვე ვხსნით. ამ შემთხვევაში, მე ვღებულობ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას და თუ ვთვლი, რომ რომელიმე სპექ-ტაკლი არ არის სათანადო დონის, ვხსნი. მესმის, ეს ერთგვარი დიქტა-ტორული გადაწყვეტილებაა ჩემი მხრივ, მაგრამ ასეთია ჩვენი თეატრი და ახლა შევეგუოთ ამას. ეს ჩემი თეატრია და მე ვიდებ გადაწყვე-ტილებას, რა უნდა იყოს რეპერ-ტუარში და რა-არა. ჩვენთან არის

სპექტაკლები, რომლებიც კარგია, მაგრამ არა ჰყავს მაყურებელი, თუმცა, მე ვტოვებ ამ სპექტაკლს, რეპერტუარში, მაგალითად „ვოიცეკს“, ვინაიდან მას აქვს გარკვეული ღონე. ამჯერად ჩემთვის მთავარია ღონე და არა მაყურებლის რაოდენობა. „სარდაფილა“ „თავისუფალ თეატრამდე“ ეს პრინციპები შეიცვალა და ვფიქრობ, სწორედ ამაშია ამ თეატრის პოპულარობის მთავარი საიდუმლოება. ნუ ვიმსჯელებთ პირველი, მეორე, მესამე სპექტაკლით, მთავარია, რაჩება რეპერტუარში.

တာဖော်ပါရွှေ့လာလ မျှ မြေသာပုံ၊
မတော်လာနာလ မာရဲ့ ဂာနိမံ့ကြော်ဖြော်လျှော့
ပို့နာ ဟိုမို နားဖွေ့ကြရှု၏၊ ရာ တ္ထာ ဗျာလာ၊
ရာမာစ် ဝေးသော်လာန်၊ နိုက် ဂုဏ်လျှော်ဖျော်၊
ဗျာဘာ နာတွော်လျော်၊ ငဲ့ အလာမားနော်ပါ၊ မြေသာ
ဗျာလျော်ပဲ့ ဒွေ့ချော်လျော်မြော၊ ဒုက်ပြ မြေမှာ
ဒွေ့ကျော်ပဲ့၊ ဟိုမို တာနာမြော်ခံရှုနှင့် အရှုံး၊
မာဂျာမဲ ဝိမိုး ဂာလျာနှုန်းဖြော် ရောက်ရောက်
ဗျာလာ ဝျော် တာဘာလ တွော်ရှု၊ ရောက်ရောက်
ဗျာလာ ဒွေ့ချော်တွေ စွဲ၊ အပဲ့ချော်ဖြော်လျှော်
ရောက်ပါရွှေ့လာနှုန်း၊ မြေသာဗျာလျော်ပဲ့ လာ
ဗြိုံးနှုန်းဖြော်ရှု အော်ဆောင်လွှာ မြော်လျော်
မြေသာဗျာလျော်ပဲ့၊ အား ဒွေ့ချော် ရောက် ဗျာလာ
အား ဒွေ့ချော် ရောက် ဗျာလာ အား ဒွေ့ချော်
အား ဒွေ့ချော် ရောက် ဗျာလာ အား ဒွေ့ချော် ရောက်

— თუატრს არ აკლია მაყურებელი. როთხ ხსნით ამას? რატომ მოდის მაყურებელი თქვენს თუატრში, რა იზიდავს მას? — მსატვრული ღონეე, მსახიობები, რეჟისორა თუ თუმის აქტუალობა?

— პირველ რიგში, მაყურებელი
ჩვენს თეატრში სპექტაკლის
მხატვრული დონის გამო მოდის.
მეორე, როგორც გითხარით, რაღაც
პერიოდში ჩვენ გავხდით პოლი-
ტიკური თეატრი, რაც მაყურებ-
ლისათვის აქტუალური და საჭირო
იყო და მესამეც, ის რომ ჩვენი მაყუ-
რებელი მიერვია იმას, რომ თუ ჩვენს
თეატრში ექსპერიმენტია, ეს არის
ლირებული თეატრალური ექსპერი-
მენტი და არა შემთხვევით, ყოველივე
ამის საფუძველია ის, რომ ჩვენ
საქამაოდ ორგანიზებულად ვწუშაობთ.
რას ვგულისხმობ ამაში? ვგულისხ-
მობ ისეთ თანამედროვე მენეჯმენტს,
რომელსაც დღეს საქართველოში,
ალბათ მარტო ჩვენ ვიყენებთ ეს არის
სატელევიზიო რეკლამა, რადიო-
რეკლამა, პრესა, საზოგადოებასთან
მუშაობა, ჩვენი ინტენსიური გასვ-
ლით სპექტაკლები. მთელი პასუხის-
მგებლობით ვაცხადებ, რომ არც
ერთი თეატრი იმდენს არ მოგზა-
ურობს საქართველოს მასშტაბით,
რამდენსაც ჩვენი. არ დაგვიტოვებია
არც ერთი რეგიონი, რომ არ ჩავსუ-
ლიყავით სპექტაკლებით და არ გვე-
თამაშა. არსებობს რეგიონები, რომ-
ლებსაც თავისუფალი თეატრის
გარდა, სხვა თეატრის შესახებ, და
საერთოდ თეატრის შესახებ, არა-
ფერი სმენიათ, ვინაიდან არც ერთი
სხვა თეატრი იქ არ ჩადის. როგორც
მოგქსენებათ, დიდი ხანია ტელევიზია
აღარ აშუქებს თეატრების ცხოვრებას
და არ აჩვენებს სპექტაკლებს.
ამიტომაც ბევრ რეგიონში მხოლოდ
თავისუფალი თეატრის სპექტაკლებს

იცნობენ. აი, ოუნდაც ჩვენი ბოლო გასელა თამარაშენში, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტურ ზონაში, სადაც მოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებიც საერთოდ პირველად იყვნენ სპექტაკლზე. იგივე ხდება სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, ჩვენ გამუდმებით ჩავდივართ იქ და ვთამაშობთ სპექტაკლებს. ამანც გარკვეულწილად განაპირობა ჩვენი პოპულარობა. არაჩვეულებრივად გვხვდებიან. დღესდღეობით ჩვენი თეატრის მსახიობები გაცილებით პოპულარული არიან გარკვეულ რეგიონებში, ვიღრე საქმაოდ სახელოვანი მსახიობები. მე ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით. ეს რეალობაა. სპექტაკლების შემდეგ ვწვდებით მაყურებელს, ვსაუბრობთ თეატრზე, ჩვენს, მათ გასაჭირზე, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ. ვიზურობ, ესეც თეატრის მისიაა: სწორედ ეს არის თანამედროვე თეატრის მენეჯმენტი, უამისოდ დღეს პრაქტიკულად ძალიან ძნელი იქნება მუშაობა. რატომდაც მივეჩიეთ იმას, რომ ეველაფერს სახელმწიფოსაგან ველოდებით. წინათ გასვლით სპექტაკლსაც კი კულტურის სამინისტრო გვიგეგმავდა. თავისუფალი თეატრი პირველი აღმოჩნდა, რომელმაც გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯები ამ მიმართულებით. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ სახელმწიფო ჩვენთვის არაფერს გააკეთებს, იმიტომ კი არა, რომ იგი ცუდია, არა-მედ იმიტომ, რომ ეს არ არის მისი მოვალეობა. ეს ჩვენი მოვალეობაა, ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ, თუ ჩვენს თვაზე ავიდეთ იმის მისია, რომ ვემსახუროთ

ქართულ თეატრს, ვემსახუროთ სრულიად საქართველოს მოსახლეობასა და არა სოლოლაკის, რუსთაველის პროსპექტის რომელიდაც ნაწილს.

— ამგვარი შეხვედრები, ალბათ, გარკვეულ საზრდოს აძლევს თეატრსაც...

— რა თქმა უნდა, აძლევს. ეს რიკოშეტით გვიბრუნდება თბილისში. გაგვიჩნდა მთელი არმია ჩვენი მაყურებლებისა. ჩვენ შევქმენით თავისუფალი თეატრის მეგობართა კლუბი, სადაც ვაწევრიანებთ მსურველებს. ჩვენ არ გვაქვს არანაირი ფინანსური დაინტერესება, საწეროები. ჩვენ ვეუბნებით, რომ თუ გსურთ მუდმივად საქმის კურსში იყოთ, თუ რა ხდება თავისუფალ თეატრში, რა სპექტაკლები იღგმება, როდის არის პრემიერა, დაგვიტოვეთ თქვენი ტელეფონის ნომრები, თქვენი სახელები, გვარებიც კი არ არის საჭირო და ყოველთვის გაცნობებთ. 20 ათასამდე ადამიანია გაწევრიანებული ჩვენს კლუბში.

— როგორ ფიქრობთ, გაუძლებს თქვენი თეატრი დროის გამოცდას? რამდენად ყიდვადია თქვენი პროდუქცია. მყარად დგახართ, თუ საჭიროებთ რაიმე კორექტივების შეტანას?

— ცოცხალი თეატრი ყოველთვის გაუძლებს ყველა დროს. 26 საუკუნის მანძილზე უამრავ მკვდარ თეატრს შორის ცოცხალი თეატრებიც არსებობდნენ. ცოცხალ თეატრში ვგულისხმობ ისეთ თეატრს, სადაც მყარდება კონტაქტი მაყურებელთან. შენ ელაპარაკები მას მისთვის გასაგებ



ენაზე. ისიც ადექტურად გასუხობს და უხარია შენთან ყოფნა. თუ ჩვენი თეატრი შეინარჩუნებს სიცოცხლის-უნარიანობას, მუდამ იარსებებს და გაუძლებს დროს. თუ დაკარგავთ უწყვეტ კავშირს სამყაროსთან, საზოგადოებასთან ანუ მაყურებელთან, მაშინ, რა თქმა უნდა, აღარ იარსებებს. როულია ამის პროგნოზირება, მაგრამ უნდა ვიყოთ ოპტიმისტები და გვქონდეს იმედი, რომ ვიქნებით და გაუძლებთ დროს. თუ-არა, რას ვიზამთ, კველაფერი ხდება თეატრში. არც ესაა ტრაგედია. ამას წინათ გოგი მარგველაშვილს ვუთხარი — ჩვენ მივეჩვიეთ თეატრების გახსნას, ახლა დადგა დრო მივეჩვიოთ მათ დახურვას. არც ესაა არანორმალური მოვლენა. პირიქით, საკმაოდ ნორმალურია. თეატრი იბადება, გადის რაღაც პერიოდი და იხურება. ამაში არის გარკვეული კანონზომიერება. ჩვენ სხვა საზოგადოებრივ ფორმაციაში გადავედით, წავიდა ის დრო, როდესაც თეატრს სახელმწიფო აფინანსებდა, ბილეთებსაც ანაწილებდა, ყიდდა და მერე, რაც არ უნდა ცუდი თეატრი ყოფილიყო, არ დახურავდა, მოკვდა ეს დრო და ვფიქრობ, რომ ძალიანაც კარგი. შეიძლება სხვა რაღაცისათვის ცუდი იყოს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში კარგია.

— თეატრი უფრო აქტიური ხდება, როგორც ქვეშის ცხოვრების ნებისმიერი სფერო.

— რა თქმა უნდა. ყველაფერში ასეა და ეს თავისუფალ თეატრსაც ეხება. მით უფრო, რომ არიან აღამიანები, მხედველობაში მყავს ბ-

ნი ბიძინა ივანიშვილი, რომელს ფინანსური დახმარებით თუატრებში რემონტი მიმდინარეობს. ვფიქრობ, ერთი, ორი, სამი წლის შემდეგ, როდესაც მწყობრში ჩადგება ამდენი მსოფლიო დონეზე ტექნიკურად გამართული თეატრი, გაჩნდება სერიოზული კონკურენცია. სამოთხ წელიწადში საქართველოში სერიოზული თეატრალური ბუმი იქნება.

— რა გამოარჩევს თქვენ თეატრს სხვა თეატრისაგან. რატომ ქოდება თვისუფალი თეატრი?

— პირველ რიგში, მე მინდოდა ყოფილიყო თეატრი, რომელიც იღაბარა კედლა თამამად და ხმამაღლა პიროვნების თავისუფლებაზე. მე არ დამიმაღავს ეს და პირველივე დღეს ვთქვი, რომ ჩვენი თეატრი სწორედ ასეთი იქნებოდა და მიიღებდა პოლიტიკური თეატრის სახეს. სამი წლის წინ ეს ძალიან აქტუალური იყო. მე შინაგანად მემარცხენე ვარ, როგორც პრაქტიკულად ყველა ხელოვანი, მაგრამ თუ ჩვენმა ქვეყანამ აირჩია ის გზა, რასაც პქვია კაპიტალიზმი, მაშინ უნდა მივიყვანოთ იგი ბოლომდე და უნდა ვითამაშოთ იმ თამაშის წესებით, რა თამაშის წესებსაც იგი გვთავაზობს. სამი წლის წინ გაუსაძლისი მდგომარეობა იყო, ჩვენ ვბეჭქსაობდით ერთ აღგილას, არ გვინდოდა არც სოციალიზმის დათმობა და არც კაპიტალიზმის შემოსვლა. ამიტომ, სიტყვა — თავისუფლება ჩვენთვის არაერთ კონტექსტში ეღერდა. ერთადერთი, რასაც ამ 10 წლის მანძილზე ქვეყანამ მიაღწია, ეს არის სწორედ სიტყვის თავისუფლება, მაგრამ სიტყვის თავი-

სუფლებას სჭირდება თავისუფალი ადამიანი, რომელიც მას შეისმენს, რეალობაში გაატარებს. ამიტომ, როდესაც ამ თეატრის ვქმნიდით, პირადად ჩემთვის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს-ერთი. მეორე — როგორც გითხარით, მინდოდა ყოფილიყო არენა თავისუფალი, თამამი თუატრალური იღებით და არა უბრალო სპექტაკლი ნახევრად ნიშიერი ან ნახევრად უნიჭო ადამიანის მიერ დაღმული. ეს უნდა ყოფილიყო საკმაოდ თამამი, თავისუფალი თუატრალური ფორმის ძიება და მესამე — ეს იყო კოტე მარჯანშეილისადმი კიდვე ერთხელ ქედის მოხრა. როცა მეუბნებიან, მით უმეტეს თუ ეს თუატრმცოდნეა, რომ კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებული ასეთი თუატრი არსებობდა, მწყინს. მეტს გეტყვით, გარდა კოტე მარჯანიშვილის თავისუფალი თუატრისა, მსოფლიოში ამ სახელწოდებით კიდევ 9 თუატრი არსებობდა. ჩვენთვის ეს არის ქედის მოხრა უდიდესი ქართველი რეჟისორისადმი, რომელმაც შექმნა ასეთი თუატრი, სადაც სხვათა შორის, ჩადებული იყო ის პრინციპები, რომლებზედაც მე გესაუბრებოლით აქედან გამომდინარე დაიბადა ჩვენი თუატრის ეს სახელწოდება, რომელიც, ვფიქრობ, ყველაფერთან ერთად ძალიან ლამაზიცაა, დამახსოვრებადი და დაღებითი ემოციების მატარებელი. სახელწოდებასაც ხომ აქვს გარკვეული მნიშვნელობა?!

რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ მსახიობებზე. მიხარია, რომ სამწელიწადში გამოჩნდნენ მსახიობები,

რომლებიც მიეკუთვნებიან „თავისუფალი თუატრის“. როცა ქუჩაში გამვლელი ამბობს — აი, ეს „თავისუფალი თუატრის“ მსახიობია, ან შექვდები ვიღაც მსახიობს, რომელიც სიამყით გეუბნება, მე „თავისუფალი თუატრის“ მსახიობი გარო, ეს თუატრის დამსახურებაა. მიხარია, რომ გვევას და ჩვენმა თუატრმა წარმოაჩინა ისეთი მსახიობები, როგორიცაა ნიკო გომელაური, რომელიც დღეს ჩვენი თუატრის სახეა და, ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა თაობის მსახიობი ქართულ თუატრში. იგივე რამაზ იოსელიანმა, რომელიც ჯერ კინომსახიობის, შემდგვ თბილისის თითქმის ყველა თუატრში მოღვაწეობდა, საკმაოდ გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენთან. სლავა ნათენაძე, რომელიც წლების მანძილზე მეტების თუატრის მსახიობი იყო, უცებ გახდა „თავისუფალი თუატრის“ სახე. გამოჩნდა ახალგაზრდა ჯაბა კილაძე, რომელიც რამდენიმე სპექტაკლში თამაშობს მთავარ როლებს და „თავისუფალი თუატრის“ მსახიობად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ სხვა თუატრის შტატშია. ან იგივე გოგა ბარბაქაძე, რომელმაც ზედიზედ ძალიან საინტერესო განაცხადი გააკეთა რამდენიმე სპექტაკლში. მე ადრეც ვთქვი და არც ვმაღავ, რომ „თავისუფალი თუატრი“ არა მარტო ჩემი დიდი სიყვარულია, არამედ სიამაყეც. მეამაყება, როდესაც შემთხვევით საღლაც ბარში მომესმის, რომ ჩემთვის უცნობი ადამიანი მეორეს ეუბნება, სპექტაკლს ვამზადებ და „თავისუფალ თუატრში“ უნდა დავდ-



გაო. მე კი ამ დროს წარმოდგენა არა მაქას, გინ არის ეს ადამიანი, რა სპექტაკლს აშადებს, მაგრამ მიხარია, რომ ის თავს იწონებს ამით.

და კიდევ ერთს დავამატებდი. ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ ამას წინათ აღნიშნა, რამაც ძალიან გამახარა, რომ ჩვენი თუატრი აბსოლუტურად უინტრიგოა. სამი წლის მანძილზე არ ყოფილა არანაირი ინტრიგა, არანაირი მღელვარება, მხოლოდ არაჩვეულებრივი კეთილგანწყობაა თითოეული პროექტისადმი. და იმ რეჟისორებს, რომლებიც ჩვენთან დგამენ სპექტაკლებს, უჩნდებათ სურვილი მეორე, მესამე, მეცხრე სპექტაკლი დადგან, ვინაიდან ხედავენ ჩვენს კეთილგანწყობას და ეს ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა. იგივე დათო დოიაშვილს, ანდრო ენუქიძეს, გიორ-

გი შალუტაშვილს, გოჩა კაპანაძეს, ლავ უნდათ, რომ დადგან სპექტაკლები ჩვენთან და ეს იმიტომ კი არა, რომ არ შეუძლიათ სხვაგან იმუშაონ, თუისუფლად შეუძლიათ, მაგრამ ჩვენთან ამჯობინებენ. მე სულაც არ ვცხოვრობ იღუშიებით და ცაში არ დავფრინავ, მაგრამ ვთვლი, რომ დონის თვალსაზრისით, „თავისუფალი თუატრი“, სადაც არის მაღალი და არის საშუალო დონის სპექტაკლები, სხვანაირად ვერც იქნება და არც არის საჭირო, საუკეთესო თუატრია მსოფლიოში.

— ძალიან გაბედული, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ რადგან ასე მიგაჩნიათ, ალბათ, გაქვთ ამის საფუძველი.

— მაქვს, ნამდვილად მაქვს.

ჩაიწერა
მარინა ცხრაშვილიშვილი

თეორია

მინიჭებულის ჩესახებ

მსახიობის ფექნიკის შესახებ

შერადღება

იმის მიხედვით, თუ რა გზითა და როგორი სისტემატურობით განავითარებთ თქვენს წარმოსახვას, სახე მოქნილი და მოძრავი ხდება. სახეები აღმოცენდებიან და ცვლიან ერთმანეთს შეარდი სისტრაფით. ამან, შესაძლოა მიგიყვანოთ იქამდე, რომ დაკარგოთ ისინი მანამ, სანამ შესძლებენ თქვენი შემოქმედებითი სულის აღფრთოვანებას. თქვენ უნდა შესძლოთ მათი შეჩერება თქვენს შინაგან ჭვრეტამდე, მანამ, სანამ ეს მოგესურვებათ. იმისათვის კი, რომ დასძლიოთ მათი სტრაფი და მოულოდნელი მოძრაობა, საჭიროა ფლობდეთ საქმიან ძალას. ეს ძალა თქვენი ყურადღების გამახვილებაზეა დამოკიდებული. ყოველი ჩენთაგანი ბუნების მიერ ბოქებული ამ თვისების გარეშე ვერ შევძლებდით უმარტივესი, ყოველდღიური მოქმედების შესრულებას (ჩევეულებრივი საქციელება არ იგულისხმება). მაგრამ ყურადღების კონცენტრაციის ის ძალა, რომელსაც ჩევ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ, მძაფრი წარმოსახვის

მქონე მსახიობისათვის საკმარისი არ არის, ვინაიდან ყურადღების კონცენტრაციაზეა დამოკიდებული წარმოსახვის პროცესტულობა და დამაჯერებლობა. ჩვენ უნდა განვაგითაროთ ეს ძალა ჩვენში.

ყურადღების განვითარების შედეგი ისევეა დამოკიდებული მის წვრთნა-განვითარებაზე, როგორადაც მისი ბუნებისა და არსის ჭემარიტ შემეცნებაზე.

შერადღება არის პროცესი

რას განიცდის გრძნობა ყურადღების გამახვილებისას? თუკი მიგიქცევიათ ყურადღება ისეთი მდგომარეობისთვის თქვენი ცხოვრებაში, როცა გიხდებოდათ დღეებისა და თვეების მანძილზე რაღაც მნიშვნელოვან მოვლენასთან ან საყვარელ ადამიანთან შეხვედრა, – შეამჩნევდით, რომ ყოველდღიური და თქვენთვის ჩევეულებრივი ცხოვრების პარალელურად თქვენ ატარებდით კიდევ მეორე, შინაგან (სულიერ) შემოქმედებით ცხოვრებას. რაც არ უნდა გეკეთებინათ, საღაც არ უნდა ყოფილიყვათ, რაზედაც არ უნდა გელაპარაკათ,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თ. დაც.“ №1, 2004 წ.



თქვენ ჯიუტად და მტკიცედ ელოდით თქვენს მიერ შეთხზულ მოვლენას მაშინაც კი, როცა თქვენი შეგნება და კავებული იყო ყოველდღიური ჯაფითა და განცდებით. სულის სიღრმეში თქვენ არ წყვეტდით მასთან კავშირს, შინაგანად უწყვეტ შემოქმედებით პროცესში იყავით. სწორედ ასეთი შემოქმედებითი პროცესი გახლავთ ყურადღება.

ახლა განვიხილოთ იგი დაწვრილებით.

თქვენ ხართ ყურადღების პროცესში. შინაგანად ოთხ მოქმედებას ერთდროულად ასრულებთ. პირველი-იჭერთ თქვენი ყურადღების უხილავ „ობიექტს“. მეორე-იზიდავთ მას, თქვენსკნ. მესამე-მიიღტვით მისკნ. მეოთხე-ცდილობთ მასში შეღწევას.

ოთხივე მოქმედება, რომელიც შეადგენს ყურადღების პროცესს, ერთდროულად სრულდება და დიდ სულიერ ძალას მოთხოვს. აღნიშნული პროცესი არავითარ ფიზიკურ ძალდატანებას არ საჭიროებს და მთლიანად სულიერ სფეროში მიმდინარეობს. მაშინაც კი, როცა თქვენი ყურადღების ობიექტს ხილული საგანი წარმოადგენს, როცა იძულებული ხდებით ფიზიკურად გამოიყენოთ თქვენი მხედველობითი უნარი, აქაც, ამ შემთხვევაშიც ყურადღების გამახვილება უდევს საფუძვლად საგნის ფიზიკურ აღქმას, ეს იქნება მხედველობითი, მოსმენითი თუ შეხებითი. ხშირად საგარჯიშოებს ყურადღებაზე არასწორად წარმართავენ, რადგან მთავარ აქცენტს გრძნობათა ფიზი-

კური როგანოების დაძაბვაზ უდინებელი იყბენ. საგარჯიშოებს ატარებენ მხედველობის, სმენისა და შეხების როგანოებზე ნაცვლად იმისა, რომ ფიზიკური აღქმა განიხილონ როგორც ყურადღების პროცესის წინამდებარე საფეხური. სინამდვილეში გარე გრძნობის ორგანოები თავისუფლდებიან მაშინათვე, როგორც კი იწყება ყურადღების პროცესი. მთელი ყურადღება კონცენტრირებულია მომავალი ამბის მოლოდინზე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თქვენ შეგიძლიათ დღეებისა და თვეების მანძილზე იცხოვროთ თქვენი ყოველდღიური ცხოვრებით, და თავისუფლად გამოიყენოთ თქვენი გრძნობის ორგანოები. ყურადღება გაედინება მათ ფარგლებს გარეთ, რასაც შეამჩნევთ შემდგომი საგარჯიშოების დროს. რაც უფრო ნაკლებად იქნება დაჭიმული თქვენი გრძნობის ორგანოები, იმდენად სწრაფად მიაღწევთ ყურადღების კონცენტრირებას და ამით განამტკიცებთ მის ძალას.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ყურადღების ობიექტი შესაძლოა იყოს ყოველივე ის, რაც ჩვენი შეცნობისათვის მისაწვდომ ობიექტს წარმოადგენს: ეს იქნება ჩვენი ფანტაზიის ობიექტი თუ კონკრეტული ფიზიკური საგანი, წარსულისა თუ მომავლის მოვლენები.

შურადღება

საგარჯიშო 1: აირჩიეთ უბრალო საგანი. ყურადღებით დაათვალიერეთ იგი. შემდევ მოერიდეთ მის „ცქერას“

და აღწერეთ თქვენთვის საგნის გარემონტული გამოხატულება.

მოცემული დავალება უნდა შეასრულოთ გააზრებულად. თქვენთვის (ფსიქოლოგიურ პროცესში) ყურადღების პროცესი მოიცავს ოთხ მოქმედებას, ესენია: 1. დააკავეთ საგანი, 2. მიზიდვით იგი თქვენს კუნძული, 3. ისწრაფეთ მის კუნძული, 4. შეაღწიეთ მასში ისეთნაირად, რომ შეერწყათ მას. ყოველი ეს ქმედება ჩაატარეთ ჯერ ცალკალებები, შემდეგ, ორ-ორად, ბოლოს გააერთიანეთ.

განაგრძეთ საყარჯიშო და თვალი ყური აღევნეთ ვარჯიშის დროს თქვენი გრძნობის ორგანოებსა და თქვენი სხეულის კუნთუბს, ისინი ზედმეტად რომ არ დაიძაბონ.

თქვენი ყურადღების ობიექტები ცვალეთ აღნიშნული თანამიმდევრობით:

1. უბრალო ხილული საგანი,
2. ხმა,
3. ადამიანის ხმა,
4. მოგონებებში აღძრული რაიმე საგანი,
5. მოგონებებში აღძრული ხმა,
6. მოგონებებში აღძრული ხიტყვა,
7. მოგონებებში აღძრული, თქვენთვის კარგად ნაცნობი ადამიანის სახე,
8. სიმღერიდან ან ლიტერატურული ნაწარმოებიდან აღებული სახე,
9. თქვენი ფანტაზიის მიხედვით შექმნილი არსება, პეიზაჟი, არქიტექტურული ფორმა და ა.შ.

ივარჯიშეთ მანამ, სანამ ყურადღება თავისი მოქმედებით, არ გახდება თქვენთვის იოლად დასაძ-

ლები სულიერი პროცესი.

ყურადღების ობიექტზე გამახვილების პარალელურად შეასრულეთ მარტივი მოქმედება, რომელსაც არ ექნება არავითარი საერთო ყურადღების ობიექტთან, მაგალითად: ყურადღება გამახვილებული გაქვთ ადამიანზე, რომელიც ამჟამად თქვენთან არ იმყოფება. მოქმედებით ასრულებთ სულ სხვა ქმედებას – ალგებრით თახას, წესრიგში მოგყავთ წიგნების თარო, რწყავთ ყვავილებს, ან ასრულებთ რაიმე ხანგრძლივ ფიზიკურ სამუშაოს. შეეცადეთ, ამავე დროს გაარკვიოთ თქვენთვის, თუ რას წარმოადგენს, რა გრძნობებს იწვევს ყურადღების პროცესი, რა ხდება მაშინ თქვენს სულიერ სამყაროში და რომ არ შეიძლება დაირღვეს ეს გრძნობა სხვა მოვლენებით, რომლებიც თქვენს გარშემო ხდება.

შეეცადეთ, რომ ყურადღების პროცესი შეძლებისდაგვარად არ შეწყდეს.

ნუ გადაღლით თქვენს თავს, განსაკუთრებით, საყარჯიშოების დასაწყისში. საყარჯიშოები რეგულარულად უნდა ჩაატაროთ (დღეში ორ-სამ-ჯერ). საყარჯიშოების რეგულარულად ჩატარებას შეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მის ხანგრძლივობას. დრო და დრო დაუბრუნდით საწყის სავარჯიშოებს, უფრო მარტივსა და იოლს.

**შერადღების
განვითარების პედაგეგი
ყურადღების ტექნიკის ამგვარად**

ათვისება მთელს თქვენს არსებას გამოაღიძებს, აქტიურსა და პარმონიულს გახდის. მას ძალა და ენერგია შეემატება. ეს თვისებები სცენაზე თამაშის დროსაც გამოვლინდება. თვალსა და ხელს შეა გაქრება მონოტონურობა, უღიძლამო ქმედება და თქვენი თამაშიც ჰქონდარიტი და დამაჯერებელი გახდება.

ყურადღების სავარჯიშოების პარალელურად ჩატარეთ სავარჯიშოები წარმოსახვაზეც.

მარმოსახვა და შურალლება

სავარჯიშო 2. სავარჯიშო დაიწყეთ მოგონებებით (საგნები, ადამიანები, მოვლენები). შეეცადეთ აღადგინოთ მოგონებებში რაც შეიძლება მეტი დეტალი. მოგონებებისას შეეცადეთ ყურადღება გაამახვილოთ თქვენი ფიქრის საგანზე.

აირჩიეთ რომელიმე სცენა თქვენთვის კარგად ცნობილი პიესიდან და „გაითამაშეთ“ რამოდენიმეჯერ თქვენს წარმოსახვაში. მოქმედ პირებს მიეცით ამოცანები („დავალებები“), მაგალითად: მძაფრად გამოხატეთ სახის ესა თუ ის ხასიათი; სრულყოფილად გამოავლინეთ სცენური ატმოსფერო; გაამძაფრეთ ან მოაღუნეთ ესა თუ ის გრძნობა; „გაითამაშეთ“ თავშეკავებით. „ითამაშეთ“ ტემპერამენტით, ააჩქარეთ ან შეანელეთ თამაშის ტემპი და ა.შ. თვალი ადევნეთ ცვლილებებს, რომელიც მოხდება თქვენი მითითებების მიხედვით მათი თამაშის დროს.

დაუბრუნდით მეორე დღეს ისვე იმ

სცენას და კვლავ აღვინეთ თყალღუწორ ცვლილებებს იმ ამოცანების შესრულებისას, რომლებიც თქვენს მიერ იყო შემოთავაზებული. შესაძლოა, ამჯერად შესრულებული ამოცანები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე წინანდელი. შეაფასეთ თქვენს მიერ მოცემული ამოცანების სახების მიხედვით დამოუკიდებლად დამუშავებული სცენები. ახლა დაავალეთ ახალი ამოცანების შესრულება, ან გაუმეორეთ წინადღით მიცემული დავალება და დაელოდეთ შედეგს მეორე დღისათვის.

სცენის მრავალჯერ ნახვისა და გადამოწების დროს ნუ უგულველყოფთ იმ „რჩევებს“, რომლებსაც სახები საკუთარი ინიციატივით შემოგთვაზებენ. სახეცვლითა და ურთიერთგავლენით მათ შესაძლოა დადებითი გავლენა იქონიონ თქვენზე და აღგაფრთვანონ. ახალმა იღებმა თქვენში შეიძლება გამოიწვიონ ზეანეული გრძნობები და მოგვარონ თქვენთვის ჯერ გაუთვალისწინებელი გამომსახველობითი სამუალებები.

მიიღეთ ან უარყავით აღნიშნული წესები და დებულებები, ოღონდ ნუ შეჩერდებით ჯიუტად თქვენს პირვანდელ აზრებსა და სურვილებზე.

გადადით მსახიობის „თამაშსა“ და დეტალებზე გამოკითხეთ წვრილმანი ნიუანსები: გამოხდვის, ხელების მოძრაობის, პაუზის, წუთიერი შეგრძებების, სურვილების, ვნებებისა და აზროვნების შესახებ. როცა შეეკითხებით, გულდასმით დააკვირდით მათ რეაქციებს (ყველაფერი ეს, რა თქმა

უნდა, ხდება წარმოსახვის სფეროში და არა რეალურად).

თუკი, თქვენ შეკითხვაზე „პასუხების“ დროს გექნებათ შემოქმედებით განწყობილება რაც, როლის თქვენს მიერ განხორციელების სურვილით გამოიხატება, უმაღლ შეწყვიტეთ ვარჯიში და გადაეჭვით შემოქმედებითი განცხრომის სივრცეში, ვინაიდან ყოველი აღნიშნული სავარჯიშო და კონკრეტულად ჩვენგან შემოთვაზებული მეთოდი ერთ ძირითად მიზანს ემსახურება, რაც შემოქმედებითი მდგომარეობის უნებლიერ გაძლიერებას გულისხმობს.

გადადით სავარჯიშოზე, რომელიც წარმოსახვის მოქნილობას ანვითარებს. ყურადღებით განსჭვრიტეო სახე დეტალებში და შემდგომ აიძულეთ გარდაიქმნას სხვა სახედ, მაგალითად: ახალგაზრდა ადამიანი თანდათან გარდაიქმნება მოხუცად და პირიქით, ნორჩი მცენარე თანდათან იზრდება დიდ ხედ; ზამთრის პეიზაჟი იცვლება ზაფხულით, გაზაფხული — ზაფხულით, ზაფხული — შემოდგომით, შემოდგომა — კვლავ ზამთრის პეიზაჟით და ა.შ. ასეთივე სურათები წარმოიქმნებიან ფანტასტიკური გარდაქმნებით: ჯადოქრული ციხესიმაგრე თანდათან დარიბულ ქოხად გადაიცვა და პირიქით მოხუცი მათხოვარი — ლამაზ ჯადოქრად; მგელი — უფლისწულად; ბაყაყი — მწეოუნახავად და ა.შ. განაგრძეთ მსგავსი საყარჯიშოები, სადაც სახეები მოქმედებაში წარმოჩინდებიან: რაინდთა ტურნირი, ხანძარმოკიდებული ცეცხ-

ლის ალში გახვეული ტყე, აგზნებულების ბრბო, ბაზარი, ქარხანა, რკინიგზის სადგური და მრავალი ასეთი ხასიათის სცენა.

გარჯიშის შემდგომი ეტაპი: სახის გარეგნული გამოვლინებებით მისი შინაგანი, ინტიმური ცხოვრების შეცნობა. მაგალითად: მეფე ლირი უდაბნოში; კლავდიუსი მონანიების დროს; ბორის გოდუნოვის სინდისის ქეჯნა; ლონ-კიხოტის აღტაცება, აღფრთოვანება და სასოწარკვეთა. დააკვირდით აღნიშნულ სახეებს, ვიდრე ისინი თქვენში არ აღძრავენ შემოქმედების გრძნობებს. შედგებს ნუ დააჩქარებთ.

ამჯერად თქვენ დაგჭირდებათ გამოიმუშაოთ თქვენგან შექმნილი ძველი სახეების უარყოფა და უფრო სრულყოფილი, როული და საინტერესო სახეების მიგნება. დაშორდით ძველ სახეებს, თუნდაც გეჩვენებოდეთ, რომ ისინი საინტერესოა და რომ უკათვეს ვერ მიაგნებთ. უკეთესი სახე ყოველთვის მზადაა მოულოდნელად ამობრწყინდეს წარმოსახვაში, თუ თქვენ გაქვთ ადრე მონახული სახის უარყოფის გამბედაობა. დეტალურად დამუშავეთ სახე რომელიმე პიესიდან, ლიტერატურიდან ან ისტორიიდან. შეისწავლეთ ის, მერე უარყავით და დაიწყეთ ძიება თავიდან. თუ შეამჩნევთ, რომ თქვენმა პირველად მონახულმა სახემ მაინც დატოვა თქვენზე შთაბეჭდილება, აირჩიეთ სახის ის ნიშან-თვისებები, რომლებიც თქვენ გაწყობთ და შეაზვეთ მეორედ მონახულ სახესთან. ახლა მეორე

სახესაც ჩაუტარეთ „რევიზია“. გადა-
არჩიეთ თქვენთვის არასაჭირო თვი-
სებები და აქედანაც საუკეთესო და-
იტოვეთ. აკეთეთ ასე, სანამ ის მოგბ-
ვრით შემოქმედებით სიამოწერას.

დაიწყეთ სახეებისა და ფანტას-
ტიკური არსებების შექმნა-შეთხზვა
და მათი დეტალური დამუშავება.

წარმოსახვის გავარჯიშება

კარგად განვითარებული და
თქვენს ნებას დამორჩილებული
წარმოსახვა შეიძლება გახდეს
რეპეტიციების ჩატარების ყველაზე
პროდუქტიული საშუალება. რეპე-
ტიციების დაწყებამდე, პარტნიო-
რებთან კავშირის დამყარებამდე,
თქვენ შესძლებთ სისტემატურად
გაითამაშოთ თქვენი როლი უშუ-
ალოდ წარმოსახვის საშუალებით.
ამგვარი რეპეტიციების დადებითი
მხარე იმაში მდგომარეობს, რომ,
ფაქტიურად, ყველაფერი მოხდება
თქვენი გარეგნული გამოხატუ-
ლებების გარეშე, არ დაგჭირდებათ
არც ხმა, სხეულის მოქნილობა, არც
მიზანსცენები და არც პარტნიორები.

თქვენ შესძლებთ მთლიანად
მიეცეთ „თამაშს“, ისე, როგორც ამას
თქვენი თავისუფალი შემოქმედებითი
ინტუიცია გიგარნახებთ მოვგაინებით,
როცა თქვენ მუშაობა მოგიხდებათ
რეჟისორთან და პარტნიორებთან,
საერთო რეპეტიციების დამთავრების

შემდგომ, შესვენების სათავებში,
თქვენ შესძლებთ კელავ დაუბრუნდეთ
თქვენს „თამაშს“ წარმოსახვაში.
ყოველივე ამის შემდეგ ითვა-
ლისწინებთ რეჟისორის შენიშვნებსა
და მითითებებს, მიზანსცენებსა და
თქვენი პარტნიორის თამაშს მიუ-
ხედავად იმისა, რომ თქვენს მიერ
გააზრებული და თქვენში არსებული
„თამაში“ შესაძლოა იყოს საინ-
ტერესო და ბევრად იმაზე მდიდარი და
ზუსტი, რისი თამაშიც თქვენ სცენაზე
მოგიიწვეთ. დიდი ნაწილი იმისა, რაც
თქვენ შესძლებით შეგეებნათ თქვენი
წარმოსახვის საშუალებით, თანდათან
გადმოვა ფიზიკური ქმედების სახით
სცენაზე თამაშის დროს. იმის გამო,
რომ წარმოსახვაზე სავარჯიშოების
დროს თქვენი სხეული რჩებოდა
პასიურ და თავისუფალ მდგომარეო-
ბაში და ღებულობდა თქვენი განცდე-
ბის ღრმა იმპულსებს, თითქმის ისვევე,
როგორც სცენაზე რეპეტიციების
დროს, ის ემზადება თქვენი მხატვ-
რული სახის სხეულად იქცეს, ეუფ-
ლება მის ხასიათს და მოძრაობის
მანერებს, თქვენი წარმოსახვით
გაღვიძებული შემოქმედებითი გრძნო-
ბები შეიჭრებიან სხეულში და იქიდან
წარმართავენ მას.

თარგმნა
ლეგან მირცხულავა

ლურჯ ქეთა გური

XX საუკუნის თეატრალური რეფორმატორის — გროტოვსკის — ერთ-ერთი ანდერძი

ჩემი ურთიერთობა გროტოვსკისთან ძალიან უცნაურად ვითარდებოდა. ჯერ კიდევ 80-იან წლებში მოსკოვში ცხოვრებისას მოხდა ჩემთვის პირველი შეხება მის შემოქმედებასთან, ისევე როგორც პოლონურ კულტურასთან (როდესაც საშუალება მომეცა ცოცხლად მენახა ანჯეი ვაიდას, შაინას წარმოდგენები, კანტორის ჩანაწერები, წამეკითხა სხვა-დასხვა მასალა და შევხვედროდი პოლონელ მოღვაწეებს). გროტოვსკის პირველი წარმოდგენა, რომელიც ვნახე, კალდერონის მიხედვით მის მიერ განხორციელებული „უდრევი უფლისწული“ იყო, რომელიც დღემდე რჩება ჩემთვის, 60-მდე წუთ მედიტაციად. შავ-თეთრი ჩანაწერი, ერთი ნათურით განათებული „დარიბი“ სცენა, ტილოს და ჯვალოს ნაჭრით შემოსილი მსახიობები.

90-იან წლებში უკვე მრავალი საერთო მეგობარი გეყავდა, მათ შორის მისი თანამებრძოლები გარჯენიცას თეატრიდან, და იტალიური პერიოდიდან 1996 წლიდან კი ერთი იდეის გარშემო შეპყრობილი მეგობრები, ვისთან ერთადაც ვამჟამვებდით დიდ პროექტს, რომელზეც გროტოვსკიმ განაცხადა, რომ უეჭველი მიზეზი იქნებოდა, მის მიერ იტალიის სოფლის დატოვება და თბილისში ჩამოსვლა. სამწუხაროდ, ეს პროექტი ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

რამოდენიმე წელი ასევე მქონდა

მიმოწერა გროტოვსკის ცენტრთან ვროცლავში, სადაც მდიდარი არქივია და მნიშვნელოვანი კვლევები მიმდინარეობს თეატრის შესწავლის თვალსაზრისით.

გუშინდელ დღესაც მახსოვს 1999 წლის იანვარში სტოკოლმში ყოფნის დროს, ერთ-ერთ საღამოს ჩემს მეგობართან ერთად ვისხედით, მის სამხარეულოში ხანგრძლივი საუბარი გვქონდა თეატრის შესახებ და სხვათა შორის ზემოთ აღნიშნულ პროექტსაც შევეხეთ.

საუბარი სატელეფონო ზარმა შეწყვიტა, კრისი შეწუხებული დაბრუნდა. რეკავდა ეუჯენიო ბარბა ნორვეგიიდან. კრისის პასუხი მოკლე წინადადებით შემოიფარგლა - „ესი გროტოვსკი გარდაიცვალა...“ კრის ტორში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა გროტოვსკისთან ერთად და დღემდე თანამშრომლობს ეუჯენიო ბარბასთან - ოდინის თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებულთან და თეატრალური ანთროპოლოგიის შემქმნელთას.

სტოკოლმში სუსხიანი ზამთარი იყო, ყინავდა. იშვიათად თოვდა, თუმცადა დღისით მზეც ანათებდა, არც ისეთი მწველი, როგორც იმავდროულად იტალიაში, სადაც გროტოვსკი განისცნებდა, XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი უდიდესი თეატრალური თეორეტიკოსი და რეფორმატორი, რომელსაც უკვე მრავალი წელი უარი უთხრა „ცივი-



ლიზებულ“ - ტექნოკრატიულ ევროპას, ცხოვრობდა იტალიის მაღალმთიან სოფელში, სადაც მასწავლებლობდა. აյ არ წყდებოდა „მოწავეოა“ ნაკადი. გროტოვსკი დიდ დროს ატარებდა მედიტაციებში და ცდილობდა არ ეღალება საკუთარი სულიერი მოძღვრის გიორგი გურჯიევის გზისათვის. თეატრალური პრაქტიკა წარსულში დარჩა, მთავარი გახდა სულიერი სრულყოფა. ეს უკვე იყო საშუალება უანგაროდ დახმარებოდა საკუთარ მიმდევრებს სულიერი სრულყოფისაკენ, რადგან უკვე თეატრი საკრალური მისტერია იყო მისთვის და არა გასართობი სანახაობა. საკრალური თეატრის მსახიობი კი თავად უნდა იყოს განწმენდილი და სულიერად სრულყოფილი.

თეატრალური ხელოვნების თავისებურება განაპირობებს, თუკი მის საიდუმლო კარს შეაღებ უკან რჩება ყოფიერება და ძალიან იოლად ხვდები ცხოვრების, სამყაროს ამაობას. თაობა მიღის, თაობა მოღის ზე დროული თეატრი კი არსებობს, როგორც მითი, როგორც ადამიანთა მოდგმის და კოსმოსის - სამყაროს თვითგამოხატვის ერთადერთი უნიკალური საშუალება. თეატრი, როგორც ხელოვნების დარგი თავად იქცა პარადიგმად.

სათეატრო ცხოვრებით მოღვაწე ხელოვანთათვის შემოქმედებითი გზის ინიციად გადაქცევის შემთხვევაში ისინი ლოგიკურად მიღიან საკრალურ თეატრამდე, რომელშიც არა ავტორისეული დრამები, არამედ კოსმიური კანონზომიერებანი ხორციელდება, თამაშებდება.

დღევანდელი მსოფლიო სათეატრო პროცესი სხვადასხვა უკიდურესობებით ვითარდება. ამ უკიდურესობებში, ფორ-

მათა და მიმართულებათა მრავალფეროვანებაში, თანაბრადაა აღრეული ოსტატთა და მოყვარულთა, ხელოვანთა და შეგირდთა შემოქმედება.

რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გვიჭირს ზღვარის გავლება, სადაც არის ჰეშმარიტი ხელოვნება და სადაც არის მისი იმიტაცია, რადგან ხელოვნებაც თავის დროზე, როგორც სამყაროს იმიტაცია ისე იქმნებოდა.

1999 წლის 14 იანვარს იტალიაში - პონტადერეში გარდაიცვალა XX სუკუნის უდიდესი თეატრალური მოღვაწე ეჟი გროტოვსკი.

მსოფლიო თეატრალურ კულტურაში მან უდიდესი კვალი დატოვა, თავისი მოღვაწეობით მან შეცვალა თავად დამოკიდებულება თეატრალური თამაშისადმი. იგი გარკვეულწილად გაემიჯნა სტანისლავსკის „განცდის თეატრს“ და გადაქცია რა მსახიობის ხელოვნება თავისებურ გარკვეულ ერთიან სულიერ არსებობად, უწყვეტ თვითგანვითარებად და თვითდახვეწად, ჩააყენა რა დრამის სამსახურში უძველესი მედიტაციური პრაქტიკა და რიტუალები. გროტოვსკის სპექტაკლები ჯერ კიდევ მის ცხოვრებაშივე, მათი განსაკუთრებული ენერგეტიკის გამო ლეგენდებად იქცნენ. ფაქტობრივად ამ პოლონელმა დიდოსტატმა მოახერხა ის, რაც მანამდე ვერავინ ვერ მოახერხა, მან შემოაბრუნო თეატრი მისსავე საკრალურ ფესტივალს, შეავსო რა იგი მაღალი მისტერიული წყაროთი. ევროპულ და მსოფლიო სასცენო პრაქტიკის ამან ნამდვილი რევოლუცია მოახდინა.

„... თანამედროვე მსოფლიოს ხელოვნებას კომერციალიზაცია ემუქრება, ჩვენ თეატრში შემოქმედებითი კატასტროფის



პირისპირ აღმოვჩნდით. დღევანდელ დღეს იმპრესარიოები ქირაბენ შეახიობებს რაიმე პიესისათვის, რამოდენიმე კვირით სარეპეტიციოდ და მსახიობებს გარდაქმნიან მონებად, რომელთაც უნდა შეასრულონ ფუნქცია მხოლოდ ეკონომიკური ინდუსტრიისათვის. ევროპაში ეს ჯერ კიდევ ასე ძლიერ არ შეიმჩნევა, მაგრამ ეს ღრმ დგება. ამერიკაში ამ სისტემამ უკვე მოკლა ანსამბლური თეატრი, „გაქირავების“ სისტემამ უკვე დაიწყო ანსამბლური თეატრის მოსპობა ინგლისშიც.

რისთვის არის საჭირო ანსამბლური თეატრი?

იმისთვის, რომ ანსამბლურობის გარეშე შეუძლებელია სამხატვრო თეატრი. არ შეიძლება ერთი პრემიერა ითამაშო უცნობ ადამიანებთან ერთად, იმიტომ, რომ შემდეგ წაზვიდე სხვა ადგილას, გაიარო მოსმენის და შერჩევების ყველანაირი დამცირება და კიდევ სხვა რამ აკეთო, ასეთი სახით ყიდი იმას, რაც უკვე გაქვს. ასე ვყიდით იმას, რაც უკვე ვიცით, და ის რაც უკვე აღმოვაჩინეთ. ეს საშინელებაა! სინამდვილეში კი, როცა მუშაობ პრემიერაზე – ამზადებ შემდეგს, რომელსაც გააკეთებ სამი ან ოთხი წლის შემდეგ. სწორედ ასე ხდებოდა თეატრლაბორატორიაში... აკეთებ რაიმეს, სინამდვილეში კი ამზადებ უცნობს, რასაც განახორციელებ რამოდენიმე წლის შემდეგ. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი არის ანსამბლი... ხელოვნება, როგორც შემოქმედება უცნობის აღმოჩენაა. ის რაც უკვე აღიარებულია, ის რაც უკვე აღმოჩენილია, არ არის შემოქმედება. სწორედ ძალისხმევა უცნობისაკენ აძლევს ხელოვნებას შემოქმედებითობას, როდესაც მე ვამბობ, რომ სტანისლავსკი

ბოლოს და ბოლოს გახდა გენიალურობების არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან შექმნა უდიდესი მეთოდოლოგია, არამედ უმეტესწილად იმიტომ, რომ იგი იყო გამუდმებულ ძიებაში. ნებისმიერი მსახიობი, როდესაც იგი ნამდვილ ძიებაშია იწყებს საოცარ ნათებას, ეს მას ბუნება აჯილდოებს ძიებისათვის, მის სვლას ნაცნობისაგან უცნობისაკენ. მაშა ასე, შევაჯეროთ და განვსაზღვროთ ხელოვნება - ხელოვნება, როგორც უცნობის აღმოჩენისა, ხოლო უცნობისა ხელოვნება შეუძლებელია იმპრესარიოს თეატრში...“

გროტოვსკის შეფასებები ერთი შეხედვით მაქსიმალისტურია და მისი დამოკიდებულება ახალ რეალიებთან კატეგორიულიც კი, მაგრამ მრავალმხრივ სამართლიანი.

თეატრი, რომელსაც ქმნიდა გროტოვსკი, ალბათ ყველაზე რთული გზაა, რომელიც შეიძლება აირჩიოს ხელოვანმა, სამაგიეროდ, იგი დარწმუნებული იყოს, რომ ამ გზას ხელოვნებისაკენ მიჰყავს.

გროტოვსკის მიერ მოყვანილი მოთხოვნები ამ ერთ ციტატაში, არაფრის დიდებით არ კარნაზობს ხელოვანს ფორმას ანდა იმ ხერხებს, რომელსაც თავდა გროტოვსკი იყენებდა. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი თავად დამოკიდებულებაა ხელოვნებისადმი და თუკი განვაზოგადებთ თავად ცხოვრებისადმიც.

ეს ზოგადი პრიციპები ძალიან იოლად მისაღები უნდა იყოს ყოველდღიური ზრდისათვის და მუდმივად შეუცნობელის კვლევისათვის, იმისთვის, რომ ყოველი ახალი დღე სულიერი ზრდის საწინდარი იყოს და მზაობა ახალი აღმოჩენისთვის.

ხელოვანი უნდა შეეგულს იმას, რომ

სწორედ ყოველი დღე უნდა იყოს მისთვის შეუცნობლის აღმოჩენა. უცნობის ძიება უნდა მიღიოდეს პირობითად თოთქოსდა კარგად ცნობილ ჩვენს გარშემო არსებულ გარემოშიც კი, ბუნებაში, მზეში, მოვარეში. ყოველდღე თენდება და ღამდება და ეს ბანალური კანონზომიერებაც კი აღმოჩენის ტოლფასი უნდა იყოს ხელოვანისათვის, როგორც კოსმიური ყოველდღიური რიტუალი სამყაროს უსასრულობისა.

ხელოვნება, როგორც რიტუალი, ხელოვანი, როგორც ქურუმი, მედიუმი, ორაკული საკუთარი სრულყოფის ხარჯზე უნდა იძენდეს იმ ფუნქციას, რომლის შედეგადაც საკუთარი ნათება გადმოგვეცემა მისგან და სცენაზე მოხვედრისას სრულად შეავსებს, როგორც სცენას, მაყურებელთა დარბაზს, ასევე გაუნაწილებს ყოველ მაყურებელს, რათა მასთან ერთად გაიაროს განწმენდა შემოთავაზებული პირობითი ღროის მოკლე მონაკვეთში.

გროტოვსკი ქართულ თეატრ-მცოდნეობაში ჯერჯერობით მაინც ოეთორ ლაქად რჩება, რამდენიმე თარგმანის გარდა არაფერი არ არსებობს. ინტერესი კი მისდამი პრიფერისულ წრებში ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ საბჭოთა პერიოდში იგი ხან აკრძალული იყო, ხან დაშვებული, მერე კი საყოველთაო არეულობის დროს პოლონელი რეფორმატორი კი არა, საკუთარი მოღვაწეებიც გადაგვავიწყდა. დღეს უკვე დროა ახალგაზრდა თაობა უფრო მეტად დაინტერესდეს გროტოვსკის შემოქმედებით, მისი მემკვიდრეობით და ეზიაროს მსოფლიო კულტურის ამ უნიკალურ მოვლენას.

1933 წლის 11 აგვისტო - დაიბადა რზეულუში (სამხრეთ-აღმოსავლეთი პოლონეთი: დაწყებითი განათლება მიიღო რზეულუს მახლობლად მდებარე სოფელში, რომლის ადგილობრივ სკოლაში დედამისი ასწავლიდა II მსოფლიო ომის დროს.

1951 წელს დაამთავრა კრაკოვის საშუალო სკოლა და ჩააბარა ქალაქის დრამატული აკადემიის სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც 1955 წელს დაამთავრა.

1955 წლის აგვისტოდან 1956 წლის სექტემბრამდე, სწავლობდა მოსკოვის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე იური ზავადსკის ხელმძღვანელობით.

1956 წელს ორი თვით მიემგზავრება ცენტრალურ აზიაში: იწყებს პედაგოგობას კრაკოვის დრამატულ აკადემიაში, სადაც აგრძელებს სწავლას სარეჟისორო ფაკულტეტზე და ასრულებს 1960 წელს.

1957 წელს დგამს ექენ იონესკოს „სკამბას“ კრაკოვის ძეველ თეატრში (Stary Teatr), ამით შედგა მისი დებიუტი თეატრში.

1959 წელს ლუდვიგ ფლაკენთან ერთად (რომელიც გახლდათ ლიტერატურისა და დრამის კრიტიკოსი, ქმნის „13 რიგიან თეატრს“ (Theatre of 13 Rows) ოპოლეში, სამხრეთ-დასავლეთი პოლონეთი, რომელიც 1962 წელს გადაიქმნა თეატრ-ლაბორატორიად, როგორც ოეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საკუთარი რეჟისორობის დაწყება აღნიშნა უან პოტრის „ორფეუსის“ განხორციელებით. იმავე წელს დგამს ა. ჩეხოვის „მია ვანიას“ კრაკოვის ძეველ თეატრში.

1965 წელს - თეატრი გადადის ვროცლაში და მისი სახელწოდება იცვლება: თეატრი ლაბორატორია - თამაშის კვლევის ინსტიტუტი.

1959 - 1965 წლებში დაღვმული სკექტაკლები:

1960 - ბაირონი, „კაენი“.

1960 - კალიდასი, საკუნტალა.

1961 - მიცეკვიჩი, Forefather's Eve.

1962 - სტოვაცი, Kordian.

1962 - ვისპიანსკი, აკროპოლისი.

1962 - მარლო, დოქტორი ფაუსტუსი.

1964 - ვისპიანსკი, ჰამლეტის სწავლება.

1965 - კალდერონი - სტოვაცის ადაპტაცია, მედგარი პრინცი.

1965 - აქეცენტებს ნაშრომს „დარიბი თეატრისაკენ“. მოგვიანებით ეს ხდება სახელწოდება მისივე წიგნისა, რომელშიც თავმოყრილია მისი ესეები, ინტერვიუები, სხვადასხვა გამოკვლევები მისი მეთოდისა და ვარჯიშების შესახებ, გამოქვეყნდა 1968 წელს დანაში და ამერიკაში პიტერ ბრუკის წინასიტყვაობით.

1968 - Apocalypsis cum Figuris, ევანგელიეს თემების საფუძველზე, გროტოვსკისა და თეატრალური ლაბორატორიის ერთ-ერთი სრულყოფილი და უკანასკნელი ნაწარმოები.

1968-1982 - მთელი რიგი პარა-თეატრალური პროექტები პოლონეთსა და საზღვარგარეთ:

1972 - „არდადეგები“ და „სპეციალური პროექტი“.

1975 - „ნაციათა თეატრის კვლევის უნივერსიტეტი“ (უან-ლუ ბაროსთან, პიტერ ბრუკთან, ჯორჯ ჩაიკინთან, ანდრე გრეგორისთან და ლუკა რანკონისთან ერთად).

1976 - „რესურსების თეატრული მრავრამის თვალისწილერი ინაუგურაცია, რაც კავშირში იყო მის მოზაურობასთან: ჰაიტზე, ბენგალიაში, ნიგერიაში, ინდოეთში, მექ-სიკაში დრამის უძველესი ტექნიკის გამოსაკვლევად.

1977 - პროექტი „ცეცხლის მთა“

1979 - „ადამიანის ხე“.

1982 - სამხედრო რეჟიმის დროს ტოვებს პოლონეთს: იტალიაში მცირე ხნით ყოფნის შემდეგ, ანგელები ნიუ-იორკის, კოლუმბიის უნივერსიტეტის დრამის პროფესორის წოდებას.

1983-1985 წლებში ასწავლის კოლუმბიის უნივერსიტეტის ხელოვნების სკოლაში: ანვითარებს პროექტს სახელწოდებით: „ობიექტური დრამა“.

1985 წელს - სახლდება პონტედერაში (იტალია, სადაც იგი აფუნქნებს Centro di Lavoro di Jerry Grotowski თავის მეგობრებთან ერთად, რომლის წევრებიც იყვნენ მრავალი ქვეყნის წარმომადგენერალი - მუშაობდა პროექტზე: „რიტუალური ხელოვნება“.

1991 წელს - ეწვევა პოლონეთს, კროცლავის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდების მისაღებად. მას ასევე აქვს მიღებული დე ჟაულის ჩიკაგოს უნივერსიტეტის, ნიუ-იორკის სოციალური კვლევის სკოლის, ბოლონიის უნივერსიტეტის.

1997 წელს - არჩეული იყო თეატრალური ანთროპოლოგის პროფესორად, რომელიც სპეციალურად მისთვის იქნა შექმნილი College de France-ში.

1999 წლის 14 იანვარს - გარდაცვალა საკუთარ სახლში პონტედერაში - იტალია.

ქურთ თეატრი

მოახ თავსთავიდავილ კანკონის ერთვნები ნიშან-თვის ეჭვის ზოგიერთ საკითხი

ოთარ თაქთაქიშვილის ქანტულად მრავალფეროვან საკომპოზიტორო შემკვიდრეობაში დემონსტრირებულია მისი მკვეთრი ინდივიდუალობა, სტილის ორიგინალურობა, მყარი შემოქმედებითი პრინციპები. მისი შემოქმედებითი სახის ძირითადი შტრიხებია ეროვნულობა, ტრადიციულობა, ნოგატორობა. ეს სამი უმთავრესი თვისება ვლინდება მთლიანი თხზულების შემადგენელ ყველა კომპონენტში და მაინც, ეროვნულობის საკითხი თვით კომპოზიტორისათვის ძალზე სისხლხორცეული იყო, რაზეც მისივე შემდგენ ფრაზებიც მეტყველებს: „დღეს მე ყველაზე მეტად მაღლელვებს ჩვენი მუსიკის ეროვნულობის, ეროვნული ტრადიციების განვითარების საკითხი 1). იგივეს მეტყველებს შემდგენ გამონათვამიც: „თანამედროვე მუსიკის უნდა გრძნობდეს თვის ისტორიულ პასუხისმგებლობას ეროვნული კულტურის წინაშე. იგი უნდა იბრძოდეს მისი დაცვისა და განვითარებისათვის. მან უნდა იცოდეს, რომ მისი შენარჩუნება შეუძლებელია მხოლოდ ორგანული განვითარების გზით“ 2). ხალხური, ეროვნული ოთარ თაქთა-

ქიშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ხარისხობრივი მაჩვენებელია, რამაც განაპირობა მისი მუსიკისათვის დამახასიათებელი დრამატურგიული თავისებურებები. კომპოზიტორის ერთ-ერთი ძირითად მასაზრდოებელ წყაროს უნიკალური ქართული ხალხური მრავალ ხმიანი სიმღერა წარმოადგენს, რაც უწინარესად, ცხადია, ოპერების საგუნდო მონაკვეთებში თუ კანტატა-ორატორიული ქანრის ქმნილებებში შეიგრძნობა.

ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკის თავისთავადობა ეროვნულობიდან იღებს სათავეს. მისი მუსიკა იმდენად ეროვნულია, რომ მუსიკალურგამომსახულებითი საშუალებების განხილვა შეუძლებელია ქართული ხალხური მუსიკის თავისებურებების, კანონზომიერებების გაუთვალისწინებლად.

როდესაც საკომპოზიტორო ხელწერაში არსებულ საფუძვლებს ვქმნით, ცხადია, უწინარესად ვგულისხმობთ ხალხური მუსიკისათვის სახასიათო დიატონურ კილოებს, მკეთრად გამოხატული ინტონაციური ფორმულებითა და სეკუნდური

ჰარმონიული მიზიდულობებით, აკრძალულ სტრუქტურებს, პირველ რიგში არატერციული წყობის აკრძალებს, ქართული ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელ საკადანსო საქცევებს. მათი გამოჩენა პროფესიულ მუსიკაში, ბუნებრივია, უფრო აღრმავებს ეროვნულობის ელფერს.

ოთარ თაქთაქიშვილი ქართული ხალხური მუსიკის შესანიშნავი მცოდნება და დამფასებელი იყო, ამიტომაც შეძლო ეროვნული ტრადიციების განვითარება. მის ქმნილებებში ნათლად იგრძნობა ეროვნული სული, ქართული იერ-სახე და ტემპერამენტი. ხალხური მუსიკის თავისებურებებმა მის თხზულებებში პოვეს ჭუშმარიტი შემოქმედებითი გაცისკრონება. სწორედ ხალხური მუსიკის კანონზომიერებების შემოქმედებითი გარდატეხა, ტრანსფორმაცია, მათი მჭიდრო შეკავშირება ევროპული პროფესიული მუსიკის თავისებურებებთან იქცა ერთ-ერთ სახასიათო თვისებად ოთარ თაქთაქიშვილის ხელწერისათვის. ამ შემოქმედებითად გარდაქმნილ ფორმებს კი იგი საოცარი ორიგინალობითა და თვითმოფადობით წარმოაჩენდა.

საკადო ნიშანდობლივია ოთარ თაქთაქიშვილის მოსაზრება, რომელიც მან ევგენი მაჭავარიანთან ინტერვიუში გამოოქვა: კითხვაზე, თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება თანამედროვე მუსიკაში ფოლკლორის გამოყენების მიმართ, კომპოზიტორმა უპასუხა: „არ ვთვლი, რომ ფოლკლორის გაშუალებული გამოყენება

მისგან განდგომას ნიშნავდეს. ჩემი აზრით, ფოლკლორის გაშუალებული გამოყენების საფუძველს მისი სულიერი შეცნობა, ფართო და იმავგდროულად, მართებული, კონკრეტული სტანდარტით შთაბეჭდილება უნდა ქმნიდეს. საერთოდ კი, ეს ფაქტი საკითხია, რომელსაც მუსიკის ზედმიწვნითი ანალიზი ესაჭიროება.

ჩემს ბოლო თხზულებებში (ინტერვიუ 1974 წლით არის დათარიღებული. ზ.ო.) არის ფოლკლორისადმი მიმართვის ნიმუშები. არ მიყვარს პირდაპირი ციტირება, თუმცა, რასაც მე ვაკეთებ, ყველასათვის ხომ ნორმა ვერ იქნება.

ჩემს ოპერაში „მინდია“ არ არის არც ერთი ფოლკლორული ციტატა, „მეგრული სიმღერები“ კი, ხალხური ნიმუშების დამუშავებაა, „გურული სიმღერები“ მეტი თავისუფლებით არის შექმნილი. ყოველ შემთხვევაში ქართული ხალხური მუსიკა ჩემს სულში ბინადრობს“ 3).

ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებებში გვხვდება როგორც ციტირების ნიმუშები, ასევე ხალხური მუსიკისათვის სახასიათო პრინციპების შემოქმედებითი გამოყენების მაგალითები, ხშირ შემთხვევაში იგი ამუშავებდა ფოლკლორის სიმღერისეულ შრეებს, რითაც მუსიკა მეტ ეროვნულ თავისთავადობას იძენდა.

აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორისათვის ერთნაირად ახლობელია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორი. ამიტომაც შეინიშ-

ნება მის მუსიკაში ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება. უმთავრესად, ყოველივე ეს გარდატეხილია თაქთა-ქიშვილისეული პროფესიული საკომპოზიტორო ხელწერით და შეჯერებულია კლასიკური მუსიკის ნორმებთან.

ქართული ხალხური სიმღერის გარდა, თაქთაქიშვილის ინტერესის სფეროში მოქცეული იყო ხალხური საკრავიერი მუსიკაც. იგი ხშირად მიმართავდა ხალხური ინსტრუმენტების იმიტირებასაც. ამის თვალსაჩინო ნიმუშია საფორტეპიანო სიურტა „ქართული ხალხური ინსტრუმენტების მიბაძვა“. აქ კომპოზიტორი საფორტეპიანო ფაქტურით ასახიერებს სალამურისა და ჩონგურის, ფანდურის, დუდუკის, დოლის უდერადობას. ჩონგურის იმიტირების ჩინებული ნიმუშია მისი პირველი საფორტეპიანო კონცერტის სკერცო. ნიშანდობლივია ამ მიმართებით კანტატა „გურული სიმღერების“ მესამე ნაწილი „ხორუმი“. ორიგინალურია თვით საკომპოზიტორო ჩანაფიქრიც, რადგან საცეკვაო, ინსტრუმენტული მუსიკის ხორცებს ხმას თაქთაქიშვილი ახორციელებს წმინდა ვოკალური საშუალებებით, „ხორუმს“ ახრულებს ვაჟთა ოქტეტი და გუნდი, რომლებიც წარმოთქვამენ გლოსოლალიებს.

ოთარ თაქთაქიშვილის არაერთ ინსტრუმენტულ ნაწარმოებშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ვოკალურ და საგუნდო ქმნილებებზე, შეინიშნება მსგავსება ფოლკლორული სასიმღერო ნიმუშების საშემსრულებლო

მანერასთან. გარდა ამისა, საჭურვალო ნაწარმოებებში, ზოგჯერ კი ოპერების საგუნდო ეპიზოდებში, ვლინდება ხალხური სიმღერის ფაქტურულ წყობასთან სიახლოვეც, მაგრამ ამ სფეროშიც კომპოზიტორი სრულ თვითმყოფადობას ავლენს. თაქთაქიშვილის მუსიკაში ეროვნულობა ხშირად ამოიცნობა შელოდიათა წყობის, ხმათასელის პრინციპებისა თუ რიტმულ ინტონაციური მიმოქცევების წარმომავლობითაც. მაგრამ ხალხური ინტონაციის ავტორისეულ ტრანსფორმაციას ხაზს უსვამს სინთეზი კლასიკურ, ევროპულ კანონზომიერებებთან.

ცხადია, ეროვნულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მუსიკალური ნაწარმოებების კილოებრივი საფუძველი. ამ თვალსაზრისით, ოთარ თაქთაქიშვილის ქმნილებებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ეროვნული ფუძე, რამდენადაც მისი პარმონიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, დომინირებულ პლასტს მოდალური კილოები წარმოქმნიან, რაც ქართული ხალხური მუსიკის კილოებრივ საფუძვლებთან კავშირით აიხსნება.

თაქთაქიშვილის ნაწარმოებებში მნიშვნელოვან აღვილს იკავებს ქართული ხალხური მუსიკისათვის სახასიათო ტერციული და არატერციული წყობის აკორდები, რაც მის ქმნილებებს მეტი ხალხურობის, ეროვნულობის ელფერს მატებს. ქართველ კლასიკოსებთან შედარებით ო. თაქთაქიშვილის თხზულებებში ამ აკორდებს გამოვლენის მრავალგვარი

ფორმები ენიჭებათ. ზოგჯერ, არა-ტერციული წევობის აკორდების ვერტიკალში გაერთიანება პოლი-აკორდებსაც წარმოქმნის.

კომპოზიტორი ხშირად იყენებს ქართული ხალხური მუსიკისათვის სახასიათო საკადანო საქცევებსაც, რაც კიდევ ერთხელ უსგამს ხახს მისი მუსიკის ეროვნულ საფუძვლებს. საერთოდ, საკადანო საქცევები, მჭიდროდ დაკავშირებული ფორმასთან და ფორმაქმნადობასთან, მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ თაქთაქიშვილის ობზულებების მუსიკალური დრამატურგიის თავისებურებებს.

ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკალური ენა, აზროვნება ნოვატორულია და მეტად თავისებური, რაც, უწინარესად, განაპირობა მისმა თვითმყოფადმა მიღვიმა ხალხური და პროფესიული მუსიკის მიღწევების სინთეზირებისა და თანამედროვეპრიზმაში გარდასახვის ინტელექტუალურმა უნარმა.

ხალხურის, ეროვნულის სწორი აღქმა და შემოქმედებითი გარდასახვა არის ოთარ თაქთაქიშვილის უმთავრესი შემოქმედებითი ხარისხი, რითაც აიხსნება მისი შემოქმედებითი დრამატურგიის თავისებურება. სწორედ აქედან მომდინარეობს მის შემოქმედებაში იმ გამაერთანებელი მეოთვის

აზრობრივი დატვირთვა, რომელსაც არა ოდენ ფოლკლორული საფუძველი გააჩნია, არამედ ამ სულიერ სიმდიდეებს შემოქმედებითად აკავშირებს ზოგადევროპული და ქართული მუსიკალური კულტურის უკვე აღიარებულ შედევებთან.

მაღალმხატვრული ღირებულებებით, ქართველ კლასიკოს კომპოზიტორთა და, განსაკუთრებით, ზაქარია ფალავაშვილისეული ტრადიციების გაგრძელებით, რაც გამოხატულია ეროვნული და ზოგადევროპული მუსიკის მიღწევებისა და კანონზომიერებების ღრმა წევორმით, შემცნებითა და განვითარების ახალ საფეხურზე აყვანით, ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ეროვნული მუსიკის ისტორიაში.

გამოყენებული ღირებულებები:

1). ო. თაქთაქიშვილი. „ვიზიეროთ ქართული მუსიკის მომავალზე“. საბჭოთა ხელოვნება, 1979, №6/გვ. 40.

2). ო. თაქთაქიშვილი. „ეროვნული მუსიკა — მუსიკალური აღზრდის საფუძველი“. საბჭოთა ხელოვნება, 1980, №9 /გვ. 7/.

3). Е. Мачавариани. Интервью с О. Тактакишвили. В книге „Творчество, вестник композитора“. Вып 2.М. 1976г. /გვ. 4/.

ისტორია

პანანა ჭურია ქვიდე

„ახალგაზრდა გვარის სახელით“ —

ფაქტობრივად აქედან
დაიწყო ჩვენი თეატრი

მიხეილ თუმანიშვილი

„... მივედი სახლში, ჩემს კარს
მივაღექი, გასაღები ამოვილე და უცებ
გავითიქრუ, რომ ჯერ კიდვე გუშინ მეჩ-
ვენებოდა — ჯიბეში მიღევს-მეთქი
გასაღები, რომელსაც მრავალი წელი
ვეძებდი, გასაღები ახალი სარეპეტიციო
შეთოდიკისა. მე მაშინ უცებ მომეჩენა,
რომ ბოლოს და ბოლოს, გავიგე, თუ
როგორ უნდა მუშაობა და ბეჭდიერი
ვიყავი ამის შეგრძნებით. რა გულუბრ-
ყვილობაა — გასაღები ჯიბეში მეღო,
მაგრამ უკვე არა მქონდა კარი, რომელსაც
მისით გავაღებდი.

... და მე გადავწევიტე ჩემს ბაზებ-
თან ერთად ამეშენებინა თეატრი, რომ
არსებულიყო კარი, რომელსაც ჩემი
გასაღები მოერგებოდა და ჩვენ დავიწყეთ
თეატრი „თამაში“, ეს იყო „მე-11 აუდი-
ტორიის თეატრი“!

კვლავ დიდერი ხდებოდა მიხეილ
თემანიშვილი, ოღონდ ახლა სრულიად
ახალგაზრდები — სტუდენტები იყვნენ
მისი თანამოაზრუები, რომლებსაც რეჟი-
სორი თავისი თეატრალური ესთეტიკით
ზრდიდა. ეს ყოველივე კი თეატრალურ
ინსტიტუტში თითქოს ჩვეულებრივად
დაიწყო.

1967 წელი... რეჟისურისა და მსა-
ხილების პირველი ექსპერიმენტული
ჯგუფი. რაში მდგომარეობდა ექსპერი-

მენტის არსი? კვლავ კოლექტივის შექმნის
მიზანი... რეჟისორი თავისი თეატრალური
ცხოვრების მაგალითზე მიხვდა, რომ მხო-
ლოდ ერთორმეტუნეთა ერთობლიობას
შეუძლია ახალი თანამედროვე თეატ-
რალური პროცესების წარმართვა და ამ
აზრის განსახორციელებლად კი მოინ-
დომა სტუდენტობიდანვე აღზარდა
კოლექტივი. „მე დავიწყე ახალგაზრდების
შეგროვება, რომელთაც სურდათ მსა-
ხილებისა და რეჟისურის ოსტატობის
დაუფლება და მათი ერთობლივი სწავ-
ლების ორგანიზაცია მოვახდინე. ეს იმას
ნიშნავს, რომ მსახილები და რეჟისურები
თავიდანვე ერთად სწავლობდნენ, როგორც
ერთიანი თეატრალური კოლექტივი¹².
სტუდენტებს სჯეროდათ მიხეილ თემა-
ნიშვილისა და მისგან სასწაულს ელოდ-
ნენ. მას კი ამდენა წარმატებისა თუ წარუ-
მატებლობის, ქება-დიდებისა თუ გაყიცხ-
ვის შემდეგ კვლავ აღმოაჩნდა ძალები და
ახალი ენოუზიაზმით განაგრძო მუშაობა.
მე-11 აუდიტორია პატარა თეატრად იქცა.

ეს ჯგუფი მაღამოსავით მოვლანა მ.
თემანიშვილს. ეს იყო მისთვის გამოსა-
ვალი, კვლავ თეატრში დაბრუნების თავი-
სებური ცდა. აქ კვლავ შეიქმნა სტუდიური
ატმოსფერო, როგორც მაშინ, შორეულ
50-იან წლებში. უმთავრესი მიზანი კი იყო
„თეატრობანას“ თამაშის გადაცევა

ცხოვრების მნიშვნელოვან საქმედ. ეს კი პროფესიონალიზმის საწინაღოა – საკუთარ თავში ჩატევის, საკუთარი შემოქმედებითი მე-ს წარმართვაა, რაც ასე მნიშვნელოვანია მსახიობის ხელოვნებაში. ეს პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი მათი ერთიანობის შენარჩუნების დიდი სურვილის მიუხედავად დაიშალა. სამაგივროდ, მეორე ექსპერიმენტულმა ჯგუფმა დასაბამი მისცა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალურ სახელოსნოს. ამ ჯგუფში კვლავ გააგრძელეს „თეატრობანას“ თამაში. ოდონდ, თამაშმა აქ უფრო სერიოზული სახე მიიღო. თანაც, ბედმა გაუდიმა მ. თუმანიშვილს, – მათ უსაზღვროდ უყვარდათ თეატრი, ხოლო მირითადი ბირთვი მკეთრი ინდივიდუალობის მქონე ნიჭიერი ახალგაზრდები იყენენ. მაგრამ მათი ენთუზიაზმის მამოძრავებელი მაინც თუმანიშვილის პიროვნება იყო. თეატრიდან წამოსულს მთელი ყურადღება მხოლოდ მათკენ ჰქონდა მიმართული. რატომ იყო მათ ცხოვრება „თეატრობანას“ თამაში? იმიტომ, რომ აქ კველაფერი ნამდვილ თეატრს ჰგავდა. „გვქონდა პატარა სცენა (5X5) ფიცარნაგის სიმაღლე სულ 2,5 მმ. იყო, მსახიობების ოთახები თუჯირებისაგან იყო გაკეთებული, გვქონდა ჩვენი თეატრალური ფარდაც, გვქონდა პატარა მაყურებელთა დარბაზიც, სარეკაფიტო, სამკერვალო, განათების სამქრო და ა.შ. და კველაფერი ეს ერთ აუდიტორიაში. გვყვადა ჩვენი მსახიობების დასი, დირექტორი, მხატვრული ხელმძღვანელი, ლიტერატურული ნაწილი, დასის გამგე და სადადგმო ნაწილის გამგე. კველა ეს თანამდებობა სტუდენტებს რიგორობით ეკავათ ნახევარი წლის განმავლობაში, ხოლო გარკვეული ჰერიონის ბოლოს მთელი კოლეგეტივი იკრიბებოდა და განვლილი მუშაობის ანგარიშს აპარებდა³. სტუდენტებმაც დაიჯერეს ეს თამაში და იგი მათთვის ნამდვილ

ცხოვრებად იქცა. სწორედ ამ მიზნისაც მიჰყავდა პედაგოგს – მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფმა მიზნად დაისახა ქმედით ანალიზის მეთოდის შესწავლა. „კველაფერი რაც კი აუდიტორიაში კოდიდებოდა, კველებიდა იძისათვის, რომ დავუფლებოდით ამ მეთოდს. სწორი მეთოდი – ძალზე მნიშვნელოვანია, ეს პრიცეპული პოზიცია ხელოვნებაში, ეს რწმენაა. თავი და თავი კველაფერისა იყო ის დებულება, რომ რეპეტიცია „ეს არის ძიება, გმოკვლევა, ანალიზი, აგება და რაც კვლევები მთავრია თეატრში – ქმედება, ქმედება და კიღვ განცდა⁴.“

ამ პერიოდში რეჟისორი მეცნიერულად შეისწავლის მსახიობის ფსიქოტექნიკას. აინტერესებს მიზეზი სცენაზე მსახიობის შემოქმედების დაბადებისა, გარდა ამისა, თითოეულს ჭუშმარიტ მოქალაქედ ზრდის, რათა მან შესძლოს თანამედროვე ცხოვრების აუკარგში გარკვევა.

მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის საკურსო სპეციალური დიდი პასუხისმგებლობით იქმნებოდა. ასე დადგა ჯგუფმა ფერმოს „კარებს აჯახუნებენ“ (რეჟ. ნ. ბაგრატიონი), გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ (რეჟ. ქ. ლოლიძე), და კლდიაშვილის „მსხვერპლი“ (რეჟ. ც. ნაკაშიძე) – თავის დროზე გახმაურებული სპეციალური ბილური. თეატრის გახსნის შემდეგ ფერმო და გარსია ლორკა თეატრალური „სახელოსნოს“ რეპერტუარში შევიდა. კველა გრძნობდა მათ განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას. როგორც კველა ჯგუფში, აქაც ტარდებოდა შეტყველების გაკეთილები, აქაც, ისევე როგორც სხვა ჯგუფებში, დასაწყისში ეტიუდებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ ბოლოს, თეატრის ჩამოყალიბების შემდეგ, როდესაც მათ უკვე ეწოდათ მსახიობები, მ. თუმანიშვილი კვლავ განაგრძობდა ფრენელურ გარჯოშებს მეტყველებაში, წარმოსახვაში, სხვადასხვაგვარი ეტიუდების შესრულებაში, მსახიობის ფანტაზიის

გაღვივებაში, რაც იმპროიზაციის საფუძვლად სარმოადგენს.

სტუდენტებმა მესამე კურსის ბოლოს დამოუკიდებლად დადგეს ა. ფადევვის რომანის „ახალგაზრდა გვარდიის“ ინსცენირება (ინსცენირების აუტორი მ. გეგია), სპექტაკლის ნახვის შემდეგ მ. თუმანიშვილმა საფუძვლიანად გადაკეთა როგორც ინსცენირება, ასევე სპექტაკლი და მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის საკურსო წარმოდგენა თეატრალურ მოვლენად იქცა. მ. თუმანიშვილის მიერ საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ სპექტაკლი სცენაზე ახალი სათაურით გამოვიდა. ამ წარმოდგენას ერქვა „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. სათაური უკვე შეაფიოდ გამოხატვადა სპექტაკლის თამაშის წესს და მის ფორმას.

„ჯგუფის ინიციატივით შეიქმნა სპექტაკლი „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. ფაქტიურად აქედან დაიწყო ჩვენი თეატრი“⁵. ეს თავად მიხეილ თუმანიშვილის სიტყვებია, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახელოსნოს შექმნელისა. უნდა ვირწმუნოთ ეს ფაქტი: თეატრის გახსნის (1978) შემდეგ სპექტაკლი შევიდა „სახელოსნოს“ ოეპერტუარში, ამიტომ მ. თუმანიშვილის მოღვაწეობის ანალიზი, ახალ თეატრში სწორედ ამ სტუდენტური სპექტაკლით უნდა დაიწყოს.

ფიციოტ, რომელსაც ქართველი მსახიობი, თანამედროვე ახალგაზრდობა დებდა, იწყებოდა სპექტაკლი. თუმცა არა... წარმოდგენა სამარისებური ისჩუმით იწყებოდა. სიჩუმე იყო დაძაბული და შემაძრწუნებელი. ეს დასაწყისი ძალაუნებურად განაწყობდა მაყურებელს სპექტაკლისადმი. ამ დაძაბულ სიჩუმეში შემოღილების წინ დგებოდნენ მსახიობები და ფარდის წინ დგებოდნენ. უცებ საიდანაც სინათლის ნაკადი ხან ერთ და ხან მეორე სახეს ანათებდა – ქართველი მსახიობები ფიცის დებდნენ.

ამ ფიცის ამბობდნენ ჩუმად, ყრულებულით და ისეთი შენაგანი განცლით, რომ პირველი წუთებიდანვე მაყურებელთან კონტაქტი წარმოიქნებოდა.

.... მე, მურმან ჯინორია ახალგაზრდა გვარდიის სახელით ვფიცა!... შე, ზაზა მიქაშავიძე,... მე, ქეთევან დოლიძე...“ ჩურჩულით ნათქაძი ფიცი შემდეგ ნელა, თითქოს შინაგანმა აუცილებლობამ წარმოშვაო, გადა „ზრდებოდა „ინტერნაციონალში“ და მსახიობთა ხმა შევიდი გუგუნით მოედებოდა დარბაზს. პირველი სათქმელი უპვე ითქვა. პირველი კონტაქტიც დამყარდა. ეს დასაწყისი ორგანულ კავშირშია სპექტაკლის სათაუროთ – „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. სწორედ მათი სახელით დებებიც მსახიობები. ამ მომენტში დაუკავშირდა თანამედროვეობა ომის დღეებს, სტუდენტი-ახალგაზრდები – წამებული გვარდიის გმირებს. სტუდენტები „თამაშობდნენ“ ახალგაზრდა გვარდიის გმირებს – ამას ისიც მიუთითებდა, რომ მსახიობებს არ ეცათ ომის დროინდელი ტანსაცმელი – ყველანი შავ ფორმებში იყვნენ გამოწყობილნი. ისეთივე სახის ფორმებში, როგორც თეატრალურ ინსტიტუტში არიან ხოლმე შეცადინებაზე. ეს ჩაცმულობა, შემდგვე, სპექტაკლის მსელელობისას პლასტიკური ეპიზოდების შესრულების დროს ლამაზად ერწყმის სპექტაკლს.

მთელი წარმოდგენა გარკვეულ ეპიზოდებად იყო დაყოფილი. ყოველი ეპიზოდი იწყებოდა სიბეჭდით და სიბეჭდითვე მთავრდებოდა. ეს ფრაგმენტულობა სპექტაკლის ჩონჩხად იქცა, რაზედაც შემდეგ წარმოდგენის ფორმა უნდა წარმოშობილიყო. სწორედ ასეთივე პრინციპით იყო დაწერილი რომანის გასცენურებული ლიტერატურული საფუძველი. ის კი არა, ეპიზოდები დასათაურებულიც კი იყო. მაგალითად „დაბრუნება, ხანძარი“, „ფიცი“, „კულემოვის



გაძევება“, „დროშების გაკიდება“. სწორედ ამგვარად შეიძლებოდა სპექტაკლის ეპიზოდების დასათურებაც. წარმოდგენაში თითოეულ ეპიზოდს გარკვეული აზრი და მიზანი გააჩნდა. სპექტების ამოხსნა თუ გმირთა შორის ურთიერთობების ახსნა არ იყო რეჟისორის სურვილი. „სპექტაკლი პლაკატურია. ყოველი ეპიზოდი პირდაპირ, ყველასათვის ერთნაირად დასანახი და გასაგები აზრითაა დატვირთული. ყოველი ეპიზოდი ცალკეული პლაკატია“⁶. სპექტაკლი-პლაკატი, სწორედ ეს იქცა რეჟისორისათვის წარმოდგენის გასაღებად. ამ პრინციპმა განაპირობა სპექტაკლის ძირითადი მიზანი – ეჩვენებინა, თუ როგორ დაიბადა ჯერ იადგ 16-17 წლის ბავშვებში ჭეშმარიტი გმირობა. რეჟისორის ამ მიზანს ემსახურებოდა გასცენურებაც, რომლის ყოველი ეპიზოდი ორგანულ კავშირში იყო ერთმანეთითან. სწორედ ამიტომ რეჟისორმა მთლიანად მოსპონ მაყურებლიდან მომდინარე შესაძლებელი დავა რომანთან დაკავშირებით – არის თუ არა რომანი სრულად გასცენურებული? როგორი ხარისხია? ნაწარმოების ყველა ძირითადი აქცენტი არის თუ არა მასში გადმოტანილი? და ასე შემდეგ, ასე შემდეგ...

ახალგაზრდების მიერ სცენაზე წარმოქმნილი მართალი განცდა მათი ურთიერთობების შედეგად შექმნილი საოცრად ძლიერი და პირდაპირი, მაყურებლის ზემოქმედებაზე გამიზნული სცენურო ატმოსფერო – აი, რა იყო რეჟისორის წარმატების ერთ-ერთი საწინაარი.

სპექტაკლის ლიტერატურული საფუძველი მარტივია. დასაწყისშემცვევ სხვადასხვა ეპიზოდებიდან ირკვევა, რომ გერმანელები კრასნოდონს არბევენ. ახალგაზრდებს ხან ერთი საშინელი ამბავი მოიაქვთ და ხან მეორე. ერთხელ, როდესაც ვალია ბორცი შემოვარდება – დედ-მამა დამიპატიმრეცო,

სერიოუკა კი მოუყვება გერმანელების მიერ ცოცხლად დამარხული ადამიანების სახარელი სიკვდილის შესახებ. ახალგაზრდები ერთხმად დებქნ ყოცხს. ახალგაზრდა გვარდიელები შტაბის საბრძოლო დავალებებს ასრულებენ. ერთხელ, როდესაც საშვიდნოებროდ გერმანელთა შტაბზე წითელი დროშა უნდა აღმეართათ, გვარდიის ზოგიერთი წვერები ჩავარდებიან. ერთ-ერთი მათგანი – კულეშოვი ვერ გაუძლებს წამებას და გვარდიის ყველა წვერს ასახელებს. ნაწარმებ გვარდიელებს ბრუნერი შახტში ჩაირის. ახალგაზრდები კვლავ სამშობლოს ერთგულების ფიცს დებენ. როგორც ვხედავთ, გასცენურებულ ნაწარმოებშიც ავტორის მიზანი იყო ა ხალგაზრდა გვარდიის გმირობის დაბადების ჩევნება, მათი ერთიანობა და ბრძოლა. აი ყოველივე ის, რის საფუძველზედაც მ. თუმანიშვილმა ჯგუფთან ერთად (სპექტაკლის რეჟისორები იყვნენ სტუდენტები: ნ. ბაგრატიონი, ქ. დოლიძე, ც. ნაკაშიძე) ააგო სპექტაკლი.

როდესაც ქართველი სტუდენტები ფიცს ამთავრებდნენ. ფარდაც იხსნებოდა და ძლიერ შუქში უბრალო (ძოქქედ გმირთა ჩაცმულობასავით) დეკრაცია წარმოჩნდებოდა მაყურებლის წინაშე (მხატვარი სამხატვრო აკადემიის IV კურსის სტუდენტი თ. გომელაური). ეს რკინის ჩონჩხი, რომელიც დანგრეული კედლის ნარჩენებს მოგვონებდათ, მისი მოვლენებთან პირდაპირ კავშირში იყო. „სცენაზე ჩონჩხად ქცეული ხლართები და ეკლიანი მავთულებია. ამ „ჩონჩხის“ ფონზე, შავეთიდან წამოსული მძაფრი გოდებით, წივილით, სიკვდილის ცელით მოდის ფაშიზმი“⁷. ეპიზოდების მონაცვლეობისას, იმის მიხედვით თუ სად ხდებოდა ესა თუ ის მოვლენა, შესაბამისად იცვლებოდა მაყურებლის წარმოსახვა. მიუხედვად იმისა, რომ არმატურა მთელი სპექტაკლის განმავლობაში



მიზანსცენა უფრო მეტ მხატვრულ
ზემოქმედებას აღწევდა, რაღაცაც
აზრობივად სრულყოფამდე წენიდა,
როგორც ფაშიზმის წამლეკავ არსს, ისე
ამ ბავშვთა გამოუვალ, უკვე საიდეალოდ
განწირულ სიცოცხლეს.

ერთად შეჯგუფებული ბავშვების
მრისხანებით ანთუბული თვალები... ისინი
ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებენ და
არც ლიტონ სიტყვებად დარჩება მათი
ფიცი: „მე მთელი ხალხის წინაშე ვფიცა! დაუნდობლად შური ვიძიო დანგრეული,
გადამწვარი ქალაქებისა და სოფლებისათვის. ჩვენი ადამიანების სისხლი-
სათვის და თუ ამ შურისძიებისათვის
საჭირო იქნება ჩემი სიცოცხლე, უყოფ-
მანოდ გავწირავ თავს“. მრისხანებით
გაისმის „ინტერნაციონალი“, რომელიც
ზარების ძლიერ რეკვაში გადაიზრდება.
ისინი გულუბრყვილობი — მაღლ
მთელი ქვეყანა გაიგებს მათ გმირობას.

რეჟისორმა თანხათანობით, წვეთ-
წვეთობით აგო მრისხანე ფიცის ეს სცენა.
ჯერ ვალია ბორცი... მერე ტულენინი...
შემფუოთება, შეძახილები... კვლავ
ბრწყინვალე სცენური ატმოსფეროს
შექმნებული გვვლინება მ. თუმანიშვილი.
სიუჟეტურად თითქოს არც არაფერი
მომხდარა, მაგრამ რეჟისორის მიერ
შექმნილი ეს სცენა გასაოცარ გავლენას
ახდენდა მაყურებელზე. იგი იწყებოდა
შშიიდად და მთავრდებოდა მძვინვარედ,
აფორიაქებული. ეს კონტრასტიც
ამძაფრებდა სცენურ გამომსახველობას. მ.
თუმანიშვილს თითქოს ესმის მომავალი
სცენური გარემო — სად? როდის? რის
შემდეგ უნდა წარმოსთქვან მსახიობებმა
რეპლიკები თუ შეძახილები, ქვთინი თუ
მძვინვარე ფიცი. ეს კი ხელოვნების
შექმნის უნარით დაჯილდოებული
ადამიანის გონიერისა თუ გრძნობის
საიდუმლობაა.

პირველ მოქმედებაში ისინი ჯერ
კიდევ ბავშვები არიან. ეს მათი ურთი-

იდგა სცენაზე, „მცირე დეტალის მოშვე-
ლიებით ეს უცვლელი დანადგარი მრა-
ვალი საჭიროებისთვისა გამოყენებული:
როგორც ტოტი, რომელზედაც ჩამოსკუ-
პებულა ვალია ბორცი (მ. სურმავა) და
გასცერის გზას, საიდანაც გერმანელები
უნდა შემოიდნენ. პატარა კიბე, სარგმლის
ჩარჩო და ეს დანადგარი უკვე სარდაფია...
თასმით დამაგრებული თეთრი ფარდა —
და დანადგარი სონიას ოთახად იქცევა...
როცა ბრუნერი (ნ. ბაგრატიონი) თავის
ტანისაცმელს ჩამოკიდებს ზედ, დანადგარი
გერმანელთა შტაბად იქცევა, ხოლო როცა
ზემნუხოვი (მ. ჯინორია) მის კუთხეში
მოკალათდება — ციხის საკნად“⁴⁸.

პატარა გოგონა — ვალია ბორცი (მ.
სურმავა) ჩამოსკუპულა ხის ტოტზე და
გზას გასცერის. სერიოსუკასთან
საუბრობს. გერმანელების ნახვა ანტე-
რესებს. ისინი გულუბრყვილობი არიან,
ბავშვურები. და აი პირველი აკორდი...
ძლიერი, შეშხარავი. სცენაზე ორი გოგონა
შემოვარდება (მ. არაბული, ნ. კოპაძე) და
„სახშემლალი“ საზარელი კვირილით
აუწყებენ გერმანელების შემოსვლას, მათ
შეძრწუნებული ბიჭები და გოგოები
მოჰყვებან. გაისმის ფაშისტური მარშის
ხმა. მისი ძლიერი, წამლეკავი ძალა
თითქმის სდევნიდა, ავიწროვებდა
ბავშვებს. ჯერ კიდევ მომხდარ ფაქტში
გაურკვეველნი აწყებოდნენ რეინის
ჩონჩხს. სიბძელეში შუქ-ჩრდილების
ცვალებადობა და გახმოვანება სახარელ
ატმოსფეროს ქმნიდა. ამგვარ განათებაში
რკინის არმატურა ახლა შავთულ-
ხლართიან კედელს ჰვავდა, მისი შავი
ჩრდილები სერავდა ახალგაზრდების
სახეებს. შიგადაშიგ სინათლეში მათი გაო-
ცებული თვალები ჩნდებოდნენ. შეში-
ნებულნი კი არა, გაოცებულნი უყუ-
რებდნენ მომხდარ ფაქტს. ასე გადაწყვიტა
რეჟისორმა ფაშისტულების შემოსვლა,
თუმცა ფიზიკურად არ იყვნენ იმ სცენაში,
მაგრამ შექმნილი ატმოსფერო და

ერთობების ზოგიერთ ეპიზოდშიც ჩანს. სამაგიიროდ, მეორე მოქმედება ახალგაზრდა გვარდიის აქტიური, ერთიანი ქმედების ზანაა. ისინი უკვე იძრმვიან...“, როცა სერიოზუა ტულენინის (ბ. კაკაბაძე) მიერ აფეთქებული გერმანელთა შტაბი ცეცხლის აღმი გაეხვევა, აღლი ეკრანსაც ედება. აღისფერო ეკრანის ფონზე ბაგშების შავი ფიგურუბი კიდვე უფრო მუქდება. ისმის ულავანა გრომოვას (ქ. დოლიძე) გულიდან ამონახეთქი სიტყვის „... საშინელია, რომ ამაში ჩვენი ხელი არ ურვია...“ ეს ჯგუფიც ყუმბარების ცეცხლის ჭარტლით ორუჯება და წამით ოშმი დაღუპულ ახალგაზრდების სკულპტურად იქცევა⁹. ასე აქცევს რეჟისორი გარევეულ მოვლენას მეტაფორად, რის შედეგადაც წინ წმოიწვევს და გამძაფრდება ამ ეპიზოდის აზრი.

სპექტაკლის პატარა ეპიზოდებში ორკვეული მოდალატეთა ამბავი. ახალგაზრდა გვარდიიელები ფომინს კლავენ – სარდაფში კულეშოის განდვნაზე მსჯელობენ... გუშინდელი ბავშვები ადამიანის ბედს წყვეტენ.

რამდენიმე წყვილი ჩურჩულით, ბავშვური გულუბრყვილობით სიყვარულზე ესაუბრებიან ერთმანეთს. მათ იციან, შეიძლება ცოცხლები ვეღარ დაბრუნდნენ და ამიტომაც უკანასკნელ სითბოსა და სილამაზეს უძღვნიან ერთმანეთს. ახლა უფრო მძაფრად გამოჩნდა, თუ რისთვის გაჩნდნენ ეს ადამიანები ამქვენად...

სცენა გერმანელებთან. ბრუნერი (ნ. ბაგრატიონი) – გარეგნულად ინტელექტუალური შეხედულების, დაცვისილი მანერებით. ამ გარეგნობით თავის თავთან ქმნის კონტარასტს. როდესაც ზემნუხოვი (მ. ჯიორია) არ გატყდა, კულეშოის ჯერი დადგა. აქ კი როგორც მოსალოდნელი იყო – დაეცა მხდალი ადამიანი. სპექტაკლის ლიტერატურულ საფუძვლში ამ სცენას შემდგნარი სიუ-

ჟეტი აქვს: კულეშოეს სცემენ, ის კულეშოეს წამებას და თითო დარტყმაზე თითოეულ გვარდიელს ასახულებს. რასა-კვირველია, ეს თვისისთვად როგონალური მოფიქრება, მაგრამ რეჟისორმა უფრო მეტი ფანტაზიით გადაწყვიტა ეს სცენა. ყოველ დარტყმაზე, თითოეულის გვარის სხეულებაზე, თთო-თთო გვარდიელი ქუთქება იატაკს. მანამდე კი პლავ გამოჩნდება სპექტაკლში უსიტყვო როლების შემსრულებელი ორი პლასტიკური ფიგურა და პირველები ამცნობენ მაყურებელს გვარდიელთ ჩავარდნას. ისინი თანაუგრძნისებ ახალგაზრდებს – მუხლზე დაცემული უხმიდ გოდებენ მათ ბეჭე. თუ წინა სცენებში რეჟისორი ამა თუ იმ ამბის აზრობრივი ილუსტრაციისათვის იყენებდა მათ, ახლა უკვე პირდაპირ გამოხატავენ რეჟისორის დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი. ზემნუხოვა და ბრუნერის შორის ბრძოლა მიდის. ორივე ახალგაზრდა, გარეგნობითა თუ გონებით ორივე ინტელიგენტი, ოღონდ პირველი კაცი მოყვარე იდეალისა კამბიციალული. შეიძლება პირიქით... ზემნუხოვან გარეგნება და აზროვნება პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ბრუნერთან კი ეს პარმონიულობა დარღვეულია. ისინი ეკამათებან ერთმანეთს. ბრუნერი: „ადამიანი არ არის ადამიანის თანასწორი, პოლიტიკური თავისუფლება უთანასწორობის ქადაგებაშია და მონის ძირითადი მისია უსიტყვოდ, უპირობო მორჩილებაში ყოფნაა“. ვანია ზემნუხოვი პასუხობს: „სიცრუეა, ძალზე მტკნარი, მარტივი სიცრუე – არც თუ ისე მაღალი გრენების ნაყოფი. მე უფრო როგორი და ღრმა მეგონა თქვენი ფილოსოფია“ კულეშოის გატეხა ბრუნერისათვის დიდ ზეიმად იქცა. მაგრამ, როდესაც რიგორიგობით შემოჰყირიან ნაწამებ გვარდიელებს – აქ კი მის გაცოფებას საზღვრი არა აქვს. სადღაც დაიყარგა მისი ინტელექტუალური შეხედულება... რეჟისორმა თანამდებობით



მიიყვანა ბრუკნერი შშვიდი მსჯელობიდან განრის სხებამდე. და ამ განრის სხების უმწეობის დასახახვად გარადიელების გაუტეხელ ნაცემ-ნაგვემ სხეულებს უჩვენებს. ბრუკნერი სხვას ოომ ველარაფერს ახერხებს, ირონით ამბობს: „შშვინერების მოციქულნო, სპეტაკო ბავშვებო, მე თქვენ შახტის შერბში ჩაგვრით“. კვლავ ერთად შეიკვრებიან გვარდიელები: უზარმაზარი, განწირული სევდანი თვალებით სიცოცხლეს, ეთხოვებიან. მაგრამ მათში ვერ დაინახვდით შესს, პირიქით, ერთ მთლიანობად შეკრულ ბავშვებში საოცარი ძალა იგრძნობოდა. ორი პლასტიკური ფიგურა წითელ ქსოვილს შემოავლებს გარს და უცებ ძეგლად იქცვა სცენა. თავისთვად წარმოითქმებოდა „ინტერნაციონალის“ სიტყვები, რომელიც შემდეგ სიმღერაში გადაიზრდებოდა, თუ ადრე „ინტერნაციონალი“ ქართველ ახალგაზრდებთან აქლერდა როგორც მშვიდი გუგუნი, ფიცის სცენაში მრისხანების ძახილად აღიქმებოდა, სულ ბოლო სცენაში კი საოცარ ძალას გამოხატავდა. ეს ძალა კი ორგანულად გადაიზრდებოდა ზარების ძლიერ რეკვაში – „ინტერნაციონალი“ თავისი პირველყოფილი აზრით ვლერდა. აი, რას წერდნენ სპექტაკლის მონაწილენი ამის შესახებ:

„В спектакле три раза звучал Интернационал, и это не случайно. Нам хотелось возродить для себя и наших зрителей первоначальный сокровенный его смысл, услышать его как бы впервые“¹⁰.

რეჟისორის მიერ „ინტერნაციონალის“ ამგვარი გამოყენება კრავს სპექტაკლს და მას მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელ ნიშანს – მთლიანობას ანიჭებს.

სპექტაკლში არ იყო გამოყოფილი მთავარი მოქმედი გმირი, აქ ყველა პერსონაჟს თითქმის თანაბარი დატვირ-

თვა პქონდა. საბოლოოდ რეჟისორის მსახიობებს მხოლოდ ერთი იდეა ამორავებდათ – შეექმნათ კარგი სპექტაკლი. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა პლაკატური იყო. აქ მაინც გამოჩნდა მ. თუმანიშვილის თვისები შექმნას სცენაზე გმირთა ნაირსახეობა – მოქმედი გმირები გამოირჩეოდნენ მხოლოდ მათვის დამახასიათებელი ხასიათის გარკვეული ნიშნებით, სწორედ ამიტომ ამდენი პერსონაჟი უფერულ მასად არ ქცეულა სპექტაკლში.

ამ წარმოდგენაში კვლავ გამოჩნდნენ რეჟისორის ე.წ. „საკუთარი პერსონაჟისი“. ეს ორი პლასტიკური ფიგურაა, რომლებიც უსიტყველ გასდევენ მოელ სპექტაკლს. პირველად ფაშისტების შემოსვლისას შემორბიან და ამ მოელენისაბინ თავიანთი დამოკიდებულებით ამცნობენ ამ ფაქტს მაყურებელს. მერე ფიცის დაღების დროს ეს სტიკულაციით გამოხატავენ ფიცის აზრს. სიკვდილის სცენაში კი უკვე თანაუგრძნობენ მათ და განიცდიან გმირების გამო. ბოლოს კი, წითელ ქსოვილს შემოახვევენ ერთად მდგომ გვარდიელებს და რეჟისორის ეს ორი დამხმარე ხელი ფუნჯის ერთი მოსმით ძეგლად აქცევეს სცენას. ეს „საკუთარი პერსონაჟი“ 1968 წელს სპექტაკლ „ანტიგონეშიც“ გამოიყენა რეჟისორმა.

„Примечательна в этом спектакле история маленького пажа в бархатной куртке, которого придумал Туманишвили, а играла его ученица Марина Джанашши. Судьба этой теневои фигуруки в жизни Антигоны была лишь намечена – ребенок молча следил за происходящим. Учился жестокости, лицемерию? Или правде, неистовой честности?“¹¹

შემდგომ თეატრალურ სახელოსნოში დაგდგულ სპექტაკლებში თითქმის ყველა წარმოდგენაშია რეჟისორის მიერ გამო-



გონილი პერსონაჟები: „ბაკულას დორებში“ – ჭორიკები, სუხოვო-კობილინის „საქმეში“ – კლოუნი, „დონ ჟუანში“ – სუფლიორი. სექტაკლებში მათ სხვა-დასხვა დანიშნულება აქვთ, მაგრამ ერთი ოვებით ერთიანდებან – ყველა მათგანი, სხვადასხვა სახით, გამოხატავს რეალორის დამოკიდებულებას სცენაზე მიმღინარე მოვლენებისადმი.

მანც „რა“ იყო სპექტაკლი? იგი იყო სექტაკლი პლაკატი – გმირობის დაბადებაზე. პლაკატი ემოციური და ნაღვლიანი, მძაფრი და მრისხანევა...

რიტმი: ხან ნელი და ნაზი, ხანაც თავაშვებული და შლევიანი. თუმც ორივე უკიდურესობა მკაცრი ზომიერებით იყო დაცული...

წარმოდგენას ქმნიდა მსახიობთა მოქნილი პლასტიკური სხეულები... მათგან უკელაფრის გამოძრენვა შეეძლო რეჟისორს...

იგი მოლიანად მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლი იყო... მას ქმარუბოლენენ რეჟისორები, რომელნიც თავად აღზარდა პედაგოგმა. წარმოდგენაში მონაწილეობენ სტუდენტები, რომელნიც მ. თუმანიშვილმა აქციად.

წარმოდგენა საოცარ ზეგავლენას

ახდენდა მაყურებელზე, სწორედ ამინდან პქონდა სპექტაკლს ასეთი დიდი გამოხმაურება: წერდნენ მწერლები და კრიტიკოსები, წერდნენ ურნალისტები და მოყვარულები...

რას უქადდა მათ მომავალი?

მომავალი ახალი სუატრის დაბადებით დაიწყო...

როდესაც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობამ (სტუდიის დირექტორი რ. ჩხეიძე, კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. დვალიშვილი) მ. თუმანიშვილს შესთავაზა ახალი სტუდიის შექმნა, რეჟისორი კვლავ გახდა ერთმორწმუნე თაობის ლიდერი. ოღონდ იგი, ახლა უკვე იყო ლიდერი – პედაგოგი, რეჟისორი, შესტრული ხელმძღვანელი და თანამოაზრები მიჰყებოლნენ (როგორც 50-იან წლებში) „ყოველ მის სიტყვას, მოთხოვნას“. შევე ყოფილ სტუდენტებს პქონდათ ის თვისებები: თვეგანწირება, რწმენა, ერთიანობა, ერთმანეთის გატანა – რაც გამოხატეს „ახალგაზრდა გარდაში“ და რაც ყოველი სტუდიის საფუძლადი იქცვა ხოლმე. და უმთავრესი – ისინი წარმოადგენდნენ კოლეგელის, რომელსაც შეეძლო ცხოვრებაზე თავისი სიტყვა ეთქვა.

შენიშვნები:

1. თუმანიშვილი, რეჟისორი თუატრიდან წავიდა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, №10
2. თუმანიშვილი თუატრალური სახელოსნო „თუატრალური მოამბე“, 1979, №2
- 3 2 მ. თუმანიშვილი, თუატრალური სახელოსნო „თუატრალური მოამბე“, 1979, №2.
- 4 1 2. მ. თუმანიშვილი, თუატრალური სახელოსნო „თუატრალური მოამბე“, 1979, № 2
- 5 ვ ზარიძე, ეძიებდე და პერვებდე, „კრიტიკა“, 1978, №4.
- 6 6. ურუშაძე, ახალგაზრდა გვარდიის სახელით, „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, №8.
- 7 თ ბიბილური, ახალგაზრდა გვარდიის სახელით, „ლიტერატურული საქართველო“, 1975., 6.VI.
- 8 6. ურუშაძე, ახალგაზრდა გვარდიის სახელით, „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, №8.
- 9 6. ურუშაძე, ახალგაზრდა გვარდიის სახელით, „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, №8.
- 10 В. Церетели. Именем Молодой гвардии. „Молодежь Грузии“ 1976, 17. П.
- 11 Н. Казьмина. Театральный круг Михаила Туманишвили. „Театр“ 1982. 11.

ფურცელ-ფურცელ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ...

ქართველი ხალხის უსაფარლესი მსახიობის დოდო აბაშიძის ცხოვრება ისე აწწო, რომ სულ მუდამ ხალხის გვერდით მდგომბა ბატონშა დოდომ ხიცოცხლის ბოლო ჟრიორდი სარუცელზე გაატარა. მის ახლობლებს, ნაცნობ-ბეჭობრებს გვიკვირდა, როგორ იძორჩილებდა ავადმყოფობა მის მუდამ მშორმარე და სიყვარულით საჯე გულს.

ბოლო დღვებში მოული ცხოვრება იინოკადრებით დატრიალებულა მსახიობის კონებაში, დაუსრულებლად გვებოლა თურმე საინტერესო ამბებს, რაც გადახდომია, უნახავ, განუცდა.

ეს მოგონებები ჩაუწერია დოდო აბაშიძის უახლოეს მუკობარს, ქალბატონ ლილი ხუბულაშვილს.

დავიბადე 1924 წელს თბილისში, ვერაზე. ეს პერიოდი შეფოთეარე იყო საქართველოში. თბილისი ამ დროს საჭმელზე ხელმოცარული იყო. შობლებმა დედულეთში, კახეთში, სოფელ ქვემო ხოდაშენში წამიყვანეს, ბებიახემის ქნეინა ნატალია ანდრონიკაშვილის მამულში. ერთ დამეს ქაქუცა ჩოლოფაშვილისაგან კაცი მოსულა ბიძახემთან, ადიკო ანდრონიკაშვილთან. შემოეთვალა, ქალები და ბავშვები რამოდენიმე წნით გახიზნეო სოფლიდან. დედახემმა ნინო ანდრონიკაშვილმა, გულზე ახუტებული ჩამომიყვანა სოფლიდან თბილისში. მამაჩემი – განიკო აბაშიძე, ამ დროს, დიდი რევოლუციონერივით, მეტების ციხეში იჯდა. იმავად ჩვენს ეზოში ვარდისუბნის ქუჩაზე ცხოვრობდნენ დათა მიქელაძე და პატა (პატე) მგალობლიშვილი, ორი შესანიშნავი მკურნალი, ერთი დერ-

მატოლოგი, მეორე რენტგენოლოგი. სწორედ ამ დიდმა ინტელიგენტმა კაცმა პატე მგალობლიშვილმა ჩამოაჭრა თავის საძინებელ ოთახს 12 კვ.მ., შეელია თავის კაბინეტს, გააკეთებინა სახელდახელო რემონტი და ამ ოთახში დააბინავა ჩემი მშობლები.

ჩვენი აივნისაკნ გამავალი კარი უერთდებოდა სარდიონ მესხიშვილის ოჯახის კარს. სარდიონი დიდი მსახიობის ლადო მესხიშვილის ძმა იყო. ბ-ნ სარდიონის ქალიშვილი ნინო ითხოვა აკაკი ხორავაშ და ჩაესიძა მათ ამ ოჯახის იქით ცხოვრობდა შესანიშნავი თეატრალური ოჯახი ბ-ნ მალიკო მრევლიშვილისა და პოეტ მურდულიასი. ქ-ნი მალიკო ერთ-ერთი დამაარსებელი იყო შოთა რესათაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტისა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა მეტყველების კათედრას. ჩვენი

სახლის გადაღმა ცხოვრობდნენ მსახიობი ემანუელ აფხაიძე და თეატრალური კრიტიკოსი ალიოშა ბოკერია.

წილგანისა და მელიქშვილის ქუჩების კუთხში სულს დაფავდა ძველი თეატრალური სამყარო. აქ ცხოვრობდნენ ილიკო ზურაბიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძე. აქ იკრიბებოდნენ ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, შალიკაშვილი და სხვები.

მე ეს მოგონებები იმიტომ დავიწყე, რომ ვიცოდეთ – რა იყო ვერა. ეს იყო სადა, ქართული ოჯახებით დასახლებული უბანი, ინტელექტუალური სამჭედლო ჩენი ქალაქისა. აქ, ახლანდელი გოგებაშვილის ქუჩის კუთხში ცხოვრობდა პავლე ინგოროვა. ეს იყო საოცარი პიროვნება, დიდი მოქალაქე, რომელსაც ნაკლებად იცნობს ჩენი ახალგაზრდობა. მე დიდის მოწიწებით ვთხოვ ჩენს მეცნიერებს დაწერონ მონოგრაფია ბ-ნ პავლეშვე და მისცენ საშუალება ახალგაზრდობას კარგად გაიცნონ ეს ქრისტიანი ქართველი კაცი, ტიტანი თავის კაცობითა და შემოქმედებით იგი 94 წელი ემსახურა სამშობლოს. არაფერი გააჩნდა საქართველოს სიყვარულის მეტი. ეს ასკეტი კაცი დაიღვნეთა საქართველოზე ლოცვაში. მასთან მეგობრობდა იქვე ახლოს მცხოვრები კონსტანტინე გამსახურდია. მათი მეგობრობა მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა. ვერის საკრებულოს ხშირი სტუმარი იყო მიხეილ ჯავახიშვილი. მას ჯიბეში ვაზნებით ეწყო წვერ-

წამახული ფანქრები. მაშინ პაპილონიური „გლარჯები“ ჰყიდნენ. ესენი იყვნენ 1924 წელს გადარჩენილი თავადები (ძირითადად ინვალიდები). ისინი პატარა ჯიხურებში ისხდნენ და გაპყვიროდნენ „პაპილოსი „მუშა“, „პაპილოსი „ფედერაცია“. მიხეილ ჯავახიშვილი იდგა, აკვირდებოდა ყველაფერს და გადაშლილ ბლოკნოტში ინიშნავდა რაღაცას.

ვერელები სკეტაჟი, მართალი და ალალი ადამიანები იყვნენ. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასეთები არიან.

სამედიცინო ინსტიტუტის აქეთ პატარა ჯიხურში იჯდა ფქსსაცმლის ცალფეხა მწერნდავი გიორგი. იგი პატარა ქადალდზე ვირის თავებს ხატავდა. ქაღალდის შებრუნების დროს მაშინდელი ხელმძღვანელების სახეს შეიცნობდი. ამ ქაღალდებს ჰყიდდა იგი.

სადაც ახლა სასტუმრო „საქართველოა“, პურის საცხობი და მაღაზიები იყო. აფთიაქის შენობის გვერდით ბელეტაჟიან შენობაში სასაუზმე იყო. აქ ხშირად მოდიოდნენ გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილი, შალვა დადიანი, როდიონ ქორქია. დადიანს და ქორქიას, ალბათ შალვას დიდი შლაპის გამო, ვერელები „პატ ი პატაშონს“ ეძახდნენ. ისინი სასაუზმესთან ჩერდებოდნენ და ბჭობდნენ – შესულიყვნენ თუ არა. ვერელებს მათი ეს ჩვეუ შენიშნული ჰქონდათ. ამ დროს გაისმოდა მათივე განკარგულება: „პატ ი პატაშონ, მარცხნისაკენ!“. შალვა და როდიონი მობრუნდებოდნენ კიბისაკენ. აქ ვერელები

მოქმედობოდნენ ხოლმე, კიბის საფეხურებზე ასვლაში... ბ-ნი შალვა სასაუზმეში შესვლისთანავე მოიკითხავდა სასაუზმის გამგეს – ვანოს და დაიბუზუნებდა: „აბა ვანო! სამი ჩანახი და ორი თხლაშავო“ ბ-ნი ორდიონი წამავლებდა კისერში ხელს და თან შემიყვანდა. „თხლაშავო“ იყო ჭაჭის არაყი, ორმეტიც ლიტრიან ბოთლებში იყიდებოდა. „ღმერთი იყოს საქართველოს შემწეო“ იტყოდა შალვა დადიანი და გადაჰკრავდა. ორდიონ ქორქია თავს არიდებდა სმას.

ერთ დღეს ეს ვანო გაჰქრა და სასაუზმეს დიდი ბოქლომი დაკიდეს. ბოლოს გავიგეთ, თურმე ვანო ტროცკისტი ყოფილა. ტროცკისტობისთვის დაიჭირეს ასევე ფეხსაცმელების მწმენდავი გიორგიც. მიუხედავად ხანგრძლოვი დროის გასვლისა, ტროცკისტ ვანოს ჩანახის გემო დღესაც არ დამვიწებდია; გახსენებისას კუჭი საამოდ შემომაკვენებს ხოლმე. ბევრჯერ მოვიკითხე მსგავსი ჩანახი ჩვენში, აზერბაიჯანში, სომხეთში, მაგრამ ამაოდ.

ერთ დღესაც ახალციხეში გახდათ, სადაც იმ ხანად მამია მეგრელიშვილი იმყოფებოდა; გამომიგზავნა კაცი და შემომითვალა: „ვიცი ჩანახი გყვარებია და მოღი, აღასას გაკეთებული ჩანახი უნდა გაჭამოო“. სიმართლე უნდა ითქვას, კარგი გაკეთებული იყო, თუმცა მე მაინც ვანოს ჩანახს ვაქებდი.

(ეს აღასა ერთი პატიოსანი კაცი გამოდგა. ერთხელაც გაუჭირდა ამ კაცს, მიაღდა ბ-ნ მამიას და დახმარება

სთხოვა. უბრალო კაცია და სადა მცალიაო, არ უფიქრია — მამია დაქმარა და მიეშველა აღასას. ასეთი კეთილი კაცი იყო და დარჩა დღემდე მამია მეგრელიშვილი. დიდ სიხარულს მგვრის ის ამბავიც, რომ ჩვენი მეგობრობა ჩვენს შვილებში გრძელდება).

ჩემი თაობა წიგნიერი იყო. კარგად ვიცნობდით და უაღრეს პატივს ვცემდით მაშინდელ პროფესურასაც. საათებიც კი ვიცოდით, როდის ამობრანდებოდნენ ბ-ნი კორნელი კეკლიძე თავისი ღვთიური გარევნობით, ბ-ნი შალვა ნუცუბიძე, ბ-ნი მიხეილ ზანდუკელი და სხვები. ვერელები სათანადო პატივს ნიჭიერ ახალგაზრდებსაც მიაგებდნენ, რომლებიც შემდგომში ცნობილი პროფესორები გახდნენ: კოუგა გაბაშვილი, კოტიკო ლომინაძე, მარიკა ლორთქიშვილიძე, ოთარ ჯაფარიძე, გოგი კილურაძე, აკაკი კარანაძე, ჩიორა ბაქრაძე და სხვები. ჩვენ მათ „ბაშკავიტებს“ ვეძახდით.

ვერელები თავმდაბლობით, მორცხვი ღიმილით, მორიდებითა და ვაჟკაცური თვისისებებით გამოირჩეოდნენ. ასეთები იყვნენ კოტიკო ლომინაძე, გვანჯი ჩიჩუა, ოთარ ჯაფარიძე, შოთა სალუქვაძე, გიგი ძნელაძე და სხვები. ვერელებს პქონდათ მეტყველებისა და მოძრაობის დიდი კულტურა. უცრემლოდ არ შემიძლია მოვიგონო ვარლამ დადიანი. უბრალო სატინის ხალათზე ღვედიანი ქამარი პქონდა შემორტყმული. დადიოდა, როგორც ავაზა, მოქნილი და ლამაზი. ასეთივე ლამაზი სიარული იცოდა ნიაზ ბეჟანიძემ. ვის

არ ახსოვს 30-40-იან წლებში ჩვენი ვახტანგ ჭაბუკიანი. დაუ, სხვებს ეკონომ, რომ მაიმუნისაგან წარმოიშვა ადამიანი. ამ ლამაზი მამაკაცების შექედვარეს მე ჩვენი ერი ვეფხვების ნაშერად მიმაჩნია. ტყუილად არ ჰყვება ჩვენი ეპოსი ვეფხისა და მოყმის საოცარ ამბავს. ჩვენი ახალგაზრდობა ასეთ მოძრაობას, სიარულს, ვაჟაცურ სილამაზეს დიდ ურადღებას უნდა აქცევდეს.

ვერელები ტაქტითაც გამოიჩინდნენ. მახსოვს ასეთი ამბავი: ცხოვრება ჭირდა. ჩვენ, ბიჭებმა, ვიცოდით, რომ გოგებაშვილის ქუჩის მაღლა ცხოვრობდა ნიკო ბაგრატიონი, ნიკო ბურად წოდებული. უჭირდა მასაც. გვინდოდა ჩვენი უურადღება გამოგვეხატა მის მიმართ, მაგრამ ამ დიდებულ პიროვნებასთან ფამილიარული მისევლა-მოსევლა ძალიან უხერხულად გვეჩვენებოდა. შოთა სალუქვაძემ, შოთა დგებუძემ და მე გადავწყვიტეთ მიგვეტანა საფერავი და პური და ვსტუმრობდით ნიკო ბურს. ბ-ნმა ნიკომ სიამოვნებით მიიღო ძღვენი. ღვინო და პური ღვთის ნაბოძებიაო, — გვითხრა. გადმოაბრუნა გობი, ჩაასხა შიგ საფერავი, ჩატება პური თავისი ლამაზი გრძელი თითებით, გააკეთა ბოლოოწო და გაგვიმასპინძლდა. მს ქნაგი ვიყვაი ბავშვობიდანვე, ვერ მოვზომე, დავთვერი. სამი დღე დარეტიანებული დავდიოდი. „ღვინოს მაინცდამაინც ნუ მიეძალებიო“ — გამაფრთხილა ბ-ნმა ნიკომ. იგი უმძლავრესი კაცი იყო, მარჯვენა ხელით ექვს ცხენს ადგილზე

აჩერებდა. ახალგაზრდობას უყვალებელი ლონიერ ხალხზე ლაპარაკი, ამიტომ ერთ ამბავსაც გავიხსენებ: ობჩაში ცხოვრობდა ასეთი კაცი — ანდრიუშა კი კაცები. იგი ბათუმიდან თურქების გარეკაში მონაწილეობდა. შემდგრა როცა ახალციხეს შემოესივნენ თურქები, აქეთკენ გამოიწია. მამაჩემი კანიკო აბაშიძე მისი ჯარისკაცი იყო და ამიტომ ისიც მასთან იმყოფებოდა; დაუძახა ახალციხესთან ანდრიუშამ მამაჩემსა და მიშა კოლუაშვილს და ასეთი დავალება მისცა: „აგერ მოპირდაპირუ მხარეს მთის გადაღმა, ჩაღრმავებულ, გამოქვაბულფით ადგილზე, თურქებს ტყვიამფრქვევი უყენიათ. ეს ტყვიამფრქვევი დიდ ზიანს აეყნებს ჩვენს ჯარს. შემოუარეთ მთას, გაუვნებლეთ ტყვიამფრქვევი. ოღონდ ფრთხილად, არ შეგნიშნონო, ვანიკო და მიშა გაეშურნენ ბრძანების შესარულებლად. მიშა კოლუაშვილი ბრწყინვალედ ხმარობდა იარაღს. გამოქაბულს რომ მიუახლოვდნენ, მიშამ ჰკითხა ვანიკოს, ქვის ზუსტი სროლა თუ შეგიძლიაო. ვანიკომ სიცილით უპასუხა, რიონის ძირზე გაზრდილ კაცს ქვის სროლა გამიჭირდებაო?! მაშინ, აიღე ქვა და ზუსტად იმ ორმოში ჩააგდე, სადაც ტყვიამფრქვევი დგასო — უთხრა მიშამ. ვანიკომ დავალებას ბრწყინვალედ გაართვა თვით. ქვის სროლა და ორი თურქის თავის გამოყოფა ორმოდან ერთი იყო. წამიც და ორშა გასროლამ ორივე თურქი მიწაზე დასცა. ვანიკომ და მიშამ იარაღი აართვეს დახოცილ თურქებს. მიშამ

ვანიკოს ზურგზე დაადგა ტყვიამფრქვევი, დვედებით დაამაგრა და გამოქურნებული უკან. ტყვიამფრქვევის სიმძიმებ მაღლ ჩაჭრა ბეჭები ვანიკოს. მიუხედავად ძლიერი ტყვიილისა და სისხლის დენისა, განიკომ ბეჭიდან ჩამოუღებლად ბანაკამდე ატარა ტყვიამფრქვევი. ბანაკში მისვლისთანავე ბ-ნ ანდრიუშა კიკნაძის მოთხოვნით ვანიკოს ჭრილობები შეუხვიეს. ამის შემდეგ შეკრიბა ჯარი; ჯარისკაცების წინ გადაკოცნა ვანიკო, საკუთარი ვეება გულმკერდიდან მოიხსნა მედალი „მამაცობისათვის“ და ვანიკოს შეერდზე დაამაგრა (ეს მედალი დღესაც ძირითადი რულიქვიაა ჩემს ოჯახში). ამის შემდეგ ბ-ნმა ანდრიუშამ სამკურნალოდ გამოგზავნა ვანიკო თბილისში გიორგი მუხაძესთან. გამოთხოვებისას ბ-ნმა ანდრიუშამ ვანიკოს უთხრა: „ჩემო ვანიკო, კარგი ბიჭი ხარ, ერთგული და უღალატო. ეცალე ბოლომდე ასეთად დარჩე“. ვანიკომ ბოლომდე შეასრულა ამ საყვარელი ადამიანის დარიგება. იგი სიკვდილამდე თავისი საყვარელი მეგობრისა და მასწავლებლის სანდრო ახმეტელის ერთგული იყო, ასეთი იყო მამაჩემი და მე ეს ძალიან მიხარია. ასეთი მინდა იყოს ჩემი ვაჟიშვილი ზაზაც. მამაჩემს კიდევ არაერთხელ გავიხსენებ ჩემს მოგონებებში.

დგებოდა 30-იანი წლები. გერმანულ ენას მასწავლიდა ტანტე მარტა. 1933 წელს პიტლერის ხელისუფლების სათვალში მოსვლასთან დაკავშირებით ტანტე მარტა გაქრა. ამავე წელს

რუსთაველის თეატრი საგასტროლერი წარიდა მოსკოვში, დედ-მამამ მეც თან წამიყვანა; უკვე 9 წლის ბიჭი ვიყავი. ვნახე მოსკოვი, ვესწრებოდი სპექტაკლებს, აღფრთვანებული ხალხი ზარ-ზეიმით ხვდებოდა ჩვენი თეატრის სპექტაკლებს. უნდა გითხრათ, რომ თითქმის ყველა სპექტაკლი, ყველა პიესა ზეპირად ვიცოდი, რადგან თეატრი იყო ჩემი მეორე სახლი; მშობლები გვერდიდან არ მიშორებდნენ. პოდა, ერთ-ერთ სპექტაკლში მსახიობს ასეთი ფრაზა პქონდა სათქმელი: „ნა-ბულ ჰქევია სახელად“... და ლუფტ-პაუზა გააკეთა. მე პაუზის დასრულება არ ვაცალე, წამოვხტი ლოჟაში სკამიდან და შევძახე: „მინდოლაურის გვარისა“: სცენაზე და დარბაზში სიცილი ატყდა. მამაჩემი გაწითლდა, ეუხერხულა. მოვიდა სანდრო ახმეტელი, გამომიყვანა, გადამკოცნა და მადლობა გადამიხადა: „კარგ დროს უკარნახე, თორებ სპექტაკლი ჩავარდებოდათ“. ხომ წარმოგიდებინათ ჩემი პირველი ხმის ამოღება რუსთაველის თეატრში.

1934 წელს მოპკლეს კიროვი. საერთო ატმოსფერო საოცრად დაიძაბა. ხალხი ამბობდა, სტალინი ფოტოები გაღიმებული არ არის, ეს კარგს არავერს მოასწევებსო. დაიწყო დაპატიმრებები, მღელვარებები, გათიშვა, დაჯგუფება. ატმოსფერო მეტისმეტად დაიძაბა. 1935 წელს სანდრო ახმეტელი თეატრიდან გაათავისუფლეს, ეს იყო 13 სექტემბერს. ახმეტელმა თათბირზე განაცხადა: „დაიმახსოვრეთ ეს დღე არის

ტრაგედია ქართული თეატრისა. მე მივდივარ“ საშა წევიდა მოსკოვში და იქიდან აღარც დაბრუნებულა. დიახ, მოხდა ასეთი უბედურება. ახმეტელი ერთი და განუმეორებელი იყო. ალექსანდრე ახმეტელი საშუალო სიმაღლის, მხარბეჭიანი, ლამაზი, გუგაცური სახით, ხუჭუჭა თმებით, ფიზიკურად ძლიერი, მოსიყვარულე და ალალი ადამიანი გახლდათ. ერთ ეპიზოდს მოგახსენებთ მისი ხასიათის გასახსენებლად: ღვინოს არ სვამდა, ცუდი სიმთვრალე იცოდა და ფიცი დაედო, ღვინოს არასოდეს დავლევო. მიუხედავად ამისა, ყველა ქეთიფე ესწრებოდა, სვამდა წყალს, ან ლიმონათს და ნამდვილად იღენდა. ერთ დღეს ქუთაისში საფიჩხიაზე თეატრის მსახიობები ქუთაისელებთან წაკინკლავდნენ. საშამ წესრიგისაკენ მოუწოდა მათ. მოწინააღმდეგენი მაინც არ დაშოშმინდნენ. იქვე ახლოს ფაეტონი იდგა. საშა მივიდა, დაავლო ბორბლების შემართებელ დერძს ხელი, ასწია ფაეტონი და კისრამდე მიიტანა. შემდეგ ნელა დაუშვა ძირს, დაიფერთხა ხელები და წავიდა. იქვე კედელს მოეფარა და იქიდან დაიწყო თვალთვალი. მსახიობები შეცდნენ, მივიღნენ ეტლთან, ჯერ ერთმა სცადა ეტლის აწევა, შემდეგ ორმა ერთად, სამა ერთად, მაინც ვერ შეძლეს. გადახედეს ერთმანეთს, დაიშალნენ. ბატონი საშაც თავის გზით წავიდა.

დაიწყო 1936-37 წლები. პირველი დარტყმა ახალგაზრდობაზე იყო მიმართული. დაიჭირეს მუსტაფა შელია. ირგვლივ უამრავი უახლოესი

ადამიანი გვეცლებოდა ხელიდან თვალის წევრები, მეგობრები, ნათესავები... 1939 წელს იყო მეორე დარტყმა. ჩემი ახლობლებიდან ამ საშინელებაში მოჰყვა ჩემი საყვარელი მეგობარი ვახტანგ ლოლაძე, ამჟამად გრიბოედოვის თეატრის დირექტორი. მასთან საკანში იჯდა 100 წელს მიტანებული მოხუცი მეჯოგე ჭუკუ კვარაც ხელია. საკანში 30 კაცის ნაცვლად 200 ადამიანი იყო. 1937 წელს მამახემი ლანჩხუთის ახლად გახსნილ თეატრს ხელმძღვანელობდა (რუსთაველის თეატრიდან 36-ში გაუშვეს). ერთ დღეს მე და მამა აბანოში წავედით. მამასთან ყოველი სიახლოვე სიამაყითა და სიხარულით მავსებდა. ასე იყო იმ საღამოსაც. ძალიან ნასიამოვნები დავბრუნდით. არ ვიცოდი, რომ ეს ბოლო შტატები იყო ჩვენი. მეორე დღეს იგი რეპეტიციიდან წაიყვანეს და უკან აღარ დაბრუნებულა, კაცურად ეჭირა თურმე თავი. ბოლომდე მართალი იყო. ხშირად ვთიქრობ ვანიკოზე. ახლა წლოვანებით მე მასზე უფროსი ვარ, მაშინდელი ტკივილი ახლაც მტკივა და ბოლომდე მეტკინება. უეცრად შემოიჭრა სიკვდილი ჩემს ბავშვურ, უდარდელ ცხოვრებაში.

ვერაზე, აფთიაქის თავზე, რომელსაც ვასო მთაწმინდელის აფთიაქს ეძახდნენ, ცხოვრობდა ლუარსაბი კარბელაშვილი. ბ-ნი ლუარსაბი გეოგრაფ-ეკონომისტი იყო, პროფესორი, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. გავიხედე ერთ დილას და ბ-ნი ლუარსაბი



სიხარულით ისრესს ხელებს და გარშემოხვეულ ახალგაზრდებს რაღაც დაუაღებას აძლევს, ბიჭები მაღე დაიშალნენ. ცნობისმოვარეობამ ამიტანა, ვერ გავიგე რა ხდებოდა. რაღაც ამბავი რომ ხდებოდა, ეს ცხადი იყო! ამ ფიქრში რომ ვარ, მოვიდა ჩემთან დათა მიქელაძის ვაჟი – ონგიზ მიქელაძე (იგი ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან, საოცრად და ხვეწილი, კარგი ინტელიგენტი და კარგი ექიმი) და მითხრა: „საღამოს შეიდ საათზე აქ იყავიო“. რას არ მოვიდოდი?! ზუსტად შვილზე ადგილზე ვიყავი. ისევ მოვარდა აქოშინებული თენგიზი და მითხრა „მოდისო“. გავიხედე და რას ვხედავ: ფართო ნაბიჯით მოდის კაცი, თითქოს ზევსის ეტლიდან გაღმოსული, თეთრი თმებით, ამაყი ვაჟკაცური გამომეტყველებით. ვიცანი საქართველოს უგვირგვინო მეფე – ივანე ჯავახიშვილი. ბ-ნი ივანე უნივერსიტისაკენ მიბრძანდებოდა. ვერელებმა უხმაურო, თბილი ტაში შეაგებეს იაკობ ნიკოლაძეს ქუჩის კუთხეში, მარჯვენა მხარეს „ტანცგეურქას“ დუქანი იყო. იქიდან ზუბიაშვილის ქართული დუდუკის დასტადა რამოდენიმე კაცი ამოვარდა. მათ შორის მმები შოთა და კაკო ძიძიგურები, რეზო იაშვილი, შოთა სალუქვაძე. რეზომ და შოთამ ხელები გადააჭდეს ერთშანებოს და ხელოური სავარებელი შექმნეს. მიერჩნენ ბ-ნ ივანეს და თხოვეს, ზედ დაბრძანებულიყო. ბ-ნი ივანე ღიმილით დათანხმდა და ასე, ლამაზი ვაჟკაცების

ხელებისაგან შეკრულ ტახტოვანის მჯდომარე მეფე უნივერსიტეტში შებრძანდა (ეს ბ-ნ ივანეს დაბრუნება იყო უნივერსიტეტში იქიდან მისი გაგდების შემდეგ). უკან გუნდი მისდვდა. ბ-ნ ივანეს ცრემლი სდიოდა, მარგალიტივით ეყარა ულვაშებზე, გრძნობდა მის მიმართ ადამიანების დიდ პატივისცემასა და სიყვარულს.

უნივერსიტეტში შეკრებილი იყვნენ პავლე ინგოროვა, კონსტანტინე გამსახურდია, ჯავა ჯორჯიაკია, შალვა თაბუკაშვილი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი ეკეკლიძე. ვარდისუბნელებმა მათი მიპატიუება გადაწყვიტეს. სუფრა გაიშალა პატე მგალობლიშვილის, დათა მიქელაძისა და შალვა ციციშვილის ოჯახებში. ჩვენს ოჯახშიც გაიშალა პატარა სუფრა. თხუთმეტიოდე მსახიობი გვყავდა, პატე მგალობლიშვილის ოჯახში თამადობდა შალვა ნუცუბიძე, შალვა ციციშვილთან – პეტრე ბოკერია, გვიან ღამით დაიშალნენ. ყვავილებით სავსე ეტლები ქუჩაში უცდიდნენ ძვირფას სტუმრებს.

ვერელების დამახასიათებელი იყო ვაჟკაცობა, სამართლიანობა, დარბაისლობა და სინაზით სავსე გული და ღიმილი. აღარ არიან ეს ვაჟკაცები, წავიდნენ და დატოვეს მოგონებები, სიყვარულითა და სევდით სავსე მოგონებები, ბევრი არიან ისინი და მათ შორის ჩემი მეგობრები პატიკო ლომინაძე, გვანჯი ჩიჩეა, დათო ლეშკაშვილი, შოთა ბერიშვილი, ოთარ (კიჭია) საბახტარაშვილი, ათილო კობიაშვილი და

სხვები. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია; თუმცა ყველა მასსოვს და განუწყვეტლივ ვფიქრობ მათზე.

ჩვენდა სასიხარულოდ, ახლაც ჯანმრთელად და კარგად არიან ვაჟაცები, რომლებიც სუფთად და ვაჟაცურად განაგრძობენ ცხოვრებას: ზურაბ ლეშავა, ლევან ჭიჭიაშვილი, რეზო იაშვილი, ბიჭიკო ქორქია, გოგი გელოვანი, დათო ციციშვილი, რეზო ჩხეიძე (ჩხირი), თენგიზ კეკელიძე და მრავალი, მრავალი სხვა, ღმერთისა ვთხოვ, მათი სიცოცხლე იყოს, მრავალეამიერ!

ერთ დღეს აქოშინებული თენგიზ მიქელაძე მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: „ბიჭებო, წამოდით, „ზემელზე“ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი დგანანო“. თქარათქურით გავცივდით. შევხედეთ, დგას ოთხი შევენიერი ვაჟაცი. ესენი აღმოჩნდნენ ქორეფი იაშვილი, ნიაზ ბეჟანიძე, არკადი აბაშმაძე, ჯიხო კაპანაძე. აცვიათ ხაკისფერი ხალათები დველიანი ქამრებით, დგანან და შევიდად საუბრობენ. ამის შემდეგ არასოდეს მოცილებიარ ამ ხალხს. ვერელები პატივს სცემდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს.

უორუიკა იაშვილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, სულ თან ვახლდი. ეს საოცარი ღონის კაცი

არასოდეს არავის დაჩაგრავდა, არასოდეს ვის დასცინებდა და იარაღს არასოდეს იხმარდა. ყველასათვის ემეტებოდა ალერსიანი, ტკბილი სიტყვა, უზომოდ უყვარდა საქართველო, ოჯახი, მეგობრები. მე ბევრჯერ მინახავს მისი ჩხუბი. დაცემულ კაცს ხელს აღარ დააკრავდა, თვისხე ნაკლებ ღონის კაცთან არასოდეს იჩხუბებდა. მოლხენა იცოდა – უკეთუს ვერაფერს ნახავდი. მდეროდა, გიტარაზე უკრავდა, ილხენდა, გალხენდა. ხუთი უნივერსიტეტი რომ დაშემთაურებინა, იმდენ კაცობას, ზრდილობას, ადამიანობას ვერ ვისწავლიდი, რაც ამ კაცისაგან შევისწავლე. ეს იყო ჯიშიერი, უნიკალური კაცი. ვერ ითქმნდა უზრდელობის პატარა გამოულენასაც კი. მაგიდასთან ფეხიფეხზე გადადებული კაცი მას ვერ დაელაპარაკებოდა, ვერ იტანდა ყაფნის, ლაპარაკის გაწყვეტას, ცოტახანია რაც ეს მუხა წაიქცა. წავიდა ისეთივე ძლიერი, ღონიერი, ვაჟკაცური, როგორც ახალგაზრდობაში იყო. დაგვტოვა მის მაგალითზე აღზრდილი კაცები: მე, ჯუანშერ ჯურხაძე, მიშა ფოცხვერია, ჯემალ კანდელაძე და სხვა მრავალი, რომლებიც გააგრძელებენ სინდისიერებით და პატიოსნებით აღვსილ გზას.

1988-1989 წ.წ.

თუაჭრიალური ლიტერატურა

ნოდან ჩუბანი იქე

„ჩხრილების პარმიჩას“ შეკვენები სახელი

ბალეტის და მუსიკის ცნობილმა სპეციალისტმა გადიმ გაევსკიმ სახელი გაითქვა ჯერ კიდევ ბრეზნევის „უძრაობის პერიოდში“, როცა გმოაქვენა ძალიან გაძედელი და ბრწყინვალედ დაწერილი, პოლემიკური სულისკვეთებით გამსჭვალული წიგნი „დივერტისმენტი“, სადაც დიდი თეატრის ბალეტის დასის რეპერტუარი, მისი ქორეოგრაფიული ესთუტიკა ამ უაღრესად ერუდიტუბული კრიტიკოსის ულმობელი შეტევის ქარცეცხლში მოჰყვა. ეს წიგნი მაშინ, როცა ტირაჟები ისე მწირი და სასაცილო არ იყო როგორც დღესაა (განსაკუთრებით საქართველოში), უმაღვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ერთის მხრივ, დიდი ბალეტმაისტერის იური გრიგოროვისის (რომელიც მაღე დიდი თეატრიდან გააძვეს და თეატრის ისტორიის ეს სამარცხვინო ლაქა დღემდე ჩამოურეცხავა) მომხრები დასტალასტა იძენდნენ ამ წიგნს, რათა გაენადგურებინათ, ხოლო მეორეს მხრივ, შეამბოხე გენიალური მაია პლისეცკაიას (რომელსაც ასევე – ბედის ორნია! – ძალად დაატოვებინეს თეატრი) თაყვანისმცემელნი უფრო მეტი გახელებით ყიდულობდნენ,

რათა ბალეტომანებში გაეცრცელებინათ იგი და ამ ორ დიდ ხელოვანს შორის დანობებული მმვინვარე მტრობის ცეცხლში, ადვილად ააღებადი კიდევ ერთი მუგუშალი შეეგდოთ.

თუ თავშეუკავებელმა და პატივ-მოყვარე პლისეცკაიამ სასტიკად იძია შური ი. გრიგოროვისა და დიდი თეატრზე (რომელსაც იგი „დიდი, დიდი აბსურდის თეატრს“ უწოდებს) თავის წიგნში „მე, მაია პლისეცკაია“, სამაგიეროდ იური გრიგოროვისი, ეს შეუპოვარი და თავის დროზე სწორუპოვარი ბალეტმაისტერი, ღირსეულად დასცილდა თეატრს, რომლის ბალეტი მან, გენიალურ სოლიკოვირსალაძესთან ერთად, ტრაფარეტისა და ყავლგასული ტრადიციების მარწუხებისაგან გაანთავისუფლა. დასცილდა ისე, რომ ერთი ავისიტება არ დასცდებინა არც შინაურ და არც გარეულ მტრებზე, განკურიდა მის მიერვე გაბრწყინებულ და მის მიერვე კვდომისათვის განწირულ საბალეტო დასს, თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე მსოფლიოს სცენებზე, თავისი გენის ძალა შეემოწმებინა.

აქ არ შევუდგებით სახელგანთქმული და სკანდალური „დივერტის-

მენტის“ განხილვას, წიგნისა, რომელიც შეუწელებელი ინტერესით იკითხება და ინტრიგის მოყვარულების სულებს ელაციცება, არ შევჩერდებით ამ „ძველ“ წიგნზე, რადგან ხელთ მაქვს კგაევსკის ახალი, დიდი წიგნი „პეტიას სახლი“, რომელიც, მართლაც, ბრწყინვალედაა დაწერილი და თავისი ორიგინალობით, სიღრმით და მიმზიდველობით განუმეორებელია.

ჯერ სათაურის გამო: თეატრალურ ლიტერატურაში უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა ცნებები: „მოლიერის სახლი“, „შექსპირის სახლი“ ან „ოსტროვსკის სახლი“, რაც არა მარტო ამ ხელოვანთა ისტორიულ ღვაწლს აღნიშნავს, არამედ ეროვნულ ძირებზეც მიგვანიშნებს და აი, ვ.გაევსკის მთელი რუსული ბალეტის „სახლად“ ფრანგი მოცეკვავისა და ბალეტმაისტერის – მარიუს პეტიას სახლად მიუწევია, სწორედ „ამ სახლში“ აიდგა ფქი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) საიმპერატორო თეატრის (მარინეს თეატრი) ბრწყინვალე დასმა, რომელმაც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ბალეტის ისტორიას მრავალი საამაყო და ნოვატორული ფურცელი შესძინა. ფრანგი პეტიას მიერ შექმნილმა ბალეტმა პეტერბურგის სულიერი სამყაროს ესთეტიზაციაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც იტალიელების – რასტრელისა და როსის არქიტექტურამ ამ ქალაქის დაუკინგარი და წარუმლელი გარეგნული სახის ჩამოყალიბებაში.

ხელოვნების მრავალ სფეროში ღრმად ჩახდული და ასევე მრავალმხრივ ერუდირებული ვ. გაევ-

სკი საბალეტო ხელოვნებას (საყოველო თოდ) და ყოველ უმნიშვნელოვანეს სპექტაკლს (კონკრეტულად) განიხილავს საზოგადოებრივი ატმოსფეროს (ისტორია, სოციალური ურთიერთობა) და ესთეტიკური ფენომენის (ცხადია, საკუთრივ მუსიკა და ბალეტი, ასევე პოეზია, ფერწერა, არქიტექტურა) ურთიერთებების, მათი კონტექსტის გათვალისწინებით. ეს ოთხასზე მეტი გვერდის შემცველი წიგნი, რომელსაც ას სამოცი (160) ფოტო ერთვის თან, მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება არა მარტო იმის გამო, რომ გავსკი ბრწყინვალე სტილისტია (თავისი სტილის ბრწყინვალებას იგი საგაზეთო და საუკუნელო წერილებშიც ინარჩუნებს) არამედ, უპირველესად, იმის გამო, რომ ეს წიგნი „სხვანაირად“ არის დაწერილი. „პეტიას სახლი“, რასაკვირველია, პირველ რიგში, მარინეს თეატრის ისტორიაა. მაგრამ ეს ისტორია, თუმც კი ინარჩუნებს (ფორმალურად) ქრონილოგიურ ჩარჩოებს, მაგრამ შიგნიდანაა აფეთქებული. ანუ მისი რელიეფი რუსული რელიეფით ბრტყელი კი არ არის, არამედ მწვერვალთა თვალშეუდგამი სიმაღლითა და სილამაზით დაშვენებული თვალწარმტაცი ლანდშაფტია. ამ სიმაღლეებს აღნიშნავნ თითქმის ორი საუკუნის მანძილზე შექმნილი შედევრები და ამ შედევრების ავტორთა ცხოვრება და მოღვაწობა, მოთხოვილი სიტყვისა და კომპოზიციის ისტატის მიერ.

ამგვარად, ეს არის საბალეტო შედევრების და შემოქმედ ადამიანთა მშვენიერი პანორამა, სადაც თითოეუ-



უდგამს, მაშინ რაღა ვთქათ, ასოთა
წიგნის ავტორი უშუალოდ საექტაკ-
ლებსა და ბალეტმაისტერებზე წერს? აქ წმინდა ხელოვნებათ მცოდნეობით,
ღრმა ანალიზს ერწყმის და ამდიდ-
რებს სიტყვაკაზმული თხრობა, სიუ-
ეტის სიმძაფრე და კომპოზიციური
სრულყოფილება, რითაც ე.წ. „მცირე
ფორმის რომანის“ ეფექტია მიღწე-
ული.

ვ. გაევსკის ბელეტრისტიკისა და
კვლევის ეს თავისებურება, ბუნებ-
რივია, მისი წიგნის პროტაგონისტის,
მარიუს ჰეტიპას ცხოვრებისა და
შემოქმედების განხილვისას გამოჩნდა
მთელი თვისი ბრწყინვალებით, თუმ-
ცა ცალკეულ შემოქმედთა პროტრე-
ტებიც, „დიდ თხრობაში“ ჩართული,
სრულყოფილებამდე მიყვანილი ეს
ეტიუდები – (რომლებსაც რომანული
თავგადასავლების გამო ნოველების
სახეც კი მიუღიათ) დაუკინგარია.
ამჯერად მხედველობაში მაქვს
ნიუინსკისა და ბალანჩინისადმი მიძღ-
ნილი თვები, რომლებიც ისე აღიქმე-
ბიან, როგორც ეფექტური ინტერ-
პოლაციები ან დივერტისმენტები.

ჰეტიპაზე თხრობას ვ.გაევსკი
იწყებს სახელგანთქმული ბალეტ-
მაისტერის სიკვდილის აღწერით
ყირიმის სანაპიროზე, გურზფუში,
ერთ პატარა თაორულ სოფელში (მარსელში დაბადებულს, მთელი
ცხოვრების მანძილზე გაჰყვა ზღვის
სიყვარული), სადაც პუშკინს თავისი
ცხოვრების საუკეთესო დღეები
ჰქონდა გატარებული და საღაც
ა.ჩეხოვის „სამი და“ დაიწერა. ამის
შემდეგ ავტორი უკან იხევს და
მოგვითხრობს თავგადასავლების

ული შედევრი გაცოცხლებული, სულ-
ჩადგმული და ინდივიდუალიზებულია, მოკლედ, „გაადამიანურებულია“, ხოლო დიადი შემოქმედი ადამიანი, თავის მხრივ, უნიკალურ, განუმეო-
რებელ, ხელოვნებისა და ბუნების შედევრად არის წარმოდგენილი. აქ ადამიანი და ხელოვნება ერთმანეთს ენაცვლება, ისინი ერთმანეთს ქმნიან. სპეციალების და მათი ავტორების „ცხოვრება“ დრამატულიზებულია: ვ. გაევსკის ანტერესებს კოლიზიები, დიდი ინტრიგები (ამ ცნების არა ყოფით გაგებით), დიდი ქარტე-
ხილები, ბედისწერის თამაში, რომე-
ლიც ადამიანს ხან მწვერვალზე აისვ-
რის და სივრცეებში ანარღებს, ხან კი ულმობლად ანარცხებს დაბლა, ჯოჯოხეთის სიღრმეთა მოსახილვე-
ლად.

ამ წიგნში აპოლონური და
დიონისური საწყისები გამუდმებით
ებრძვიან ერთმანეთს. საოცარია, რომ
თვით მარინეს ოეტრის შენობა (1860
წელს აგებული), რომლის ერთი
ფასადი მდინარე ნევისა და „ფანტან-
კის“ შემაერთებელ არხს გადაჰყურებს
და „ჩრდილოეთის პალმირას“ არქი-
ტექტურულ პეიზაჟს ამშვენებს (ეს
„პარმონიის თავშესაფარი“) თავისი
ზღვის ტალღის ფერი ფასადით, დიახ, შენობაც კი გაცოცხლებულია რო-
გორც ხელოვნების კეთილისმყოფელი
გენია (მის არქიტექტურას და შიგ
დამკვიდრებულ „იდუმალ სულს“ თუ
ზღაპრულ ფერიებს, სპეციალური
თავი ეძღვნება), რომელიც ცეკვის
ოსტატებს მოელი ვეროპიდან მოუხ-
მობდა მთელი ამ ხნის მანძილზე.

თუ კი „უსულო“ შენობას სულს

მოყვარული ახალგაზრდა არტისტის ყარიბობას პარიზში, მაღრიდსა და ბოლოს პეტერბურგში, სადაც იგი მცირე ხნით აპირებდა გაჩერებას და სამოცდასამი წელი „შეკონდა“, რათა მთელი ეპოქა შეექმნა რუსულ ბალეტში, ხოლო შთამომავლობისათვის დაეტოვებინა შედევრები – „მძინარე მზეთუნახავი“ (მისი შემოქმედების გვირგვინი), „მაქნატუნა“, „რაიმონდა“, „დონ კიხოტი“, „ბაიადერგა“, „ჟიზელის“ ახალი რედაქცია და მთლიანად განსაცვიფრებელი მეორე აქტი (თუმცა ამ სპექტაკლის აფიშაზე სამ ავტორს წერენ ხოლმე – უკან კორალს, ეიული პეროს და მარიუს პეტიას).

წწორედ ახალგაზრდობის წლებში დაეუფლა იგი ზედმიწვნოთ ვერთას სამი უდიდესი ქალაქის (პარიზი, მაღრიდი, პეტერბურგი) ქორეოგრაფიულ კულტურას და, საერთოდ, მხატვრულ კულტურას. ვგავსკის თქმით, პეტიპას შემოქმედების საფუძველი მაინცდამაიც ღრმა არ არის, მაგრამ იგი უაღრესად ფართოა. „იგი ჭეშმარიტად მხატვარ-ევროპელია, შესაძლოა ამიტომაც მისთვის, თავისი სულისკეთებით, ყველაზე ახლობელი აღმოჩნდა ჩაიკოსი, ეს ყველაზე დიდი ევროპელი მუსიკისი რუსეთში და არ არის გამორიცხული, რომ თავისი ეპოქის თვით ყველაზე დიდი ევროპელი“.

ბუნებრივია, პეტიპას პირველ პეტერბურგულ შედევრებში მისი შშობლიური საფრანგეთი მთელი თავისი სიდიადით და მომზიდველობით გამობრწყინდა. ავტორის თქმით, „მძინარე მზეთუნახავი“ (1890 წ.)

ვერსალის საფრანგეთის გრაფიკული სახე-ხატია, ხოლო გლაზუნოვის „რაიმონდა“ (1898) – რეიმანული, პროვანსული საფრანგეთის ოდნავ ნაკლები გრანდიოზული სახეა. ორივე ეს ბალეტი კა. უპირველესად „ქალური ბალეტებია“, სადაც საფრანგეთი გვევლინება ქალის. „ქორეოგრაფიული მარანა“ სახით.

„Живую красоту Петипа последовательно противопоставляет красоте застывшей. Эта красота женских головок, женских рук и ног, женских силуэтов. Тема красоты главенствует у Петипа, в его французских спектаклях. Она лишена героики, герой-мужчина оттеснен на второй план, но зато она полна неотразимого очарования и полна света“ (გვ.12).

პეტიპასთვის საფრანგეთის გენია – ფორმის გენიაა და ყველაფერი: – მოუხელთებელი ემოციები, თვაწყვეტილი სტიქიონები, იმქვენიური ხილვები, სიზმრები, ოცნებები მასთან მყაცრ ფორმებში იყო პლასტიკურად ჩამოქნილი. ამიტომაც უარყოფდა იმპრესიონიზმს (ბალანჩინისათვის ეგზომ ძვირფას ხელოვნებას) და მიაჩნდა, რომ იგი უცხო იყო ფრანგული კლასიკური ხელოვნებისათვის.

1869 წელს, მის მიერ მოსკოვში დადგმულმა „დონ კიხოტმა“ – (ეს ბალეტი, ოდნავ მოგვიანებით, მარინეს თეატრში გადმოიტანა) ახალ ეპოქას დაუდო სათავე როგორც პეტიპას შემოქმედებაში, ასევე ვრობული ბალეტის ისტორიაში. აქ იგი პირველად დაინტერესდა ესპანეთის

ფოლკლორით, მისი რიტმებით, მისი განუმეორებელი მუსიკალური წყობით: „Это был самый радикальный способ преодолеть эпигонские традиции в балетном театре второй половины XIX века. „Дон Кихот“ своеобразная манифестация освобождения от чар – и от идеологии – бело-тюникоового балета“¹ (გვ.16). აქ მან ჭუშმარიტად ცხოვრების ზეიძი გვჩვენა. განსაკუთრებით ჟანრულად მრავალფეროვან სურათებში, რომელიც ქალაქის მოედანზე გაშალა. თუ „მძინარე მზეთუნახავი“ თეატრალიზებული ფრესკა იყო, აქ ქუჩის მოედნის, „ქვენა ხელოვნების“ (როგორც მიხილ ბახტინი იტყოდა) ზეიძი იყო. ამ ბალეტში თუატრის სახე-ხატება მსჭვალვადა ყოველივეს, ხოლო დღესასწაულის რიტმები, მინ კუსის მიერ ასე შესანიშნავად ნაგრძობი, ფერქავდა დივერტისმენტებში, „გამოსვლებში“, საბალეტო „ანტრე“-ს სუიტებში. კარნავალური სილადე და მრავალფეროვნება ახლდა თან კალეიდოსკოპურად და სწრაფად ცვალებად სცენებს. ამავე დროს „Дон Кихот“ უსულეო ელეგიური ფორმაში მომავალ და დაუვიწყარი სამყაროს ფერიულ ლაბირინთებში მიუძღვებიან.

ვგავსკის აზრით, პეტიპა და მუსიკის მარტინ დესი წვლილი შეიტანა რუსული იზოლაციონიზმის გადალახვაში. „პეტიპას ბალეტები“ – კიდევ ერთი ფანჯარა იყო ევროპისაკენ გაჭრილი“ – წერს იგი.

წიგნის ავტორი პეტიპას ბალეტების თავისებურებათა წარმტაცი ანალიზის შემდეგ თანდათან აფაროვებს თავისი კვლევის პროექტებს, ამ სახელოვანი თეატრის სცენაზე „გამოპყავს“ სხვადასხვა ქანრის და ხასიათის ბალეტები, ვირტუოზი შემსრულებლები, ნოვატორები და კორიფეულები.

შეუძლებელია საუკრნალო სტატიაში სრულად გადმოსცე ამ წიგნის, მართლაც, თვალშეუდგამი და თვალ-წარმტაცი სამყარო. მისი კითხვა არა მხოლოდ სასიამოვნო განცდებით გვასებს დიდ ხელოვნებასთან თანაზიარობის გამო, არამედ გვასებს ცოდნით, გვაგრძნობინებს თეატრალური ხელოვნების ამ უნიკალური ქანრის სიღრმეებსა და მომხიბვლელობას. ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან წარსულისა და თანამედროვეობის დიადი მოღვაწენი, რომლებიც შეითხველს იღუმალ და დაუვიწყარი სამყაროს ფერიულ ლაბირინთებში მიუძღვებიან.

¹ В. Гаевский. „Дом Петипа“. Изд. „Арт“, („Артист, Режиссер, Театр“).

კაცი რეპრეზენტატორი

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული მარინეს თეატრის სცენაზე თანამიმდევრობით ბატონობდა სამი მოცეკვავე მამაკაცი: ალექსეი ერმოლაევი, ვახტანგ ჭაბუკიანი და კონსტანტინე სერგეევი, ოციანი და ომისშემდგომი პირველი წლების სამი პრემიერი, სამი აშკარა ღიადერი მამაკაცური ცეკვის აყვავების ხანაში.

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის მამაკაცის ცეკვა ქალის ცეკვასთან შედარებით საგრძნობლად ჩამორჩენილი იყო. ნიჭიერი ბალერონები, შესაძლოა, ნაკლებად როდი იბადებოდნენ ვიდრე ახლა იბადებიან, მაგრამ მათი სცენური ცხოვრება, ერთის მხრივ მდორედ, უფერულად, ხოლო მეორეს მხრივ შემოქმედებითი კოლიზიებისა და დრამების გარეშე მიედინებოდა – მნიშვნელოვანი მხატვრული იღვების არარსებობის გამო. გაბატონებული იყო მკაცრი, აკადემიური სტერუოტიპი, კარგ ტონად იყო მიჩნეული ემოციური ზომიერება, თავშეკავება და სიფრთხილე – აი, სწორედ ეს სტერეოტიპი გააცამტვერეს 20-იან წლებში, აი ეს ზომიერება დაასამარეს ჩვენმა კორიფეულმა სცენაზე პირველ გამოსვლისანავე...

20-იან წლებში მოცეკვავე მამა-

კაცების ხელოვნებაში უპირატული იყო ემოციური თავისუფლება და სულიერი ძალა, აგრეთვე მამაკაცური ძალმოსილება. რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში ჩამოყალიბდა ეს გმორული ტიპი და ჩვენ არ უნდა მოუწევიტოთ იმ წლების ლენინგრადელი მოცეკვავები იმ პროგრესულ პროცესს, რომელიც მსოფლიო საბალეტო თეატრში მიმდინარეობდა.

ერმოლავებმა, ჭაბუკიანმა და სერგეევმა მრავალმხრივ განსაზღვრუს ეს პროცესი.

რასაკვირველია, მათთან ერთად უნდა მოვიხსნიოთ უნიკალური მოსკოველი მოცეკვავე ასაფ მესტიერი.

20-იან წლებში თეატრალურ სცენაზე დაბერილმა მაცოცხლებელმა სიომ სული შთაბერა მათ იშვიათ ტექნიკურ თასტატობას და მათი ცეკვა არაჩვეულებრივი ექსპრესიით აღავსო. ამ ზეაწეულმა ექსპრესიამ განსაზღვრა მათი მანერა, მათი მეოთხი და თვით ბედისწერაც კი.

ვირტუოზული ვარიაციებით დაიწყებს და შექსპირით დაამთავრება.

ამავე დროს ისინი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ...

თუ ერმოლავის გმირები კლასიკური და უახლოესი ბალეტების პერსონაჟები მეამბოხენი, ამავნი, მარტოსული იყვნენ და მათ სულში ვნებები ბობოქრობდა, ისეთნაირად რომ უკან დახვა არ შეეძლოთ, ვახტანგ ჭაბუკიანი, პირიქით, მარტოსულობას ვერ იტანდა: როგორც ბალეტმაისტერს ეს თემა არ იტაცებდა, ხოლო როგორც არტისტს სავსებით უცხოდ მიაჩნდა. სცენაზე

ჭაბუკიანი ყოველთვის ადამიანთა ჯგუფის თავში იდგა. ეს იყო წინა-მძღოლი, მოთავე, ლიდერი. მისი განსაკუთრებული უნარი, მისი მისია იყო აღეგზონო მასები, შთაებერა მათვის სიცოცხლე, წასძღვლოდა სალაშქროდ, გმირულ საქმეთა საკუთხლად, და თუ სხვა გამოსაყალი არ იყო, თავგასაწირადაც კი. მოცე-კვავე-პრემიერი ჭაბუკიანი ამავდროს იყო მოცეკვავე-ანსამბლისტი და მისი უმაღლესი ბალეტმაისტერული მიღწევები დაკავშირებული იყო ანსამბლების, დიდ კლასიკური პა-ს (პა-დე-სიზ ლაურენსიაში“, გრან პა „ბაიადერას“ მეორე მოქმედებაში) ან დრამატული მასობრივი სცენების („მთების გულის“ კულმინაცია-სა-ხელგანთქმული ცეკვა „ხორუმი“) დადგმებთან.

იმ დროს ქორეოგრაფიული კომპოზიციების ასეთი ოსტატი ჩვენ არ გვყოლია.

რასაკვირველია, ნებისმიერ ან-სამბლში ჭაბუკიანი დომინირებდა, თუმცა შეგნებულად ამისკენ არასოდეს მიისწრაფოდა, ყველაფერი თითქოს თავისთავად ხდებოდა. სცე-ნაზე რომ გამოჩნდებოდა, ჩვენ მხო-ლოდ მას შევცეროდით და შეუძლე-ბელი იყო თვალი მოგწევიტათ. რას განეიცდიდით? აღტაცებას, აღფრთო-ვანებას და, საშიშია ამის თქმა – ნეტარებას. უძალეს სცენურ მომ-ხიბელელობას ფლობდა და აქ სწორუპოვარი იყო. უბრალო გავლაც კი უმაღლე გატაცვებდა, ეს გახლდათ მთებში გაზრდილი კაცის კლასიკური გავლა, მოქნილი, ელასტიური,

მკვეთრი, თავისუფალი ნავარდების მიზანით და მას მიზანით გამოიყენდა, მაყურებელთა დარბაზი, ნაცვლად იმისა, რომ გარინდებულიყო, ოფციებით იფე-ქებდა ხოლმე. მე ისიც კი მახსოვს, როცა ქანდარიდან ერთმა ენთუ-ზიასტმა თვით ვერ შეიკავა და შეკ-უირა: „ჭაბუკიანი, ბრავო! უფრო მეტიც, „ჭაბუკიანი, ბის!-ო“, მართალი იყო ეს ნასიამოვნები ენთუზიასტი: ვარიაციისთვის ასეთი გამოსვლა შეიძლებოდა მრავალგზის გამეორე-ბულიყო „ბისხე“.

მაგრამ, აი, იწყებოდა ვარიაცია და უკვე ყველა ერთხმად გაჰყვიროდა „ბრავო – ბრავო-ო“.

სცენაზე ჭეშმარიტად დიდი მოცე-კვავე იდგა!

საიდუმლოს გამხელაში არ ჩამო-მერომევა, თუ ვიტყვი, რომ ჭაბუკიანს არ ჰქონდა ყველაზე მაღალი ნახტომი და რომ საცეკვაო სტრუქ-ტურის ფაქტზი დეტალები მას ნაკ-ლებად აინტერესებდა, მაგრამ იგი უმთავრეს ფლობდა: ალმოდებულ სულსა და თვალწარმტაც სივრცეს უესტისას. უესტით იწყებოდა და მთავრდებოდა ცეკვა, თავად ცეკვა არ იყო დანაწევრებული, მბრძანებლური და სურათოვანი როგორც უესტი. და თვით სცენური ქმედება ჭაბუკიანისა იყო არა მხოლოდ პირდაპირი, არა-მედ მეტაფორული, გადატანითი აზ-რით კი – ლამაზი უესტის ზეიმი.

რაინდული სული ათლეტის სხე-ულში! ხოლო გამომსახველი უესტი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნე-ლობით, რწმენითა და სიმართლით

ემსახურებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე და მსახიობის ერთ-ერთი უკანასკნელი როლი – ოტელო უმთავრესად აგებული იყო ხელების თამამ თამაშზე: ეს ვირტუოზული მოცეკვავე ასეთივე ვირტუოზული მიმი გახლდათ.

ჭაბუკიანის ანსამბლებიდან არც ერთი არ შემოგვრჩა დღემდე, გარდა გრან პა „ბაიადერას“ მეორე მოქმედებიდან. ამ ანსამბლმა, რომელსაც მთელ მსოფლიოში ცეკვავნ, მრავალი რამ შესცვალა მარიუს პეტიპას ძველ აღიარებულ სკეტტაკლში. ჭაბუკიანის დადგმაში, როგორც იქნა, საკუთარ თავს დაემსგავსა სოლონი და სრულიად სხვანაირად წარმოსდგა გამზატი.

პეტიპა ხელმძღვანელობდა ტრადიციული საბალეტო სქემით, რომელიც სათვეს იღებდა პარიზულ მელოდრამებში: – ნიჭიერი, ვნებიანი პლები ქალისა და ლამაზი არტისტი ქალის (რომლისთვისაც განგებას ნიჭი არ მიუცია) მეტოქეობაში. ასე, ან დაახლოებით ასე, გამოიყურებოდა ბალეტი 1877 წლის პრემიერაზე, მაგრამ ასეთი როდი იყო იგი 1941 წელს. მაშინ ვ.პანომარიოვმა აღადგინა მარიუს პეტიპას სამი აქტი, ხოლო ჭაბუკიანმა გამზატის პასასახლის დარბაზიდან მოედანზე გადაიტანა, ახლებურად, დადგა ეს პალა დემონსტრატიულად დაარღვია სკეტტაკლის ლოგიკა. კაცმა რომ თქვას, იმ წლებში ნაკლებად უწვდნენ ანგარიშს მოხუცი პეტიპას ნაიურ ლოგიკას და კლასიკური ბალეტის ხელახლი მონტაჟი ჩვეულებრივ და

მისალებ ნაბიჯად მიაჩნდათ. აქ მართლაც იყო დემონსტრაცია, თან ორმაგი, პირველ რიგში, დემონსტრაციული ექსტი მიმართული იყო „დრამბალეტისაკენ“, სწორედ იმ „დრამბალეტისაკენ“, რომელსაც თავად ჭაბუკიანი, რამდენადმე გულგარეთ, მაგრამ მაინც, უხვად უხდიდა ხარკს, თუმცა მისი ხლართუებიდან თავისუფალი, ვირტუოზული ცეკვის სივრცეებისაკენ იღტვოდა. მაშინაც, როცა ცეკვაზდა და მაშინაც, როცა თავად დგამდა თავის პირველ ბალეტებს. რასაკვირველია, ორთოდოქსული „დრამბალეტის“ თვალსაზრისით, საქორწილო დუეტის გადატანა მოზეიმე მოედანზე ნონსენსია, უაზრობაა, გაუმართლებელი ნოვაციაა, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩჩახია, მაგრამ ჭაბუკიანმა ისე ბრწყინვალედ ააგო და ისე ზუსტად იპოვნა შესაფერი ადგილი, რომ თავად ეს ორთოდოქსული თვალსაზრისი გამოჩნდა სასაცილო და ანტიბალეტური, ცეკვა ყოველთვის მართალია-ო – თითქოსდა აცხადებდა გულმამაცი ჭაბუკიანი და მის საკურთხეველთან სწირვადა სიუჟეტურ, თხრობით მოტივაციებს.

სტილისტურადაც თვით ცეკვა გამზატისა და სოლარისა, უპირველესად კი „ანტრე“, იყო გამოცხადება, აღბეჭდილი ერთგვარი დეკლარაციულობითაც კი. ეს განსაკუთრებით ჩანდა ძველი „ბაიადერკის“ ოთხეულთა ცეკვის ფონზე.

კლასიკური დუეტის ახალი ტიპი მკვიდრდებოდა სცენაზე! მოცეკვავე ქალი და მამაკაცი დარწმუნებულია

იყვნენ თავიანთ უფლებებში, თავიანთ მისწრაფებებში და სივრცის გადამკვეთ, ძალზე მაღალ ნახტომთა აუცილებლობაში. თავდაპირველად ისინი სცენის უკანა ფარდის წინ მიჰქოდნენ ერთმანეთისაკენ (პროფილით), შემდეგ სიღრმიდან ავანსცენისაკენ (ანფასით, ხელებშეერთებული) მოფრინავდნენ ტრიუმფალური აღტკინებით და ჰქმიდნენ ჰაერში მოლივლივე მიზანსცენას — ამ დამატებულებელი სილამაზის ემბლემას: ქალისა და მამაკაცის კავშირის ემბლემას!

ორმაგ ასოციაციას ბადებდა ეს ფრენა, იგი გვაგონებდა 30-იანი წლების ჰქმინგუების ნოველებს, მოქანდაკე მუხინას სკულპტურულ ჯგუფებს, რომლებიც აგვირგვინებდნენ 1937 წლის მსოფლიო გამოფენაზე საბჭოთა პავილიონს. აქ, ერთიც იყო და მეორეც. ჩვენს ქვეყანაში ხოტბაშესხმული რეკორდების პათონი, ველურ მხარეებში ნადირობის რისკი, ორთა ნადირობა, და საფარი, ნაცვლად კურორტებზე საქორწილო მოგზაურობისა. არ დაგვაიწყდეს, სოლარი მონადირე და მებრძოლია, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო იგი ჭაბუკიანის შესრულებით.

ამგვარად ცნაურდებოდა მეორე, ფარული აზრი დემონსტრაციულობისა, რასაც გულისხმობდა ბალეტმაისტერი, როცა ახალი გრან ჰამოიგიქრა. მას არ სურდა მაინც-დამაინც დიდი თანაგრძნობა გამოეხატა ნიჭიერი და უბედური პლებეი ქალებისადმი. ჭაბუკიანს საერთოდ არ უყვარდა „დაბალი უანრები“, ესთე-

ტიკური უბრალოება, პლებეური წელოვნება. მისი ნეგატიური დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას, რომ ერმოლაევი (ცხოვრებაში უჭრების და განათლებული ადამიანი) სცენაზე გამოღიოდა მეამბოხე ან მოედნის დამცინავი, კადნიერი, ზოგჯერ კი ქუჩის პლებეის როლში. ყოველივე ეს სათავეს იღებდა 20-იან წლებში, სოციალურად ორიენტირებულ „მემარცხენე“ თეატრისაგან, რაც ესოდენ უცხო იყო ჭაბუკიანისათვის. იგი იმისათვის მოვიდა, რათა შევცვალა ეს ნიღაბი, მოეშორებინა ეს სტერეოტიპი და სპექტაკლებში დაემკვიდრებინა ბალეტის პრემიერის ახალი ტიპი.

რა ვუწიდოთ იმ თეატრს, რომლის იღალური მოდელის შექმნას იგი ცდილობდა „ბაიადერკაში“, კლასიკურ გრან ჰა-ში? იმპერატორული, არისტოკრატიული? მითიური თუ ლეგენდარული? ყველა ეს სიტყვა ფუჭია, ისინი მხოლოდ მცირდად თუ უკავშირდებიან ჭაბუკიანის გმირის გარევნულ სახეს და ტიპს. ერთი რამ კი ცხადია, ჭაბუკიანის თეატრი არ არის 20-იანი წლების პლებეური თეატრი, არც ორმოციანი წლების მეშჩანური თეატრია, რომლის ზოგიერთი ნიშანი უკვე, ოცდაათიანი წლების დასასრულს მარინეს თეატრის სცენაზე იჩენდა თავს. შესაძლოა, ომის წლებში სწორედ ამიტომაც წავიდა ჭაბუკიანი ამ თეატრიდან და ... მერე იგი აქ აღარ დაბრუნებულა...

ბეჭარი და ბალანჩინი მარინეს თეატრში

(ჯოლოვის სალინის 100
წლისთავისათვის)

ბეჭარის დასი, 1978 წლიდან
მოყოლებული, მარინეს თეატრს
სამგზის წევია საგასტროლოდ. ამ გას-
ტროლების წარმატებისათვის უკეთეს
დროს იგი ვერ შეარჩევდა: არც დაუ-
გვიანია და არც აჩქარებულა. არც
არავის მოხიბლვა სჭირდებოდა და
არც არავის რამეში დარწმუნება.
სიახლეებს დანატრებული მარინეს
თეატრის დარბაზი აღტაცებით
მიიღებდა ამ შესანიშნავი რეპერ-
ტუარის და ბრწყინვალე დასხვე ნაკ-
ლებ დასს. თვით მარინეს თეატრისა
და მის შემდგომ ბედ-იღბალში
ბეჭარის გასტროლებმა, სწორედ 70-
იანი წლების დასასრულს, უმნიშვ-
ნელოვანესი როლი — აქამდე არარ-
სებული ორიენტირის როლი ითა-
მაშეს.

70-იანი წლების შუაში ნათელი
გახდა, რომ დიადი დასი ნელ-ნელა
თეატრ-მუშეუმს ემსგავსებოდა. იური
გრიგორიოვიჩის გაძვებით მან კარგა
ხნით თქვა უარი თვის მომავალზე.
თეატრმა საუკეთესო ახალგაზრდა
ოსტატები გააქცია და, ცხადია, აღარ

იყო თანამედროვე თეატრი. ამავე დრო
მხოლოდ წარსულით ცხოვრობდა
(კომერციული თვალსაზრისით იგი
წარსული დიდების ხარჯზე განაგრ-
ძობდა არსებობას), ზეიად პრზაში იყო
გარინდული, აქაოდა ჩვენა ვარო
მემკვიდრეობის ბურჯვები. ტრადი-
ციების შემნახველნიო. ამ დრომ კი,
ახალ სისხლს მოკლებული, დაკოდი-
ლი, დოფებაც ლეგენდარული პეტერ-
ბურგული აკადემიზმი იფიტებოდა და
გადაგვარების გზას ადგა.

ქვეყანაში გაბატონებულმა საყო-
ველთაო უძრაობამ გავლენა იქნია
თეატრზე, თუნდაც იმით, რომ დასი
სანახევროდ, მეტიც, მხოლოდ ერთი
მესამედი, ერთი მეოთხედი ძალით
მუშაობდა.

აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა
ბეჭარი.

პირველი გასტროლებისას, ბეჭა-
რის სპექტაკლებმა: „კურთხეული
გაზაფხული“, „რომეო და იულია“,
„პეტრუშკა“ — გააოგნა მაყურე-
ბელის, უფრო მეტად კი თავისი უჩვე-
ულო პლასტიკური ენით, აბსტრაქ-
ტულ-გეომეტრიული და ამავე დროს
სახითი ზოომორფიზით.

მოცეკვავე გეომეტრი და ამავ-
დროულად, მოცეკვავე ფრინველი ან
მოცეკვავე ავაზა!

მოუგერიებელი კომბინაციები!
დაუვიწყარი სახიერება!

იგი ცნობიერებაში მკვეთრად
აღიბეჭდებოდა, იმორჩილებდა ჩვენს
ფანტაზიას, უტევდა ფსიქიკას,
აღტაცებისგან სუნთქვა გვეკვროდა.
სემიოტიკური აზროვნება ბეჭარს



საშუალებას აძლევდა ეპოვნა ჟესტებისა და პოზების კონფიგურაცია, პლასტიკური სიმბოლოების კონფიგურაცია, რომელიც შეიცავდა წარმოუდგენელ სუგესტიურობას ანუ შთამბეჭდაობას, ექსპრესიას. ეს კლდეზე ამოკაწრულ ნახატებსაც მოგვაგონებდა და არქიტექტურულ ნახაზებსაც. ყოველივე ეს მაყურებელზე მოქმედებდა სერგე ეიზენშტეინის ესთეტიკის კანონების მიხედვით. ბეჟარის ვირტუალური, მაგრამ დახვეწილი ბალეტები ჰგავდნენ კიდეც დიდი მასესტროს ფილმებს, ისევე როგორც ანრი მატისის ერმიტაჟისეულ ფონინისტურ პანოს.

შთაბეჭდილება უდიდესი იყო, ხოლო „კურთხეული გაზაფხული“ მეხის გავარდნას ჰგავდა მოწმენდილ ცაზე. ეს გაცემილი გამოთქმა, ამ შემთხვევაში, ზუსტია და აუცილებელიც კი თუნდაც იმიტომ, რომ ზეციური მეხთა-ტეხა გულისხმობდა იმ ეფექტს, რასაც ბეჟარი აღწევდა. ამ წლებში მოდაში შემოვიდა ხმის

გამაძლიერებლები, რომლებმაც შეცვალეს მუსიკის ჟღერადობა და თვით აკუსტიკური წარმოლგენა მასზე. ბეჟარიც იყენებდა გამაძლიერებლებს თავისი კომპოზიტორიკოლგების მუსიკალურ ექსპერიმენტებში და თვით კლასიკური მუსიკის სცენაზე აუღერებისას. მაგრამ მან მეტი მოინდომა და შეიძლება ვივარაულოთ, რომ ჩაიფიქრა განეხორციელებინა პლასტიკური რევოლუცია მსგავსად აკუსტიკური, ხმიერი რევოლუციისა, ანუ, სხვა სიტყვებით, განიზრახა შეექმნა მუსიკის პლასტიკური ექვივალენტი ზეციური ჰუქა-გრგვინისა. აქამდე წარმოუდგენელი საცეკვაო საშუალებების წარმოუდგენელი კონცენტრაცია — აი, მისი მიზანი, ზემოქმედების ძალმოსილება — აი, მისი პროგრამა. კასტალურ წყაროებში შობილი დანსანტურობა — მისი საქმე არ იყო, დანსანტურობა გადმოღვრილი ჰუქა-ჸუხილის თასიდან — ეს არის სწორედ ბეჟარის ბალეტები.

კასილ ქუნაძე

გამოთხვება მოგონიაზონი

ჯარისკაცის ნამტობი

გიორგი მოიდან კანტუჩიანი დაბრუნდა. წელში მოხრილი დარჩა. ომადე ლამაზი ბიჭი იყო, ტანადიც. მახსოვს, ჯარში წასვლის წინა დღეს მდინარე გუბისწყალში იძანავა სოფლის ბიჭებთან ერთად. შორიახლოს ბავშვებიც ვჰყუმბალაობდით. დავაკაცებული ბიჭები ათას რამეს ჰყვებოდნენ, იცინოდნენ, ხორხოცობდნენ. სოფლში პატარებს უფროსების საუბრის მოსმენა გაეკრძალებოდა, დიდ უზრდელობად ითვლებოდა და ამიტომაც შინაარსი არ ვიცოდით, რაზე იცინდნენ გულიანად, მაგრამ მათ რეაქციებზე ვხვდებოდით, რომ საინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ. მდინარის მაღალი ნაპირიდან გადმოხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გიორგი მართლაც ისე ლამაზად ხტებოდა, ყველას სჯობნიდა. წყლიდან სხვებზე ადრე ამოვიდა, ტანი გაიმშრალა, ჩაიცვა, პაპიროსი გააბოლა და ჩვენ დაგვიძახა:

- ბავშვებო! თქვენს შორის რომელი უფრო მაგრად ცურავს?
- რაჟიკო! — ერთხმად დაუუძახეთ.
- რამდენი წლისა ხარ? — პკითხა რაჟიკოს.
- თორმეტის!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თ. დაც.“ №1-5, 2003, №1, 2004.

— არ გეშინია ჯარში წასვლა რომ მოგიწიოს?...

— არაფრისაც არ მეშინია!

— მართლა?

— დიახ!

თუ ეგრეა, ადი და აი, იმ ნაპირიდან გადახტი წყალში, მე ხომ დამინახე, როგორ გადმოვხტი? მე ჯარში მივდივარ...

— დაგინახე!

— ჰოდა, მიდი, მე აქა ვარ, ნუ გეშინია!

— არ მეშინია!...

რაჟიკო მართლა წავიდა გადმოსახტომად, ჩვენ შეშინებული ვუყურებდით გიორს, უუყურებდით შიშით და იმედით. პატარები იმ სიძალდიდან არ ვხტებოდით და რაღა ჩვენს შექობარს უნდა გაერისხა?...

გიორ აფორიაქება შეგვატყო, ტანსაცმელი გაიხადა, წყალში შევიდა, მიცურდა ღრმა ადგილას, სადაც ახალგაზრდები ხტებოდნენ. რაჟიკო გადმოსახტომად ეშავდებოდა.

— არ გადმოხტე! — შესძახეს ბიჭებმა.

— მე აქა ვარ! — უთხრა გიორ.

— ჯარში წასვლის არ გეშინია და წყალი რას გიზამს, გადმოხტი! — დაუძახა გიორ.

— რაჟიკო წამით შეყოვნდა, მერე

უცებ მოსწერდა ადგილიდან და თავით წავიდა წყლისაკენ. სანამ წყლიდან თავს ამოყოფდა, შიშისაგან ლამის გული გაგისკდა. რაუიკომ წყლიდან თავი ამოყო თუ არა, გიო იმწამსევ მის გვერდით გაჩნდა, ხელი გადახვია და ერთად გამოიდნენ ნაპირზე.

შიშის დაძლევამ თითქოს უცებ დააგუშკაცა რაუიკო, ნაპირზე გამარჯვებული გამოვიდა. უკვე ჩვენი ყოჩი იყო.

გიო ჯარიდან 1945 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა. უკვე დაბერებული მეტვენა. არადა, ოცდასამი, ოცდაოთხი წლისა თუ იქნებოდა. ფიზიკურად ვეღარ მუშაობდა. სოფელში სხვა რა უნდა გაეკუთბინა, იყო სულ ტყეულა. არც ჯარის ამბების გახსენება უყვარდა. ათასში ერთხელ თუ იტყოდა რამეს. რატომდაც მე შემეჩვია. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ერთ დღეს მოულოდნელად მეუბნება:

– გასო, ბაქოში თუ წამომყები?...
– გააჩნია, რისთვის! – ვუპასუხე ცოტა დაბნეულმა.

– ხილი წავიღოთ გასაყიდად, ამბობენ, კარგი ფასი აქვსო, ცოტა ფულს შენც გაშოვნინებ, ჰა, რას იტყვი?

– რით უნდა წავიღოთ?
– მატარებლით!
– მატარებლამდე?
– ურმით, შეიძლება მანქანაც გამოჩნდეს... გზის ფული მაქვს...
– სახლიდან არ გამიშვებენ!...
– ბავშვი ხომ არა ხარ, კაცი ხარ!...

– წავიდეთ!...
მეორე დღესვე შევუდექით

სამზადისს. ზოგი ვიყიდეთ, ზოგი დაბარებში მოვაგროვეთ, ავაუსეთ კალათები ატმით, მსხლით და გავუდექით გზას. რის ვაი-ვაგლახით ჩაგდლწიეთ რაიონის სადგურებამდე. მატარებელმა გაგვსწრო. დილამდე სადგურში უნდა გვეურეუტა. ერთი მყუდრო ადგილი მოვძებნეთ და კალათებს შორის მოკალათდით.

– რა გაათენებს! – წავიწუწუნე მე.
– ვილაპარაკოთ და მალე გაფადრო, მერე მორიგეობით დავიძინოთ, ხილი არ მოგვპარონ, ხომ იცი, რა ქურდობაა.

– კანტუჭია სად მიიღე? – ვკითხე მე.

– რა ბედნიერი ხარ, რომ ომს ვერ ნახავ... შეუძლებელია კაცობრიობამ კიდევ გაიმეოროს ჯოჯოხეთი, სადაც ყველაფერი კვდება, კვდებიან ადამიანები, ცხოველები, კვდება ბუნებაც, სიყვარულიც, მხოლოდ სიძულვილი არ კვდება!...

საუბრის ხასიათზე დადგა გიო.

... გომელისათვის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდით, – დაიწყო თხრობა – ტყვებს საშინლად გვეცეოდნენ, ხშირად გვაშიმშილებდნენ. ზედამხედველად ერთი გერმანელი ოფიცერი ქალი გვევდა, მის სისასტიკეზე ათას რამეს ლაპარაკობდნენ, მაინც დამაინც არა შესახედაობით გამოიჩინდა. გამომარჩიეს მე და ხელფეხეკრული შემაგდეს მანქანაში. ბედი არ გინდა, სწორედ მას დააგალეს ჩემი გასაღება. ქალი მძღოლის გვერდით დაჯდა. ვიცოდი, დასახვრეტად მივყავდი. ერთ ტყესთან გააჩერეს მანქანა. იარაღდამიზნებული შემიყვანეს

ტყეში. რატომდაც მძღოლი მანქანასთან დაბრუნდა და დავრჩით პირის პირ მე და ის ქალი. ვიგრძენი, რომ ძალიან დელავდა, რატომდაც სიკვდილის შიში გამიქრა, არ მჯეროდა, რომ ასე უაზროდ მოვკვდებოდი, ისიც ქალის ხელით ჩემს წინ იარაღომარჯვებული იდგა და მომჩერებოდა. მე უცებ გაფულიმე, პირდაპირ თვალებში შევხედე, თვალი ჩავუკარი და ვუთხარი: – კარგია, რომ მაინც ლამაზი ქალის ხელით ვკვდები!...

ქალი გაოგნდა, ნერვიულად გაიარ-გამოიარა, მომიბრუნდა და ოდნავ გაღიმებულმა, მავრამ ბრძანების კილოთი მკითხა:

- სადაური ხარ?
- საქართველოდან!...
- ქართველი!
- გასაგებია, კომპლიმენტი არ გიშველის!...

– მართალი გითხარი, სიკვდილის წინ არ ცრუობენ!... აზრი არა აქვს...
– დიდუბე იცი?!

– დიდუბის ეკლესიასთან ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ... მე ვყოფილვარ თბილისში პატარაობისას...

მომიახლოვდა და ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მერე სახეში მომაცექრდა. ვიგრძენი, რომ რაღაც გრძნობამ გაიღვია მასში. თითქოს ახლა შემამჩნია, ახლა დამინახა. თან ხელში რევოლვერს ათამაშებს.

– მოვჭრონე, – გაფიფიქრე ჩემთვის და კვლავ გაფულიმე.

– თვალი რად ჩამიკარი, კვდები და თვალს მიკრა? საოცარია... თუცა, კავკასიელი ხარ... გასაგებია... გერმანელები კი კანონის ხალხი გართ... რას

ვიზამთ... მოვალეობა, მოვალეობა კომუნისტი ხარ?

– არა!

– მართლა?!

– ჩვენმი ქალის მოტყუება სირცე ხვილია...

ვიგრძენი, რომ ქალის სულში შინაგანი ჭიდილი იყო, აშკარად არ უნდოდა, რომ მოუკალი. ფქნს ითუვდა... მანქანისაკნ რამდენჯერმე გაიხედა...

უცებ ჭურვის აფეთქების ხმა გაისმა, სწორედ იქ დაეცა, სადაც მანქანა იდგა, აფეთქების ხმაზე ქალი უცებ მიწაზე დაწვა, კი არ დაწვა, დაეცა. პირდაპირ ჩემს ფეხებთან, შეკრული ხელებით შევეხე, წამოყენებაში დაევმარე.

– ნუ გეშინიათ! – ვუთხარი მე.

ჩემს შებორკილ ხელებს დაეყრდნო და ისე წამოდგა. ისე ახლოს ვიყავით, რომ ერთმანეთის სუნთქვას ვგრძნობდით.

– ნუ გეშინიათ, მე თქვენთან ვარ!

– ვუთხარი შეთამაშებულმა და გაფულიმე.

– გასაოცარი ვინმე ხარ – მეარ-შიყები კიდეც?!

– ჩვენ ახლა მარტონი ვართ ტყეში, გახედე, შენ, მანქანა აღარ არის... ყუბებარამ ააფეთქა, ვიცი, არ გინდა ჩემი მოკვლა... ამხსენი ბორკილი...

– რას მეუბნები?!...

– ვიცი, რომ მაინც ამხსნი!

– რა იცი?... საიდან ასეთი თავ-დაჯერება!...

– შეგატყე თვალებზე, ღიმილზე, ვიცი, მოგწონვარ... ამხსენი... ამხსენი... ვიგვიანებთ...

ერთხანს ყოფმანობდა, მე ღიმი-



ლით და დაუინებით შევცექროდი. მერე ხელები გავუშვირე.

— გელოდები! — ვუთხარი მე.

ხელები მოქიდა, და დიდხანს ეკავა.

— მართლა არ იცით ქალის მოტყუება?...

— არ მოგატყუებ!...

ამხსნა თუ არა ბორკილი, წელზე მოჟხვიერ ხელი... მოქერა... ვაკოცე, მერე შემოვიხსენი ფეხებზე ბორკილები, მიწაზე დაუკეტით... მერე, ხომ იცი, ვასო, რაც მოხდებოდა... — მითხრა გიომ და გაიღიმა. მე საოცრად დამაინტერესა ამ ამბავმა.

— მერე, მერე რა მოხდა? — სულმა წამძლია სანამ ამბის ბოლოს გავიგებდი.

— ბევრი ვიარეთ ტყე-ტყე. თითქმის ერთი კვირა ვიხეტიალეთ, ხალხს ვარიდებდით თავს. ის — გერმანელი, მე — საბჭოთა ჯარისკაცი. ასე ერთად სად უნდა წავსულიყვათ, არ ვიცოდი. ერთმანეთი მართლა შეგვიყვარდა, სიკვდილ-სიცოცხლებ დაგვაკავშირა. ირგვლივ ომი და სიძელვილი იყო, კიდევ კარგი, რომ რუსული იცოდა. ერთი გლეხის სახლში შევედით. ქალის გერმანელობა დაემალე. ვითომ ქართველი იყო. ცოტა სული მოვითქვით, დილით ადრე, განთიადისას დაუტოვეთ სახლი. ნახევარი კილო-მეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ ატყდა სროლა, დაწერით, უცებ გაისმა საშინელი ხმა. ყუმბარა ჩამოვარდა იქვე ახლოს, თითქმის გვერდით, მე მაღლა ამაგდო და ძირს დამცა. დამეუარა ზედ მიწა, ძლივს ამოვედი მიწიდან. თითქოს საფლავიდან ამო-

ვედი. წელი ჩემი აღარ იყო. მტკიცნდეს აუტანლად. ძლივს გავცოცდი ქალი-საკენ, საშინელი სურათი დავინახე. ბომბს სულ დაეფლითა საცოდავი. ვიყვირე არაადამიანური ხმით. გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, საავადმყოფოში ვიყავი.

საშინელი სევდა შემომაწვა გულ-ზე. ერთხანს ხმას არ იღებდა. ვერც მე შევბედე რაიმე მეკითხა, ანდა რა უნდა მეკითხა. ამ დროს თავზე მილი-ციელი დაგვადგა.

— რა გაქვთ კალათებში?

— ხილი.

— სად მიდისართ?

— ბაქოსაკენ! — გულუბრყვილოდ ვუპასუხე მე.

გო კი ხმას არ იღებდა.

— საბუთები მაჩვენეთ!

— რის საბუთები?

— ხილი თქვენი საკუთრება რომ არის, იქნებ, სპეცულანტები ხართ?!... — ცნობა არ წამოგვილია!

— აა... ხომ ვთქვი, სპეცულანტები ხართ, ახლა ხელს ჩამოგართმევთ და ციხეშიც მიგაბრძანებთ!.. — წავიდა მილიციელი და მოიყვანა მეორე მგონი, უფროსი.

— სპეცულანტები არიან — უთხრა უფროსს.

— ვის უბედავთ თქვენ ასეთ რამეს, იცით, ეს ვინ არის? — გავიშვირე ხელი გიოსაკენ.

— ვინ არის?

— ვინ და კანტუზიანი, ინგალიდი, გმირი, ჯარში იბრძოდა, შენ აქ გამოვგიმეულხარ და სპეცულანტობას გვაბრალებთ!...

ისე გაბედულად და დამაჯე-

რებლად ვყვიროდი, რომ ეტყობა, რაღაც შთაბეჭდილება მოგახდინე, არადა, მაშინდელი კანონით, მართლა სპეცულანტები გამოვდიოდით. ცნობა არ გვქონდა, რომ ჩვენი ეზოს მოსაყალი იყო, ვინ მოგვცემდა ცნობას, მეტი წილი მართლა ნაყიდი იყო. შიშმა გამათამამა, ისე ვედავებოდი მილიციელებს, რომ გიო გაოცებული მიყურებდა.

— წამობრძანდით! თქვენ ბევრს რომ ლაპარაკობთ! — მითხრა მილიციელმა და მილიციის ოთახში წაგვიყვანეს. გიო უფროსი იყო, მაგრამ მაინც არ წაიყვანეს, ეტყობა კანტუზის ამბავმა იმოქმედა.... გამომკითხეს რომელ კლასში, სად ვსწავლობდი, ვინ იყვნენ ჩემი შმობლები....

— ნამდვილად სპეცულანტებთან გვაქვს საქმე! — თქვა უფროსმა.

— მე ამ ამბავს ასე არ დავტოვებ, ამხანაგ ჩარკვიანს შევატყობინებ! — ვთქვი ნამდვილი კომკავშირული რიხით.

— რამდენს ლაპარაკობ შენ!...

— გათენდება თუ არა, ამხანაგ ჩარკვიანს დეპეშას გავუგზავნი, რომ მე — კომკავშირულს, გლეხის შვილს, შრომის უფლებას არ მაძლევთ, — გავიკრიტე, მაგრამ რა გავიკრიტე. ეშხმი ისე შევეძი, რომ სტალინიც ვახსენე, დეპეშას მასაც გავუგზავნი-მეტქი. მილიციის უფროსი მოლბა და ღიმილით მითხრა:

— ხო, ბიჭო, სტალინი სულ შენს დეპეშას ელოდება... რა უნდა გიყოთ ახლა? ციხე არ აგდებათ, სპეცულანტებო. კანტუზიანი კი მეცოდება... ჰო... კარგი, რაც არის, არის... ხილი

ჩამორთმეულია... თქვენ მოუშენეთ აქედან... არ დამენახოთ...

ხელი ჩამოგვართვეს და დილით ხელცარიელები დავბრუნდით სოფელში.

პერიაეტივაზი

ხანდახან ისე ერთბაშად წამოიშლებიან მოგონებები, რომ ვერც კი ვასწრებ ქაღალდზე გადატანას, არადა, მეშინია არ დამავიწყდეს. მერე ოდესმე გამახსენდება კი?...

უცნობი ჯარისკაცებისათ განისვენებენ დავიწყებული მოგონებები, ამიტომ საქმე მოსწრებაზეა.

თუატრალურ ინსტიტუტი ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი. ოცდაათ წელზე მეტია პრორექტორი ვარ. პირდაპირ უნიკალური შემთხვევაა!...

იცით, რა არის ეს ოცდაათი წელი?

ტომები არ მეყოფა დასაწერად. მოულმა თაობებმა გაიარეს „ჩემს ხელში“, ბევრი უნივერსიტეტში მუშაობს, დაფასკაციონენ, დაქალნენ...

ინსტიტუტი ეს არის უმაღლესი სკოლაც, თუატრიც, მეცნიერებაც, ლიპლომატიური არენაც, ამბიციების დასაკმაყოფილებელი ადგილიც, გაზაფხულით /ახალგაზრდობის სიმბოლო/ და ზამთარიც /მოხუცი პედაგოგების სიმბოლო/, ნაღვლიანი შემოდგომაც /უფროსი თაობის სიმბოლო/ და მცხუნვარე ზაფხულიც /საშუალო თაობის სიმბოლო/.

ყველაფერია ერთ ჭერევეშ. ყოველ დროს აქვს თავისი სიხარული და სატკივარი. ჩემში კი ყველა დრო ცოცხლობს ერთბაშად, ერთდროულად, ყველა დრო კი თავისას მოით-

ხოვს რატომდაც სწორედ ჩემგან.
ჩემს ტკიფილთან კი სულ მარტო
ვარ!..

თითქოს, მართლაც ზამთრის ფინვისაგან დაშრალიყო, ისე საცოდავად გამოიყურებოდა საშა მიქელაძე, როცა ტროლეიბუსში შევხვდი. მოკუნტული იჯდა.

— გამარჯობათ, ბატონო საშა! — ვუთხარი მე.

სათვალე მოიხსნა და გულგრილად მომესალმა, გამიკვირდა, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ინსტიტუტში მიბრძანდებით?

— ჯერა არა, მერე შემოუყვლი...

ეს ამბავი დილით მოხდა. დღის ბოლოს, მართლაც, შემოიარა ინსტიტუტში, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოლა, უცნაურად წრიალებდა.

— ბატონო საშა, ხომ არაფერი გნებავთ?

— არა!

— მობრძანდით, დაბრძანდით!...

— დიდი მადლობა, დღეს მოელი დღე ვიჯექი...

მეუღლე ახალი გარდაცვლილი პყავდა. მინდოდა რაღაცით მეგრძნობინებინა სითბო, სრულიად უადგილო იყო, მაგრამ შევაქე მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

— ყველაფერი ბითურობაა... სახლში ვერ ვჩერდები, მაინც ინსტიტუტში მოვედი. სხვაგან სად უნდა წავიდე? ისე გამოვიარე. დილით ვჯდები ხან ტროლეიბუსში, ხან ტრამვაიში და მოული დღე ასე ვმოგზაურობ, არ ჩამოვდივარ, სულ დავდივარ.

გული მომიკვდა.

— ინსტიტუტში მობრძანდით იყვათ.

— არა, ერთ ადგილას გაჩერება არ შემიძლია, ტრამვაი კი დადის, ვუფურებ სახლებს, ვხვდები ათასგარ ხალხს, ვისმენ საუბრებს, გულს ვყოლებ. დარდს მიმსუბუქებს, ასე ვხეტიალობ ყოველდღე მეუღლის სიკვდილის შემდეგ...

საშა მიქელაძეს ვერაფერის კარგს ვერ ათქმევინებდი საბჭოთა ხელისუფლებაზე, ყველამ ვიცოდით მისი ხასიათი, მაგრამ მე და რექტორს ეთერ გუგუშვილს მაინც დაგვემართა კურიოზული ამბავი. სამინისტროდან დაგვირეკეს, ხუთი პედაგოგი შეარჩიეთ, რომ სოცშეჯიბრში წარმატებისათვის სამკერდე ნიშნებით დაგვილდოვოთ. რა შეუაში იყო ლექტორი და სოცშეჯიბრი? მაგრამ კომუნისტებს უყვარდათ ათასნაირი ჯილდოების გაცემა ხალხის წასახალისებლად თუ ამბიციების დასაქმაყოფილებლად. შევარჩიეთ დგწლმოსილი პედაგოგები. გაიმართა საზემო ცერემონიალი სტუდენტების მონაწილეობით. სიტყვა წარმოთქვა რექტორმა. სამკერდე ნიშანი ჯერ ქალბატონ ნადია შალუტაშვილს გადაეცა. იყო დიდი ოვაცია. ბოლოს ბატონ საშას, როცა მოვიდა მისი რიგი, ქნ ეთერმა დიდის რიხით გამოაცხადა მისი გვარი და სამკერდე ნიშანი გადასცა, მიულოცა, აკოცა.

სიტყვა ითხოვა ბატონმა საშამ.

ჩვენ დიდი ამბით მოვემზადეთ დგწლმოსილი პედაგოგის სამადლო-ბელი სიტყვის მოსამენად.

— ამხანაგებო, მოული ჩემი ცხოვ-

რება ასეთ ბიორობას ვებრძოდი. რა არის ეს ჟეტონი? – თქვა და გაშალა მუშტი, სადაც სამკერდე ნიშანი ედო.

სტუდენტებში ატყდა სიცილი. ნირი წაგვიხდა, მაგრამ ჩვენც გავიცინეთ, იუმორად მიყიღეთ სიტუაციის გასამუხტავად და იმის შიშით, რომ სამკერდე ნიშანი დემონსტრატიულად უკან არ დაებრუნებინა, ეთერმა ხმა-მაღლა გამოაცხადა:

– ბატონი საშას ორიგინალური იუმორი ცნობილია, კრებას დამთავრებულად ვაცხადებ.

ხალხი აიშალა, მაგრამ საშა გაბრაზდა და იყვირა:

– არაფერი სასაცილო არ მითქვამს, მომაშორეთ ეს ჟეტონი, წაიღეთ უკან...

ხალხის სიცილ-ხარხარში „ჩაიფარცხა“ ეს კურიოზული ამბავი.

მეტად რთულია ერთ ჭერქეშ მოქცეული ათასგარი ხასიათის პარმონიზაცია. ამდენი ინდივიდუალობა, ასეთსავე ინდივიდუალურ მიღებობას მოითხოვდა. საბჭოთა კანონები კი ყოველთვის არ იძლეოდა საშულებას დიდ ხელოვანთა ინტერესების გათვალისწინებისა. მაგონდება ასეთი შემთხვევაც: სამოცდაათიან წლებში თენგიზ აბულაძე ინსტიტუტის პედაგოგად მუშაობდა. როცა პირველად მოუიწვიეთ პედაგოგად, რეჟისორული მუშაობა პედაგოგიურ სტაჟში ჩავუთვალეთ და შესაბამისი ხელფასი დავნიშნეთ. მაგრამ შემოწმების დროს ფინანსთა სამინისტრომ ეს დიდ დარღვევად ჩაგვითვალა და რექტორს დავვალა, ზედმეტად გაცემული თანხები რეჟისორის ხელფასიდან დაე-

კავებინა.

რექტორის ბრძანებით ასეც მოხდა. ამის გამო ბატონი თენგიზი განაწყენდა, და განცხადება დაწერა ინსტიტუტიდან წასვლის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეთერისთან მეობრობდა.

„ვინაიდნ თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვიმუშავებ თუ არა თეატრალურ ინსტიტუტში კინოსარეჟისორი სახელოსნის ხელმძღვანელად, გთხოვთ გამანთავასუფლოთ ჩემთვის ამ მეტად საპატიო, სასახლო და სასიამოვნო მოვალეობის შესრულებისაგან. ჩემი წინამდებარე განცხადება ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვეყნებთ, უსიამოვნო გრძნობებს აღვიძრავთ და დამატებით საზრუნავს გაგიჩენთ, კურსის ახალი პედაგოგის მოძებნის თვალსაზრისით, და თუ ეს უკანასკნელი რატომძაც გაძნელდა, ან ვერ მოხერხდა, მე მზად ვარ ჩემს სტუდენტებთან მუშაობა მივიყვანო ბოლომდე, როგორც ეს გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით, მხოლოდ არა როგორც თეატრალური ინსტიტუტის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელმა, თუ უფროს-უმცროსმა მასწავლებელმა, არამედ უბრალოდ, როგორც კინორეჟისორმა და მოქალაქე თენგიზ აბულაძემ – თეატრალური ინსტიტუტის გარეშე და უსასყიდლოდ /ე.ი. უფასოდ/. თ. აბულაძე. 5. III. 1978“.

ეთერის ძალიან ეწყინა, რომ ბატონმა თენგიზმა ვერ გაუგო. მას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო კანონის წინაშე. განცხადება მედამა-

წერა რეზოლუციით: „ახია ჩემზე“...

ბატონი თენგიზის თხოვნა განთავისუფლების შესახებ არ დავაკმაყოფილეთ. ბევრი ვეფერეთ და როგორც იქნა, მუშაობა გააგრძელა.

ჩემს პირად არქივში არაერთი გამოჩენილი ხელოვანის განცხადება ინახება, რომლებიც ინსტიტუტიდან განთავისუფლებას თხოვლობდნენ. ზოგჯერ უბრალო რამის გამო, მაგრამ არც ერთი არ გაუშვიათ.

* * *

წვერიდან სოფელ ღვევამდე ოთხიოდე კილომეტრია. ზაფხულში მოაგარაკე წვერელებთან სოფლელებს გასაყიდად ნაღები, კარაქი, ხაჭო, მაწონი, ყველი და კვერცხი მოაქვთ.

ერთხელ გლეხის ქალს ვკითხე:

— რით მოიტანეთ, ქალბატონო სოფლის ნობათი?

— უკაცრავად ვარ, ბატონო, ვირით მომაქეს, დაბლა მიყენია.

ვირის ხსენებაზე ისე დაიმორცხა, თითქოს რაღაც შეურაცმყოფელი სიტყვა თქვა. მართლა უცნაური ხალხი ვართ ქართველები, რატომ დამკვიდრდა ხალხში სალანძლავ სიტყვად:

— ვირიშვილო!

— შე ვირო!

— ვირის მუშა!

— ვირის ქშმაკა!

— ვირის თავო!

— ვირო მამაძალლო!

და კიდევ სხვა ასეთები.

რატომ?!

იქნებ, იმიტომ, რომ ვირი მომთ-

მენი ცხოველია, ჩვენ კი მოუთშენელნი ვართ?

იქნებ, იმიტომ, რომ ვირი საოცრად შრომისმოყვარეა, ჩვენ — ნაკლები?

იქნებ, იმიტომ, რომ ვირი მორჩილია, ჩვენ — დაუმორჩილებელნი?

* * *

„დღვეუნდელი კვერცხი მიღევნია ხვალინდელ ქათამს“ — ამბობს ქართველი კაცი. სულწასულობისა და მოუთმენლობის სინდრომია ეს თუ პრაქტიკული აზროვნებისა? იაკობ გოგებაშვილი კი ისტორიულ ახსნას აძლევს: ქართველმა არ იცოდა, მეორე დღე გაუთხნდებოდა თუ არა. მეორე დღის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ დღვეუნდელი კვერცხი ერჩია. ეს მაშინ...

დღეს პირიქით უნდა თქვას — ხვალინდელი ქათამი მიღევნია დღვეუნდელ კვერცხსო... ვითომ?!

* * *

დიდი ფრანგი მსახიობი სარაბერნარი იგონებს: ფანჯარასთან ვიდექი და გაცექეროდი გზას. ამ დროს გამოჩნდა მოხუცი მრეცხავი, რომელსაც სარეცხის დიდი ფუთა მოჰქონდა. დაიღალა და ძირს დადო. განიერი ქუჩის მეორე მხარეს უნდა გადასულიყო. გამოჩნდა ვიქტორ პიუგო. მივიდა ქალთან და დაელაპარაკა. მოიხადა ქუდი და ქალს გადასცა ვითომ გასარეცხად. ამილო ფული და მისცა ქალს, მერე ზურგზე მოიკიდა ფუთა და გადაიტანა ქუჩის მეორე

ერთხელ მამამ მითხრა: შეუძლია
ურწმუნო, თქვენი დრო ასეთია, მაგ-
რამ სიკვდილი გაგიჭირდება...
მალე მოვიდა ეს დროც...

* * *

გვიპყრობდა საბერძნეთი? – ჩვენს
ყველა ნაკლსა და უბედურებას მას
ვაბრალებდით.

გვიპყრობდნენ არატები?
ყველაფერს მათ ვაბრალებდით!
გვიპყრობდნენ მონღოლები? მათ
ვაბრალებდით.

გვიპყრობდა ოსმალეთი? მას ვაბ-
რალებდით...

სპარსეთი? – მას ვაბრალებდით...
რუსეთი? – მას ვაბრალებდით...

საბჭოთა იმპერია? – ყველაფერს მას ვაბრალებდით, და ასე ჩამო-
ყალიბდა ერის ფსიქოლოგია თვისი უბედურების სხვაზე გადაბრალებისა...

და როცა მეოცე საუკუნეში ორ-
ჯერ დამოუკიდებელი გავხდით, ორ-
ჯერ თავისუფალნი და „ჩვენი თავი
ჩვენადვე გვეყუდნოდა“, – ერთმანეთი
ვედარ ავიტანეთ და ქართველებისაც
მეთაურობით სამ წელიწადში დაემხო
დამოუკიდებელი საქართველო.

დამოუკიდებელი საქართველოს მე-
თაური ემიგრაციაში გარდაიცალა...

საუკუნის ბოლოს მეორუჯვერ კახ-
და დამოუკიდებელი საქართველო და
ისე დაერია ქართველობა ერთმანეთს,
რომ ატყდა სამოქალაქო ომი. პირვე-
ლი (ანუ მეორე) პრეზიდენტი განდვე-
ნილი იქნა საქართველოდან და ოვით-
მკვლელობით დაამთავრა სიცოც-
ხლე...

მესამე პრეზიდენტი ვადაზე ადრე

მხარეს. ქალს გაუღიმა და გაშორდა.
მეორე დღეს მას ვუამბე, რაც
დავინახე. მითხრა, ბედნიერი მაშინ
ვარ, თუ პატარა ქვეღმოქმედებას
მაინც გავაკეთობო. გადავჭვიერ, გადავ-
კოცნე და მისი „რუი ბლაზის“ რეპე-
ტიციაზე წავედი...

მორალი: სიკეთე არ იმალება,
ფანჯრებიდანაც ჩანს.

ნუოუ?!...

* * *

აღმოსავლური სიბრძნეა: შენს
თვეს შორიდან, სხვისი თვალით, შეხე-
დე, გაუღიმე და უკეთესი გახდები.

* * *

90 წლისა რომ გახდა დედაქემი,
სულ დაპატარავდა. ბუმბულივით
მსუბუქი გახდა, ისე მჩატედ დადიოდა,
თითქოს სხეულს არ ატარებდა, დაფ-
რინავდა და მაინც სულ მიწას არ
შორდებოდა, ხელს არ აჩერებდა, ხან
თუსავდა, ხან რგავდა, ხან რა საქმეს
იგონებდა და ხან – რას. სულ ღილი-
ნებდა თვისითვის, თითქოს ეფერებოდა
მიწას, რომელიც მას თავისკენ იზი-
დავდა. დედაც თითქოს ემზადებოდა
მიწასთან შესაერთოებლად. წარამარა
ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა
ღილინით „მიწა ხარ და მიწის შეილი“...

– კი მეუხერხულება, მაგრამ
ცოტა ხანს კიდევ მინდა გიყუროთ,
ცას კი არ გამოვეკერები, წავალ, აბა,
სულ აქ ხომ არ ვიქნები... – თითქოს
მობოლიშებით მითხრა.

დედას სწამდა იმქვეყნიურის
არსებობისა და ამიტომ ადვილად
ლაპარაკობდა საიქიოში წასვლაზე.

იძულებით გადადგა.

ასე მგონია, რომ ქართველ ხალხში სამუდამოდ ჩაკვდა ეროვნული სახელმწიფო ებრძივი ცნობიერება. ჩაკვდა კანონის უზენაესობის იდეა...

ღრმად და სამუდამოდ დააგადდა თვისი ნაკლისა და უბედურების სხვა-ზე გადაბრალების სინდრომით...

ვერ მოვიცალე სევდისათვის. დილიდან საღამომდე დაკავებული ვარ. ვწუწუნებ კიდეც ასეთი გადატვირთულობის გამო.

ერთმა თანამდებობის პირმა მამას შესჩივლა:

— ძალიან დაკავებული ვარ, ყველა რაღაცას მთხოვს...

— ბედნიერი ხარ, სანამ სჭირდები ხალხს... უბედურება მერე ნახე, როცა არავის არ დასჭირდები.

მაგონდება აკაკი ხორავას საშინელი ფრაზა:

— როგორ ბრძანდებით, ბატონო აკაკი? — ვკითხე.

— რას ვიზამ, მივჩერებივარ ტელეფონს, იქნებ, ვინმემ დამირეკოს...

აკაკი ხორავა და ასეთი მარტოობა!

„ლეჩომისინატში“

დემნა შენგელაია საოცრად მოძრავი და ფიცხი კაცი იყო. ფართო ერულიცის, მისი პირველი გამოსვლა იყო მძაფრი, ზოგჯერ სკანდალური. მწერალთა კავშირში ხშირად შევსწრებივარ ასეთ სანახაობებს. დიდი ბედნიერება იყო მწერლების გვერდით ყოფნა. ვუყურებდი გალაკტიონს, კ.

გამსახურდიას, ლ. ქიაჩელს, გ. ლეონიძეს, ი. გრიშაშვილს, გ. ქიქოძეს, ს. ჩიქოვანს და სხვებს. აქ ტრიალებდნენ ა. კალანდაძე მ. ლებანიძე, ი. ნონეშვილი, რ. მარგარიანი და სხვები. უფრო ახალგაზრდები — ნ. დუმბაძე, მ. მაჭავარიანი, შ. ნიშნიანიძე, ჯ. ჩარგვიანი, გ. ფანჯარიძე, რ. ინანიშვილი, ა. სულაკაური, მმები ჭილაძები და სხვები.

რა საოცარი სიმდიდრე იყო...

როცა დემნა შენგელაიას რომელიმე ორატორის სიტყვა არ მოწონებოდა, რეპლიკას ტყვიასავით ესროდა.

— რას ლაპარაკობ, შანშიაშვილო? — იყვირებდა დარბაზიდან.

— შენ რაღა გინდა, კაცო?!

— შანშიაშვილო, ვინაა შენიკაცო?!

— კაცი არა ხარ? მაშ, რა უნდა გიწოდო?...

— წესიერად ილაპარაკე, კახელო, მე დემნა ვარ, შენგელაია... კარგად შემომხედე!

— დიდი ვინმეც ხარ! — უპასუხა სანდრომ.

ერთხელ მიხეილ მრევლიშვილმა და დემნა შენგელაიამ ცხარედ იკამათს. ბატონი მიხეილი კახურად დინჯა, გაწონასწორებული კაცი იყო, მაგრამ ერთხელ არ ვიცი რა მოხდა, მწერალთა კავშირის კიბეზე დემნას უყვირა:

— დემნა, იცოდე, შენს „წითელ ყაყაჩოს“ ცალ-ცალად დავაძრობ უურცლებს...

/ლაპარაკი იყო დემნას ახალ რომანზე „წითელი ყაყაჩო“/.

დემნამ ვერაფერი უპასუხა.

1977 წლის დეკემბერში სააკადემიულომში ვიწერი. დ. შეგელაიაც სააკადემიულოში იწვა. „ღრმქომინატის“ ფორმით ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ის დღეები დღიურში ასე ჩამიწერია: „დ. შენგელაიას ცალ ყურში ცუდად ესმის. მთხოვს, რომ ხმამაღლა ველაპარაკო. ისედაც ხმამაღლი ლაპარაკი ვიცი და კიდევ უფრო აუზებუნებს ხმას, რაღაც ვეირილის მსგავსი გამოვა, მაგრამ მეტი რა გზაა. თავდასაკმაოდ ხმამაღლა მელაპარაკება.“

— ვასო, ქართული ლიტერატურა ხელახლაა წასაკითხი. არ შეიძლება მისი შეფასება ე. ნინოშვილის კლასობრივი თვალით სოციალურმა და კლასობრივმა პოზიციამ დააქინინა ქართული ლიტერატურა. ვაჟა, ილია, აკაკი — ხელახლაა წასაკითხი. აბა, რასა ჰგავს, რომ დასცინიან ლუარსაბსა და დარეჯვანს. რა აქვთ დასაცინი, არის ორი პრიმიტივი, მაგრამ ძალიან თბილი, კოლორიტი ადამიანი. აქვთ თავიანთი სამყარო, არავის არ აწესებენ, ვის რას უშავებენ? მერე რაა, რომ გემრიელი საჭმელი უყვართ და ბევრს ლაპარაკობენ ჭამაზე, აბა, სხვა რა უნდა გააკეთონ, თავადები არიან, გლეხები მუშაობენ, თავადები ჭამენ. ასე დაუწესებია ღმერთს, ასე იციან...

ბატონ დემნას ვუსმენ, ნაკლებად ვერვი საუბარში. საინტერესო მოსაუბრეა, ცოცხალი აზრები აქვს. განათლებული მწერალია, „საანაკარდოს“ ავტორი თავის დროზე მოღერნისტი გახლდათ.

უცებ მეუბნება:

— უშანგი ჩეხიძე მსახიობზე მცირდები იყო. იწვოდა ფანატიკურად, რაღაც შიგნიდან, უალოდ, ტემპერამენტის ცეცხლით იწვოდა... საოცარი იყო. უშანგის საღამოზე მოგონებით გამოვიდა სერგო ზაქარიაძე. თქვა, რომ ერთხელ თეატრში უშანგი მხრებზე აყვანილი მოიყვანა. რა უტაქტო ხალხი ვართ, უშანგიაზე შეტი ვერაფერი მოიგონა? ისე, სერგოც დიდი მსახიობი იყო. ვასო, როგორ ფიქრობ, დამოუკიდებლობას როდესმე ეღირსება საქართველო? მე ვერ მოვესწრობი, იქნებ, ჩემი შვილები მოესწრონ...

დემნა 80 წლისა, მე — 48 წლისა. ესეც „ჩვენ“ 14.XII.

,,25.XII.77 წ. ბატონი დემნა ფოიეშია. ნერვიულად წრიალებს. დამიძახა, პირდაპირ მომახალა, თითქოს ჩემზე იყო დამოკიდებული საკითხის გადაწყვეტა.

— ვასო, სერგო ორჯონიკიძეს ასე უნდა შერჩეს ველაფერი?...

— თავი ხომ მოიკლა!

— მისი თავი ვის რა ჯანდაბად უნდა, საქართველოს რა უქნა, სულელმა ფერშალმა არ დაგვდუპა? შემოუძღვარუსებს...

— პო... ქართველებმა დაამსეს დამოუკიდებელი ქვეყანა! — ვეუბნები მე.

— ის სტალინიც კაი იყო, რუსეთში ვერ მოისვენა, სანამ საქართველო არ დააპყრობინეს.

დემნა დიდხანს მელაპარაკებოდა საქართველოს დაქცევაზე“.

ბუში ქართველია!!!

ამას წინათ, ე.ი. 2004 წლის 10 თებერვალს, დელისის მეტროდან



ამოვდიოდი. ჩემს წინ ორი ასაკოვანი ქაცი მიღიოდა. მომესმა მათი საუბარი.

— ხომ იცი, ამერიკა ამდენს რატომ გვემარება?! — უთხრა ერთმა მეორეს.

— კი, ვიცი, ბუში ჩვენი ქართველი რეჟისორის შეიღლი ყოფილა...

— ხომ გახსოვს, გაზეთში წერა, ჩვენს რეჟისორს ბუში პყოლია ამერიკაშიო...

— ვითომ, მართალი იქნება?...

— გურამ ფანჯიკიძე ტყუილს რატომ იტყოდა, გაზეთში წერა, მაგრამ რეჟისორის გვარი აღარ მახსოვეს.

— ამერიკაში ნაცხოვრება და ანდერძი დაუტოვებია, ჩემი შვილია ბუშიო...

გამეცინა. მინდოდა გამოვლაპარაკებოდი და მეთქვა, რომ ტყუილი იყო, მაგრამ მალევე გადავიწიქრე. სულ ერთია, ქართველს მაინც ვერ დააჯერებ, რომ მსოფლიოში ცნობილი დიდი კაცის ძარღვებში ქართული სისხლი არ ურკვია.

მახსოვს, მეორე მსოფლიო ომის დროს, პიტლერსაც გამოუძენეს ქართველი სიძე, ვითომ აგერ, ჩვენი რაჭიდან იყო. ვითომ რაკი სიძე ქართველი პყავდა, ქართველებს არაფერს არ დაუშავებდა. როგორც ჩანს, პატარა ერების თვისებაა განდიდების მანია...

ბუშის ამბავი კი ასე იყო: გურამ ფანჯიკიძემ „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოაქვეყნა იუმორისტული ხასიათის წერილი. გურამი წერდა, რომ რეჟისორმა კ. ყუშიტაშვილმა, რომელიც ამერიკაშიც მუშაობდა,

თითქოს სიკვდილის წინ მე ვაჲსო კიკნაძეს, გამანდო საიდუმლო, რომ მას ამერიკაში პყავდა ბუში შვილი. ნიჭიერი ბაჭიაო, ნამდვილად დიდი კაცი გახდებაო, ვითომ ჩემთვის უთქვამს ბატონ ვასო ყუშიტაშვილს. გურამი წერდა, რომ ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი /მამა/ ჩვენი რეჟისორის შვილიაო.

გურამ ფანჯიკიძეს წინასწარ გაფრთხილებული არ ვყავდი, თუ ასეთ რამეს წერდა. დაუურეკე.

— გურამ, რატომ არ გამაფრთხილე, როცა ასეთ სახუმარო ამბავს წერდი?

— რა გაფრთხილება გინდოდა... მაინტერესებს, ჩვენს ხალხს იუმორის გრძნობა ხომ არ დაუარგავს...

მეორე დღეს ატყდა ჩემს ტელეფონზე რეკვა, მაგრამ რა ატყდა! ეუბნებოდი, რომ ხუმრობა ტყუილი იყო. ვის ატყუებო, არაფერი ხუმრობა არ არის! — მეუბნება ერთი.

— რატომ უმაღლავდით ხალხს ასეთ კარგ ამბავს! — მეუბნება მეორე.

მესამე, მეოთხე და ვინ მოთვლის რამდენი რეკვადა. საოცარი ის გახლდათ, რომ უმრავლესობას არ უნდოდა სიმართლე დაეჯერებინა. როცა ვეუბნებოდი, რომ გურამმა იხუმრა, აღშფოთებას ვერ მალავდნენ ჩემი მისამართით. იმდენად მოსწონდათ ტყუილი, არ სურდათ სიმართლისათვის თვალი გაესწორებინათ.

მართლაცდა, საოცარი ამბავია. ხშირად აუხსნელიც კი არის, რატომ გვინდა ყველა დიდი ადამიანი რაღაცით მაინც იყოს საქართველოსთან დაკავშირებული? და ეს მაშინ, რო-

დესაც ჩვენთან ვერ ვიტანთ დიდ ადამიანებს!

ჩვენში ყველა დიდ ადამიანს სიცოცხლე პქონდა გამწარებული...

„გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“

ეს ამბავი ჩემს სოფელში მოხდა. ხმა დაირხა, წყალტუბოში სტალინი ისვენებსო: მერე ისიც თქვეს, შეიძლება ჩვენს სოფელშიც ჩამოვიდესო.

ერთ დღეს, მართლაც მთელი სოფელი ერთ-ერთი გლეხის ოჯახისაკენ დაიძრა, სტალინი ჩამოსულაო. მეც წავედი დიდი ბელადის სანახავად. შევედი ეზოში, სადაც უკკე ხალხი შეკრებილიყო. დავინახე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სტალინი. აღტაცებული და ბედნიერი ვიყავი, რომ სტალინი ვნახე.

სოფელში ერთი მეტიჩარა ქალი იყო. „ყველაფერში პირველობა უნდოდა. უცებ გაოფლიანებული მოვარდა, ეტყობოდა ერბინა, გასწიგამოსწია ხალხი, შეიჭრა შუაგულში, ასწია ხელი და სამხედრო წესით „ჩესტი“ აუღო სტალინს.

— გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!
— ისე იყვირა, თითქოს გენერალი იდგა ჯარისკაცების წინ.

— გაუმარჯოს! — გაისმა ხალხის ხმა...

„სტალინს“ გაეღიმა და ქალს ხელი ჩამოართვა. მალე გაირკვა, რომ სტალინი კი არა, უგნატაშვილი იყო, კრემლის კომენდანტი, რომელიც წყალტუბოში ისვენებდა და სოფლად კამეჩის საყიდლად ჩამოვიდა. კამეჩის რძე უნდა ესვა. ხალხმა მაინც არ

დაიჯერა, რომ ის სტალინი არავისული, მართლაც, გაჭრილი ვაშლიფით ჰგავდნენ ერთმანეთს სტალინი და უგნატაშვილი.

ამბობდნენ, უგნატაშვილი მისი მმა არისო...

სოცრეალიზმი...

საბჭოთა ქვეყანაში შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმის დოქტრინა იყო გამეფებული, მაგრამ სინამდვილეში არავინ არ იცოდა მისი არსი. ათასი შრომა იწერებოდა, მაგრამ მასავით ბუნდოვანი. უბრალოდ, ყველაფერი, რაც შეკვერად საბჭოური იღეოლოგიის გამომხატველი იყო, სოციალიზმის ნაწარმოებებს უწოდებდნენ.

ასეთ კურიოზულ ამბებსაც ჰყვებოდნენ:

ერთხელ შევიცარიას წწვდა ყველაზე დიდი საბჭოთა მწერალი მიხეიილ შოლოხოვი. მაშინ მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა ა. ფადევვი, რომლის „ახალგაზრდა გვარდია“ სოცრეალიზმის გამარჯვებად მიაჩნდათ. მიხეიილ შოლოხოვს თურქეულობა კორესპონდენტმა ჰკითხა:

— თქვენ რუსეთის ყველაზე აღიარებული მწერალი ხართ რა არის სოცრეალიზმი? შოლოხოვმა თურქეუპასუხა:

— ერთხელ ჩვენი მწერლების კავშირის თავმჯდომარეს აღ. ფადევვს ვკითხე: აღექსე! ნუ ხარ ღორი, შენ რომ იცი, მეც მითხარი, რა არის სოცრეალიზმი?

— მიხეიილ, გეფიცები ყველაფერს, რომ ვიცოდე, როგორ დაგიმალავდიო.

უცხოეთში ატყვდა ერთი ამბავი. მაგრამ შოლოხოვს რას უზამდნენ?

აი, ასეთი იყო სოცრეალიზმი, რომელსაც ყველა ემორჩილებოდა.

რუსთაველის თეატრში ჩემი მუშაობის დროს, გადავწყვიტე გულახდილად მესაუბრა ბატონ აკაკი ხორავასთან მისი ოტელოს შესახებ. შვათანხმდით დავთქვით შეხვედრის დღე. შეხვედრის დროს მოვიმარჯვე საწერკალამი.

— შენ რა, ჩემი საუბრის ჩაწერას აპირებ?! — მითხრა გაოცებულმა ხორავამ.

— დიახ, მინდა ჩავიწერო ბატონო აკაკი!

— რად გინდა? უნდა გამოაქვეყნო?

— არა, ისე, ჩემთვის მექნება, ჯერ არქეოში, მერე ვნახოთ...

— კარგი, კარგი, რა გაინტერესებს?

— იაგოს ასე ძლიერად რატომ სძულს ოტელო? თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ხომ იცი კეთილისა და ბოროტის ბრძოლის მუდმივობა? ეს მარქსისტული ოქორით...

— ბატონო აკაკი, მარქსიზმი რა შეაშია? — შევაწყეტინე სიტყვა.

— ვასო, ჩვენი მეთოდი სოციალისტური რეალიზმია, პოდა... მისი მომარჯვებით.

— ბატონო აკაკი, მე თქვენთან სხვა საუბარი მინდა, პროფესიული, გულახდილი. თქვენ ოფიციალურად მელაპარაკებით. ასე მინდა...

— კალამი რომ გიჭირავს და იწერ, ჯ არის ოფიციალური? — მითხრა ღი-

მილით. მეც გავიღიმე. კალამი დავდავ.

— რაღაც არ გამოდის ისეთი საუბარი, მე რომ მინდა...

— ჰო, სხვა დროისათვის გადავდოთ...

ვგრძნობ, რომ ბატონ აკაკის გულახდილი საუბარი არ უნდა, მე არ მესმის, რა ხდება მის სულში, მაგრამ მან კი მშვენივრად იცის, რას ნიშნავს ჩაწერილი აზრი.

— ვასო, უნდა გითხრა, რომ ჩვენ, საბჭოთა მსახიობები ვართ, პარტიის ერთგული ჯარისკაცები.

— გასაგებია, ბატონო აკაკი.

ბატონო აკაკი მოიღუშა, ფიქრებში წავიდა...

— ამას შენ ვერ გაიგებ! — ჩაილაპარაკა.

— რას?...

არ მიპასუხა. მართლაც, მაშინ ვერ ახსნიდით, ბატონი აკაკი წელში რატომ იხრებოდა პარტიული ხელმძღვანელებისა და მთავრობის წევრების წინაშე. საქმე იმაში კი არ არის, რომ ბევრი დიდი ადამიანი, გენიოსებიც კი, თავდახრილნი იდგნენ ამა ქვეების ძლიერთა წინაშე. მარტო გენიალური გოეთეს მაგალითიც კარა, რისთვისაც ბეთჰოვენმა „მაგრად მიალანდა“.. ხორავას შემთხვევა კი სულ სხვა იყო, მაგრამ მაშინ არ ვიცოდით ის, რაც დღეს არის ცნობილი, ახლა ყველაფერი ნათელია — გაირკვა რაშიც იყო საქმე. თურმე ადრე ა. ხორავა სენაკის მენშევიკური რაზმის ერთ-ერთი მეთაური ყოფილა, რომელიც იარაღით ებრძოდა ბოლშევიკებს. იგი „კგბ-ს“ აღრიცხვაზე ყოფილა აყვანილი ანტისაბჭოთა

გამონათქვამებისა და მოქმედების გამო.

საბჭოთა სისტემას ინტელიგენციის დაშინების ძლიერი მექანიზმი ჰქონდა. ხოლო ვინც მას მხარს უჭერდა, სახელსაც უქმნიდა და ეკონომიკურადაც ქმარებოდა, მაგრამ პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმა ჩამოყალიბდა ხანგრძლივი, ათასი კატაკლიზმების შემდეგ.

მაშინ, როცა მე ხორავასთან ვსაუბრობდი, ყველაფერი ეს ბურუსით იყო მოსილი. თეატრის კულისებში ხანდახან ჩურჩულებდნენ: „ხორავა მაუზერით ხელში ებრძოდა კომუნისტებს“. ამას ამბობდნენ არა ხორავას საქებრად, არამედ გასაკრიტიკებლად, როცა მასზე ვინმე განაწყენდებოდა, ისე წაიჭორავებდა ხოლმე.

დღეს ადვილია საბჭოთა სისტემაში მოთვინიერებული ხალხის კრიტიკა. აბა, ერთი რომელიმე მათგანი, ვინც მათ რიხიანად აკრიტიკებს, ანალოგიურ სიტუაციაში მოექცენ. მაშინ რა მოხდება? როგორი ვაჟკაცები იქნებიან, ფრჩხილებს რომ დააძრობენ?... რა ბრძნულად არის ნათქვამი: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“.

მარჯანიშვილის უკანასკნელი დაგე

კოტე მარჯანიშვილი მუდამ კონფლიქტებში იყო გახვეული. თეატრის კონფლიქტებმა დაღალა. ერთერთ წერილში პატარა შვილს წერს: „მინდა წავიდე ტყეში და იქ მოვკვდე, სადაც ადამიანებს ფქი არ დაუდ-

გამთ“.

ბევრჯერ გაამწარეს!

თავად კი სიხარულს ანიჭებდა ადამიანებს!

რუსთაველის თეატრში მუშაობის ოთხი წლის შემდეგ მისმა მოწაფებმა აიძულეს თეატრიდან წასულიყო...

1928 წელს შექმნა ახალი თეატრი (სიკვდილის შემდეგ რომ ეწოდა მისი სახელი) და ოთხი წლის შემდეგ პირდაპირ გასამართლება მოუწყეს მოწაფებმა და აიძულეს გასცლოდა თბილისს. მოსკოვში წავიდა. რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. კინორეჟისორმა შოთა მანაგაძემ ქობულეთში ერთად ვისუწიებდით ახეთი რამ მიამხო:

- ქუჩაში მოხუცი კაცი შემხვდა,
- მოტებილი, ღრმად მოხუცი კაცი.
- ვიცანი - კოტე მარჯანიშვილი. მივესალმე, გამიწყრა: ერთი წელია არ გინახივარ. დღეს მოდი ჩემთან აუცილებლად. მივედი. იმავე შენობაში ცხოვრობდა მეიერხოლდიც. ჯერ საუბარი ვერ აეწყო. მორიდებით ვუთხარი: ბატონო კოტე! საქართველოში როდის ბრუნდებით?, - რა დროსია, ჯერ სპექტაკლი არ დამიმთვრება /შილერის „დონ კარლოსს“ დგამდა/. მერე შეწრიალდა, გამოაღო უჯრა, აგერ, ის აიღე, - ხელი გაიშვირა კონვერტისაკნ.

მეც ავიღე კონვერტი.

- გახსენი, წაიკითხე!

წავიკითხე, თბილისიდან, მისი თეატრიდან იყო. შვიდი, თუ რეა მსახიობი ქვერდა ხელს, ლანდღაკანინ კოტეს, თეატრი მიატოვა და გაიქცაო... რას არ წერდნენ... პირდაპირ გავ-

ოგნდი...

— ამის შემდეგ შეიძლება ჩემი დაბრუნება? მე მათგან ეს მეკუთვნის?

წამოდგა და ნაღვლიანი მზერით შემომხედა.

— მეძინება, შენ აქ დარჩები. ოუ ანატოლი ლუნაჩარსკიმ დამირეკოს, გამაღვიძე. მეორე ოთახში დაწვა. დიდი შალი გადავაფარე. მე ვკითხულობდი უურნალებს, დარეკა ა. ლუნაჩარსკიმ. ვუთხარი, რომ ძინავს. არ გააღვიძოთ, დაკიდა ყურმილი. გავიდა ერთი საათი, ისევ დარეკა, გავაღვიძე ბატონი კოტე. ცუდ ხასიათზე იყო, ელაპარაკა, ჩაიცვა, გამოუარა სერგო ამაღლობელმა. მანქანით წავიდნენ, მე დავრჩი მის სახლში. გავიდა დრო. დამეა. ამაღლობელი შემოვარდა სახლში, ყვირის, მომქმარე, კოტე ცუდადააო. ჩავედი, ხელში ავიყვანეთ, ტახტზე დაკწვინეთ, მე თავთან დავჯერი, ამაღლობელმა სასწრაფო გამოიძახა, კოტემ უყურაჩემს ფრჩხილებს, მერე თავის გაყვითლებულ ფრჩხილებს დახედა, კბილები დააკრაჭუნა რაღაც საშინლად, მოვიდა სასწრაფო — წაიყვანეს, მანქანაში ჩემი ადგილი არ იყო. წავედი შინ. გვიან დავურუკე სერგო ამაღლობელს:

— როგორ არის ბატონი კოტე?!...
— გარდაიცვალა!...

საშინლად განვიცადე.

თბილისიდან დელგვაცია ჩამოვიდა. რამდენიმე დღის შემდეგ მოვედი კოტეს სახლში, უჯრა გამოვაღე, მინდოდა ის წერილი ამეღო, მაგრამ აღარ დამხვდა, ვიღაცას წაეღო.

ეს იყო უკანასკნელი შხამი, რომელიც მოწაფეებმა სულში ჩააწვე-

ოს... მარჯანიშვილის გარდაცვალება ბაზე არსებობს სხვა ვერსიებიც, მაგრამ შოთა მანაგაძის ნაამბობი მაშინვე ჩავიწერე და ვფიქრობ, რომ იგი სიმართლეა.

* * *

დღიურიდან: „ქობულეთი. 1974. მარცხნა შხარეს ოდნავ ლირიულად მჩხვლეტს. იცის ალბათ, რომ ლირიული კაცი ვარ. სტუდენტები მომენატრნენ. როცა მათ ვუყურებ — ზოგჯერ ისეთი განცდა მეუფლება, რომ მინდა მფიდე, გადავჭვიო, ვაკოცო და ვუთხრა:

— შენ არ იცი, რა ბედნიერი ხარ!...
ჭრიჭრინობლების გალობა წმინდა და გახსენება ბავშვობის ჩემის,
ახალგაზრდობის სიცოცხლე
მინდა

და დღვერძელობა მათთ

გამჩენის...

— ეს ლექსია? — მაშინ ნამდვილი პოეზია რაღაა?...

სევდა შემომაწვა. რა საშინლად გამოიყურებიან პენსიონერები, რომლებიც ღიაპებგადმოყრილები დადიან სანატორიუმის ეზოში, ეტყობა, სილამაზეც პენსიაზე გასულა. ბარათაშვილი ამბობდა, — სილამაზე ნიჭია მხოლოდ ხორციელებისო. მერე ეს ცოტაა ტატო? ღვთაებრივი საჩუქარია, — დრო კი მალე ართმევს ადამიანს ამ საჩუქარს...

გულის არეში თანდათან იზრდება ტკივილი, როგორც იჭვიანობა შეევარებულთა, — ხომ არ მღალატობსო. ნუთუ, ჩემი გულიც მიღალატებს?

მიღალატებს და ახია მაგაზე, —



„სამარე გაასწორებს?“...

* * *

ერთხელ გაზეთში წავიკითხე, თუ როგორ მიიღო რუსთაველის თეატრის კატეგორიის გარეშე თეატრის სტატუსი, რომელიც სერგო ზაქარიაძის სახელს უკავშირდება. არასწორი ინფორმაცია იყო. მე უშუალო მონაწილე ვიყავი /როგორც კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების უფროსი/, თუ როგორ გადაწყდა ეს საკითხი. ამიტომ უნდა დამთავრდეს ზღაპრები, რომელსაც ამასთან დფაკუშირებით ჰყვებიან.

სინამდვილე ასეთია: საქართველოს ცკ-ს პირველმა მდივანმა ვასილ მეუანანაძემ სერგო ზაქარიაძეს უთხრა: ღ. ბრეჟენევი აღტაცებულია შენი „ჯარისკაცის მამით“ მითხრა, მინდა სერგო ზაქარიაძეს შევხვდეო.

დღედღეზე შეიძლებოდა მომხდარიყო შეხვედრა. ბატონ სერგოს ლეონიდ ბრეჟენევისათვის უნდა ეთხოვა, რომ რუსთაველის თეატრი გადაეყვანათ კატეგორიის გარეშე. ასეთი თეატრები კი მხოლოდ მოსკოვში იყო /შაგ. სამხატვრო თეატრი, ვახტანგოვის სახ. თეატრი/, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ხელფასების გაზრდა. მოშადდა შესაბამისი მასალები, მზადებაში ჩართული იქნა საკავშირო კულტურის სამინისტროც. ბატონ სერგოს ვთხოვთ, თუ საშუალება მიეცემოდა, როგორმე რაიონული თეატრების მსახიობების ხელფასებზე ჩამოვალო სიტყვა.

ბატონი სერგო მალე გამოიძახეს ბრეჟენევთან. მოსკოვიდან დაბრუ-

ნებულმა ზაქარიაძემ მინისტრის ადგილის ბატონ აკაკი დგვლიშვილის კაბინეტში ასეთი რამ გვიამბდო:

— სასტუმრო „მოსკოვში“ ველოდებოდი გამოძახებას. მოვიდა გენერალი და წამიყვანა, გავიარე ერთი ოთახი, მეორე, შემიყვანეს დიდ მოსაცდელ დარბაზში. მიღებაზე იცდიდნენ გენერლები, მინისტრები, საოლქო კომიტეტის მდივნები, დიდი ხალხი. როცა მე დამიძახეს, უქხე წამოდგნენ და მომესალმნენ. „ატეც სალდატაო“ იძახდნენ. ბრეჟენევის თანაშემწებელ გამაფრთხილა, მხოლოდ ათი წესი გაჩერდებით.

გაიღო ბრეჟენევის კაბინეტის კარი და შევედი. იგი მაგიდიდან წამოიდგა და შემეგება. გადამეხვია, გადამეოცნა, საქარძელზე გვერდით დამისვა, მაქო, მაგრამ რა მაქო, მამაჩემს მავრნებო. ყველა საპატიო უცხოელს „ჯარისკაცის მამას“ ვაჩვენებთ ხოლმეო. დიდხანს მესაუბრა, ბოლოს მკითხა.:

— რამე სათხოვარი ხომ არა გაქვს?

— რუსთაველის თეატრის მსახიობებს დაბალი ხელფასები აქვთ... თეატრი მსოფლიოში ცნობილია... კატეგორიის გარეშე რომ გადავიყვანოთ, ეშველებათ...

— მე თანახმა ვარ, გაამზადონ დოკუმენტაცია და მოგიწერთ ხელს. შემდეგ კურადღება მიაქციეთ, საგვამო კომიტეტში არ შეგიამციროთ.

გადავუხადე დადა მადლიბა. ქერი რაიონის თეატრების მდგომარეობაც შევაბარე. მითხრა, ვიცი ეუ ამბავი, მაგრამ ჯერ საშუალება არა გვაქვსო.



უფრო დაბალხელფასიანი ხალხი გვივს მისახედით.

ამ წუთზე ბევრად მეტი დრო გავიდა. წამოვიწიე ასაღომად. მკლავზე მოქიდა ხელი და მითხრა: — გაგაფრთხილეს, რომ მალე გამოდიო, არა?... ახლა შესვენება დაიწყო, ეს ჩემი პირადი დროა... ერთხანს კიდევ დამტოვა.

როცა ბრეჟნევის კაბინეტიდან გამოვედი, მისაღებში ხალხი გაოგნებული მიყურებდა ამდენ ხანს რომ დავრჩი გენერალურ მდივანთან, ორმოც წუთზე მეტხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი. ბრეჟნევის შემდეგ კულტურის მინისტრ ფურცელასთან წავდი, მელოდებოდა. ვუამბე კველაფერი. გადაწყდა, რომ მომზადებულ დოკუმენტს იმავე დღეს მიეცემოდა შესაბამისი მსვლელობა.

ამ ამბის შემდეგ გავიდა დრო. ბრძანებულება იგვიანებდა, ღელავდა თეატრი. ღელავდა ბატონი სერგო. გაირკვა, რომ პროექტი სუსლოვთან იყო გაჩერებული. სუსლოვი კი საშინელი ანტიქარიული განწყობილების კაცი იყო. ვერ იტანდა საქართველოს. საქმეს საშველი რომ არ დაადგა, ვ-მეავანაძემ კარგი რამ მოიფიქრა: ბრეჟნევი ჩადიოდა ბაქოში. მეავანაძემ ს. ზაქარიაძე გაგზავნა ბაქოში, რათა აეროდრომზე დახვედროდა ბრეჟნევს. შეხვედრის დროს სერგოს უნდა ეთქვა, რომ მთელი საქართველო მისი მადლიერია, რადგან რუსთაველის თეატრს დაქმარა. მართალია, ჯერ ბრძანება არ მოსულა, მაგრამ ალბათ, მალე მოვა, მთავარია, რომ ხალხმა იცის თქვენი სიკეთის ამბავიო. ასეც

მოხდა. დადგმულმა სცენატორმა გაამართლა. როცა სერგო დაუნახავს, ბრეჟნევი მისკენ წასულა და გადახვევია. სერგოს უხელოთია დრო და მადლობა გადაუხდია ქართველი ხალხის სახელით. ბრეჟნევს ძალიან ესიამოვნა თურმე, უსათუოდ მოვიკითხავ, გადაწყვეტილებამ აქამდე რატომ დაიგვიანაო.

მართლაც, მალე მოვიდა ბრძანება რუსთაველის თეატრისათვის კატეგორიის გარეშე თეატრის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ბატონი სერგო ვეღარ მოესწრო მის მიერ მოპოვებული ხელფასის მიღებას.

თეატრმა პირველი ხელფასიდან ფული შეაგრივა საფლავის კეთილმოწყობისათვის. ქართველებმა მკვდრების დაფასება უფრო ვიცით, ვიდრე ცოცხლისა!...

სახელოვანი ლიცეუმი

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ორი ლიფტი მუშაობს. ერთი ძველ კორპუსში, მეორე – ახალში. ახალი ამ ოცი წლის წინათ გაკეთდა, როცა შენობა კულუტრის სამინისტროს ეკუთვნოდა, შემდეგ შენობა თეატრალურ ინსტიტუტს გადაეცა. პირველი ლიფტი კი დიდი ხნის წინათ გაკეთდა. საოცარი ორგანიზაციული ნიჭის კაცი იყო აკაკი ფაღავა. მისი პროტექტორის დროს გაკეთდა ეს დიდი საქმე, მაშინ იშვიათი ხილი იყო ძველ შენობაში ლიფტების გაკეთება.

ერთ დღეს ხმა დაირჩა, აკაკი ფაღავას ხსნიანო.

— რატომ, რას ერჩიან? —

ვეკითხებოდით ერთმანეთს.

— ფედერალისტი ყოფილა — თქვა მაგანძა.

— რა შუაშია ფედერალისტობა, ახლა გაიგეს?...

— ახლა გამოუჩრიკეს, ლიფტიან დაკავშირებით?...

— ლიფტი რაღა შუაშია? — ვკითხულობდით გაოცებულები.

— ცენტრალურ კომიტეტში უჩივლიათ, დაბერდა, კიბებზე სიარული უჭირს და სახელმწიფოს ხარჯზე თავისთვის გაიკეთა ლიფტიო.

შეიქმნა სამინისტროს კომისია. დატრიალდნენ მაბეჭლრები. ფალავა უაღრესად პატიოსანი კაცი იყო, სამეურნეო საქმებში მეტად პუნქტუალური. ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი. დერეფანში შევხვდი ბატონ აკაკის, დაღონებული მეჩვენა.

— ბატონ აკაკი, როგორ არის საქმე? — ვიკითხე თანაგრძნობის ნიშნად.

— როგორც იყო!...

ვერ მივუხვდი აზრს, შემატყო.

— ბიჭო, ვერ გაიგე?... როგორც იყო, ისევე დარჩა, ახალი რა იქნება, აგრ არის ლიფტი...

— რევიზიას რაღა უნდოდა?

— მიჩივლეს მთავრობაში, ფედერალისტის ლიფტიაო... ლიფტი შეიძლება იყოს პარტიული?...

თქვა და გაიღიმა.

როცა ლიფტში ვჯდები, ყოველთვის მაგონდება აკაკი ფალავა და ვლოცავ ლიფტის გაკეთებისათვის. მართლაც რა ივლიდა იმ სიმაღლეზე. კაცი აკეთებდა საშვილიშვილო საქ-

მეს, მომავალს უტოვებდა, მაგრავის მაინც უჩივლეს, გული ატკინებს...

არც ახალი ლიფტის ამბავია სასიხარულო. მაშინ კულტურის მინისტრი ბატონი ოთარ თაქთაქი-შვილი იყო. როცა ინფარქტი დაემართა, სართულებზე ასვლა მართლაც უჭირდა. მთავრობამ იცოდა ოთარ თაქთაქიშვილის ფასი, გამოიჩინა პუმანურობა და ლიფტი გააკეთეს. როგორც კი ლიფტი გაკეთდა, ჯერ კომპოზიტორები ახმაურდნენ — საკუთარი ლიფტი გაიკეთაო, მერე, ვისაც ბატონი ოთარისაგან რამე ეწყინებოდა, ლიფტის ამბავს წამოაყვედრებდნენ — ის როგორია, სახელმწიფოს ხარჯზე თავისთვის ლიფტი რომ გააკეთებინაო.

ასე რომ, ლიფტებსაც აქვთ თავიანთი ისტორია.

ლიფტები მუშაობენ, კეთილადემსახურებიან ასობით ადამიანებს.

მის შემქმნელს კი გული ატკინეს.

ეტყობა უმაღლერობას საერთოდ არა აქვს საზღვარი...

კანონის უზანავსობა?!...

ფილოსოფოს შერაბ მამარდა-შვილის აზრით, ევროპელობასა და აზიელობას შორის განსხვავება კანონისადმი დამოკიდებულებაშიათ.

ევროპელისათვის კანონი უზენაესია.

აზიელისათვის უზენაესია კანონისადმი დამოკიდებულება...

გამოდის, რომ ჩენენ ამ მხრივ ტიპიური აზიელები ვართ. მთავარია ჩემი დამოკიდებულება კანონისადმი, ანუ კანონის ჩემეული ინტერპრეტაცია.

კომუნისტური სისტემის აღზე-
ვების ქამს, ანუ ჯერ კიდევ სტალინის
სიცოცხლეში, რუსთაველის ოქტომბი
ასეთი ფაქტი მოხდა: დასში იყო
მსახიობი ჩიტიშვილი. უბრალო, უწ-
ყინარი კაცი თითქმის სულ მასობრივ
სცენებში თამაშობდა. აქა-იქ ეპიზო-
დურ როლებსაც ასრულებდა, მაგრამ
რასაც რეჟისორი დაავალებდა, პატი-
ოსნად ასრულებდა. შტატების შემცი-
რებისას დირექტორმა ხორავა ჩიტი-
შვილი გაანთვალისუფლა. ჩიტიშვილმა
სასამართლოში იჩივლა.

სასამართლოშე გამოცხადდა ბა-
ტონი აკაკი ხორავაც.

— მე უსამართლოდ მომხსნეს
სამსახურიდან! — თქვა ჩიტიშვილმა.

— რატომ გგონიათ, რომ უსა-
მართლოდ? — პიონერა მოსამართლემ.

ბატონმა აკაკიმ თქვა თურმე:
თეატრისათვის არაფერი მნიშვნე-
ლობა არა აქვს ჩიტიშვილის ყოფნას.
ვერ კიყენებთ, სულ „მასოუკებშია“,
რად მინდა ასეთი მსახიობი...

მაშინ აკაკი ხორავას განუზომე-
ლი აუტორიტეტი ქვენდა. ვინ გაუბე-
დავდა სიტყვის შებრუნებას. მძიმე
დღეში ჩაყარდა მოსამართლე.

— ამხანაგო მოსამართლევ! მე
აგერ მაქვს დოკუმენტი, რომ თეატ-
რისათვის საჭირო ვარ, რაც მევალება,
მას პირნათლად ვასრულებ! — უთხრა
ჩიტიშვილმა.

— წარმოიდგინეთ, რა დოკუ-
მენტია!...

ჩიტიშვილმა წარმოუდგინა ორი
რეცენზია სპექტაკლებზე, სადაც იგი
ეპიზოდსა და მასობრივ სცენაში თამა-
შობდა. მოსამართლემ ხმამაღლა

წაიკითხა, რაც წერა ჩიტიშვილმა
„მასობრივ სცენაში ჩიტიშვილი ხელს
უწყობდა სპექტაკლს“...

მეორე — „ჩიტიშვილი დამა-
ჯერებელი იყო ეპიზოდურ როლში“...

თურმე მოსამართლეს ნირი
წაუხდა. შწუხებული სახით მიმართა
ბატონ აკაკის.

— გამოდის, რომ ჩიტიშვილი თა-
ვის მოვალეობას ასრულებდა, ხელს
უწყობდა სპექტაკლს...

— დიახ, ამხანაგო მოსამართ-
ლევ!... რაც დამაფალეს, ის გავაკეთე,
ხელი შვეუწყე წარმოდგენას...

ბატონ აკაკის დაუწყისა მაღალ
მხატვრულ პრინციპებზე ლაპარაკი.
ჩიტიშვილმა თურმე გაბედა და აკაკის
შეკადრა:

— ბატონო აკაკი! მეტს რას მთხო-
ვო, ხელს ვუწყობდი სპექტაკლს?!...

— ევ არ გმარა!...

— მოყარ როლებს მე არ მაძლევთ,
რასაც მავალებთ, პატიოსნად ვასრუ-
ლებ — უპასუხა ჩიტიშვილმა.

სასამართლომ აკაკი ხორავას
მიერ მოხსნილი მსახიობი ჩიტიშვილი
სამსახურში აღადგინა, სამსახიობო
მოვალეობის კეთილსინდისიერი შეს-
რულებისათვის.

რუსთაველის თეატრში, ოფიციალუ-
ანგლოზე ისე ყველოდნენ ჩიტი-
შვილის გამარჯვების შესახებ.

— რა მექნა, მომერია! — ამბობდა
ხორავა.

ვარდების მურდი

თურმე ვარდებსაც აქვთ თვითი ბერძნობა. მას ხან შეფვარებულს მიართ-
მევნ, ხან მიცვალებულის ცხედართან



მიიტანენ, ხან ვისთან და ხან – ვისთან მიიტანენ. ყოველ მიტანას თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს. თავისი სიხარული და სევდა.

არასოდეს არ დამაჯიწყდება გარდებთან დაკავშირებული ერთი უცნაური შემთხვევა. მეცხრე კლასის მოსწავლე ვიყავი. გაკვეთილების დამთავრების შემდგა ხონიდან ჩემს სოფელში მივდიოდი. გაფუარე შშვენიერ იმერულ ეზოს, რომელიც ქალაქის შესასვლელში იყო. ეზო გამოირჩეოდა საუცხოო წითელი გარდების ნარგავებით. გაზაფხულზე რომ აყვავდებოდა, გვიან შემოღომამდე ყვაოდა. თვალი ყვავილებისაკენ გამექცა. გზაზე ფეხმძიმე ქალს შვერჩევ. ქალმა მოულოდნელად შემაჩერა:

– ძამიკო, გახედე რა ლამაზი ყვავილებია?

– ვხედავ, – ვუპასუხე და წასვლა დავაპირო.

– ოო.. როგორ მინდა ის გარდები...

სოფელში გაგონილი მქონდა, რომ რაც არ უნდა ინატროს ფეხმძიმე ქალმა, უთუოდ უნდა შეუსრულდესო. არც დაფიქრებულგარ, ისე გადავჭრი ღობეზე. შევედი ეზოში, მოვწყვიტე რამდენიმე ყვავილი, ის იყო უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ გაისმა სახლის პატრონი ქალის საშინელი ყვირილი:

– აუუ.. ქურდი... შემომიარდა... ქურდი...

შეშინებული გადმოვვლე ღობეს, უქმდიმე ქალს მოაჩენ ყვავილები და თავქუდმოგლეჯილი გავიქცი სოფლისაკენ.

იმ ეზოდან რაღაც ას მეტრზე იყო

მიღიცის განყოფილება. შეგონი ლიციელები გამომჟამდებოდნენ. რაც ძალა და ღონე მქონდა გავიქცე. შემომესმა მანქანის ხშა, უკან არ მიმიხედია, მეგონა მოძღვდა მიღიცა. შემეშინდა, მაგრამ რა შემეშინდა! მანქანამ კი ჩამიქროლა და წვიდა. ცოტა ამოვისუნოქე. სახლში რომ მივედი, ადამიანს აღარ ვგავდი. დედახემმა შეიცხადა, ადამიანს არ ჰგავხარ, რა დაგემართაო. ვუამბე ყველათერი. დედა დაშვიდდა.

გვიდა დრო, ერთხელ იმ ეზოსთან ბავშვიან ქალს შევხვდი. ქალი დაუინიტებით შემომცეკეროდა. შეჩერდა.

– ბოდიშს გიხდით, რაღაც მეცნიბით.. მოიცათ.. მოიცათ.. თქვენ ის ბიჭი ხომ არა ხართ, ამ ეზოდან ჩემთვის ყვავილი რომ მოიპარეთ.. ქურდი, ქურდიო, რომ ყვიროდა სახლის პატრონი – მომჩერებია ქალი და თან იღიმება.

– კი, მე ვიყავი – ვუთხარი ღიმოლით

– აი, ის ბავშვი, ფეხმძიმედ რომ ვიყავი...

თვის მშვენიერ პატარა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა. ბავშვი რას გაიგებდა, მაგრამ დედამ მაინც უთხრა:

– ამ ძამ შენთვის ყვავილი მოიპარა... გული მომიკვდა, ისე გარბოდით, სახლის პატრონს ბერი ვეჩებუბე, მეც აგერ აქებ, ახლოს ვცხოვრობ, აი, იმ სახლში, პირველ სართულზე მეზობლები ვართ. როცა გაიგო, რომ ჩემთვის მოწყვიტეთ, კი შეცცხადე... მობრძანდით აგერ, სახლში...

მაღლობა გადაუხადე, გარდივით ბიჭს გაკოცე და ჩემს გზას გავუდექი.

სკოლაში ჩემს მეგობრებს ეს
მოუღოდნელი შემთხვევაც ვუამბე,
„ყვავილის ქურდობის“ ამბავი ხომ
იცოდნენ და იცოდნენ.

სტუდენტობის წლებში ხშირად
დავდიოდი ხონში სკოლის მეგობ-
რებთან შესახვედრად. ყოველთვის
უნდა გამევლო იმ ეზოს მხარეს.
შეიძლებოდა ქართველი მოპირდაპირე
მხარეზეც გავლა, მაგრამ რატომდაც
იმ ეზოს მხარე უფრო მიყვარდა.
თითქოს რაღაცით დაუშვავშირდი
კიდეც მას. მეორე კურსზე ვიყავი,
როცა კვლავ შევხვდი იმ სახლის წინ
ბიჭის, მოეფერე, მე ის ბიძის გარ, შენ-
თვის ვარდი რომ მოვიპარე... მი-
ცანი?...

— კი!...

არ ვიცი, მართლა მიცნო თუ უბ-
რალოდ, ბავშვური გულუბრყვილო-
ბით დამეთანხმა, მაგრამ ჩემთვის
რაღაცით ახლობები გახდა ის ბავ-
შვი. დავპირდი, კანფეტებს უჟიდდი,
თუ საღამოს იმავე ადგილზე დამხვდე-
ბოდა. დღის ბოლოს მართლაც,
სახლის წინ დამხვდა.

— აი, ეს კანფეტები შენ, ეს კიდევ
დადას მიუტანე, უთხარი „ვარდის
ქურდა“ გამოგიზავნა-თქო.

გავიდა კიდევ ერთი წელი. ზაფ-
ხეულში კვლავ ჩავედი სოფელში.
ქალაქშიაც გადავედი. ისევ გავუშვი
ჩემთვის ნაცნობ ქართველი. ბიჭის სახლ-
თან რომ მივედი, გავოგნდი, ფანჯრის
ზემოთ, შავ ტილოზე ბავშვის სურათი
დავინახე. შევჩერდი, სურათს მივაშ-
ტრდი. ცრუმლები მომერია, არ ვიცი,
რამდენ წუთს ვიდექი გაუნძრევლად.
ვიღაც ქალი მოვიდა, თანაგრძნობით

მითხრა:

— დავიწვით, საცოდაობით-დავი-
წვით... ვერ გადაარჩინეს, ბაღანას
ტვინის ანთუბა დაემართა... ანგელოზი
იყო და ანგელოზებთან წავიდა...

ხმა არ ამომიღა, ისე გავშორდი
სახლს. გულდამიმებული შევხვდი
მეგობრებს. ვუამბე მათ რაც მოხდა.
ეგ ამბავი ერთი თვის წინათ მოხდა —
მითხრეს მეგობრებმა. ქალაქი პატარა
იყო და ადვილად ვრცელდებოდა ჭო-
რიც და მართლაც.

ვიცოდი, ქალაქის სასაფლაოზე
დაკრძალული წერტილი. სასაფლაო კი ბიჭის
სახლიდან ნახევარ კილომეტრზეც არ
იყო, გზის პირას. როცა ჩემს სოფელ-
ში მივდიოდი, იმ სასაფლაოს გვერ-
დით უნდა გამევლო.

მოდი, უცნობი ბიჭის შესანდო-
ბარი წაუქციოთ — თქვა მეგობარმა
გიგლა მუშაქუდიანმა.

მხარი აუბეს მეგობრებმა უორამ,
ივერიმ, შევედით სასადილოში,
სახელდახელოდ სტუდენტური, ღა-
რიბული სუფრა გაიშალა. დავლიერ
შესანდობარი, შევთვერი, ნაღვლიანი
გაუუყვი სოფლისაკენ გზას. ჩაუურე
ჩვენთვის ნაცნობ ეზოს. ეზოში წი-
ოთელი ვარდები რომ დავინახე, უცებ
რაღაცამ მიბიძგა და თამამად გაუაღე
ჭიშკარი, შევედი ეზოში და მშვიდად
დავიწყე ვარდების კრეფა. უკვე
არავისი და არაფრის არ მეშინოდა,
უცებ თავზე წამადგა ოჯახის ქალ-
ბატონი. მშვიდად გავხედე და განვა-
გრძე ვარდების კრეფა. ჩემმა
სიშვიდემ გააოცა ქალი7

— რას აკეთებთ, ახალგაზრდავ?!?
— სასაფლაოზე უნდა წავიღო...

— დედა, ვინაა ბატონი მიცვა-
ლებული?!...

— აი ის, თქვენი მეზობელი ბიჭი!..

— ვაი, მის დედას, ეს რა უბე-
დურება დაგვემართა... შეიცხადა
ქალმა. ვარდები მოწყვიტა და
მომაწოდა.

— თქვენი რა იყო ბაღანე?...

— არაფერი, ისე, ნაცნობი...

შევწყვიტე ვარდების მოკრეფა.

— კიდევ წაიღე, ბატონო!

— საქმარისია!

მივედი სასაფლაოზე. მოვნახე
ბიჭის საფლავი, ვარდები ფრთხილად
დავაწყვე სასაფლაოზე. დიდ ხანს
დავცექროდი საფლავს. ათასი ფიქრი
ამეშალა. ყოველთვის მიმძიმდა სასა-
ფლაოზე გასვლა. სიცოცხლის ამაო-
ებაზე ფიქრი. შემთვრალი და სევ-
ლიანი სულ ემოციად ვიქეცი. ისედაც
სულ პატარა მიზეზი მინდოდა, რომ
სევდიან ხასიათზე დავმდგარიყავი.

სევდიანად გავუყვებოდი ფიქრობი.
თითქოს მეორე დღეს საშეაროს აღსა-
სრული უნდა დამდგარიყო. ასე ვი-
დექი დიდხანს პატარა ბიჭის საფ-
ლავთან.

როცა სასაფლაოდან გამოვდი-
ოდი, ჭიშკართან შავებში ჩაცმული,
მწუხარებისაგან განადგურებული
ქალი შემხვდა. შემომხედა, მოთქმით
დაიწყო ტირლი:

— მეზობელმა მითხრა ძამია, ჩემი
ბიჭისათვის ვარდები რომ მოგიკ-
რეფია.

თვალი ვერ გავუსწორე. ცრემ-
ლები ყელში მომებჯინა. ვერაფერი
სანუგეშო ვერ ვუთხარი...

მწუხარე დედა შვილის საფლა-
ვისაკენ წავიდა...

მე ჩემი სოფლისაკენ წაუდი...

(გაგრძელება იქნება)

თეატრიალური ინფორმაცია

29 თებერვალს თეატრშა „ვერიკომ“ უმასპინძლა დრამატურგ რეზო კლდიაშვილს, რომელმაც წარმოადგინა საკუთარი ერთმოქმედებიანი პიესა „ზარატუსტრას უამი“. ნაწარმოები დაიწერა ფრიდრიხ ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრას“ 3+1 „მომავლის რჩეულის“ მიხედვით.

პიესას კითხულობდა ავტორი.



„ვერიკოს“ თეატრში წარმოდგენამდე დრამატურგმა პიესა წაიკითხა გოეთეს თბილისის საზოგადოებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 53-ე საუნივერსიტეტო სკოლაში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში და სამეცნ უბნის თეატრში.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტმა უკვე შეცხრე წელია, რაც საფუძველი ჩაუყარა

შესანიშნავ ტრადიციას – ყოველი წლის 29 აპრილს, აკაკი ხორავას დაბადების დღეს, უნივერსიტეტის პედაგოგები, სტუდენტები და გამოჩენილი მოღვაწები იკრიბებიან მთაწმინდის პანთეონში დიდი მსახიობის საფლავთან.

წელს ხორავას საფლავთან შეიკრიბნენ საზოგადო მოღვაწენი: რეზო ჩხეიძე, გასილ კიქნაძე, გოგი დოლიძე, ჯუანშერ ჯოხაძე, კარლო საკანდელიძე, ომარ მხეიძე, მალხაზ მებურიშვილი, ჯემალ ღალანიძე, ოთარ ზაუტაშვილი, მედიცინის მეც. ღოქტორი არსენ გვენეტაძე, ცნობილი მოგზაური ჯუმბერ ლევავა და სხვ.

მამა ნიკოლოზის პარაკლისის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთქვა კინოფაკულტეტის დეკანმა ბ-ნმა გოგი დოლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ცხრა წლის განმავლობაში 29 აპრილი ყოველთვის შზიანი დღე იყო, მაღლობა გადაუხადა დამსწრეთ მობრძანებისათვის და სიტყვა გადასცა თეატრის და კინოს უნივერსიტეტის პრორექტორს, ბ-ნ ვასილ კიქნაძეს.

— „მთაწმინდაზე განისვენებს ქართველი ხალხის დიდი წარსული. როდესაც ერთ თავისი ისტორიისადმი ინტერესს კარგავს, ის დასაღუპადაა განწირული. დღეს, როდესაც აქტიურად მიმდინარეობს ისტორიის ღირებულებათა გადაფასება, სხვა-გვარად შუქდება საზოგადოებრივი

გარეკანის პრეზენტაციები:

სცენა თეატრალური სარდაფის (პაპე) სპექტაკლიდან

„ხანება“

ფოტო თ. კალატობიშვილისა

გარეკანის გერმენ გვერდზე:

საქართველოს კრეატიული მისამართი სააკადემიული

სტუმრად თავისუფალ თეატრი

„თეატრი და ცხოვრება“

“ТЕАТР И ЖИЗНЬ” “Theatre and life”

№ 2

2004 წ.

ტექნიკური რედაქტორი
ნელი თვალი

კორექტორი
მარინე ვასაძე

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 8.5

ნაბეჭდ თაბაზთა რაოდენობა - 7

ფასი სახელშექრეულებო

რედაქციის მისამართი: თბილისი-380007, გ.ლეონიძის ქ. №11-ა. ტელ.: 99-90-96

აიწყო და დაყაბალონდა გამომცემლობა „გლობალ პრინტში“
დაიბეჭდა გამომცემლობა „საარში“

ତେବୁଟିଙ୍ଗ
ପଦାର୍ଥ

F567
2004

2
2004